www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 26 მაისი, 2009 წელი. №115 (2153) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

საეტაპო პროტესტი
A5



მსოფლიო ფხენიანის ბირთვულმა გამოცდამ შეაშფოთა
A8



არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს, აინტერესებს ყველას
A10



# 26 მაისი
## ხიბლი და გაკვეთილები



დიმიტრი შველიძე

საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობამ არასრულ სამ წელიწადს გასტანა. ისტორიისათვის ეს იმდენად მცირე პერიოდია, რომ სხვა შემთხვევაში დავიწყებას უნდა მისცემოდა ან მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოებს შემორჩენოდა. ამისათვის ყველაფერს აკეთებდა საბჭოთა იდეოლოგია, რომელიც ათეული წლების მანძილზე ცდილობდა, ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ამოეძირკვა ისტორიის ეს ეპიზოდი. ის ან დუმდა მის შესახებ ან ამახინჯებდა მას. დამოუკიდებლობის ხანას არ ასწავლიდნენ სასწავლებლებში, მას ვერ ეხებოდნენ ობიექტური ისტორიკოსები. ეს იყო ჯოჯოხეთური ძალდატანება ისტორიაზე, ერის მანქურთად ქცევის ანტიადამიანური ექსპერიმენტი და ერთ-ერთი ის დანაშაული, რომელიც ბოლშევიზმმა ჩაიდინა ქართველი ხალხის მიმართ.

გაგრძელება A4 გვერდზე

## შიდასეპარატისტული დაპირისპირება
### ოპოზიცია ბაგაფშის წინააღმდეგ

*აფხაზეთში თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მწვავე დაპირისპირება მწიფდება. ამის მიზეზი სოხუმსა და მოსკოვს შორის დადებული ბოლო შეთანხმებები გახდა. ოპოზიცია ბაგაფშს რუსეთისთვის სტრატეგიული ობიექტების დათმობაში ადანაშაულებს. სოხუმში კრემლის მიერ აფხაზეთის "დამოუკიდებლობის" შელახვაზე ალაპარაკდნენ. თავად ბაგაფში კი ღიად აცხადებს, რომ რუსეთს აფხაზეთის მართვაში მონაწილეობის სრული უფლება აქვს.*

დიმიტრი ავალიანი

სოხუმის რეჟიმის ბოლო გადაწყვეტილებებით უკმაყოფილებას ბაგაფშის ყველა ოპონენტის კონსოლიდაცია მოჰყვა. გასულ კვირაში აფხაზურმა ოპოზიციამ რუსეთის ხელისუფლებას ღია წერილით მიმართა, რომელშიც მოსკოვსა და სოხუმს შორის ბოლო გარიგებების გამო შეშფოთება გამოთქვა.

მიმართვას ხელი მოაწერეს როგორც "ეკონომიკური აღორძინების პარტიის" ლიდერმა, ბიზნესმენმა ბესლან ბუთბამ, რომელსაც მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ბაგაფშის სერიოზულ კონკურენტად მოიაზრებენ,

გაგრძელება A2 გვერდზე

## დემოკრატია: ამერიკული პოლიტიკა რუსეთისთვის

დევიდ ჯ. სმიტი
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა მოსკოვს 6-8 ივლისს ესტუმრება. მის ვიზიტამდე სულ რაღაც ექვსი კვირა რჩება და აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია კვლავ აყალიბებს საგარეო პოლიტიკას, გაზეთების ანალიტიკოსები კი, ამ სვეტის ავტორის ჩათვლით, ხმაურს არ წყვეტენ. უკვე მრავალი აზრია გამოთქმული, თუმცა თითქმის ყველა თანხმდება იმაზე, რომ ეს არის დრო, როდესაც ობამამ "გადატვირთვის ღილაკს" მიღმა უნდა გადადგას ნაბიჯი.

ეს სამუელ ჩარაპის სტატიის სათაურია. ჩარაპი ამერიკის პროგრესის ცენტრის, ვაშინგტონის თანამედროვე მემარცხენე კვლევითი ორგანიზაციისთვის წერს. იგი სტრატეგიული მიზნების ერთობლიობას გვთავაზობს და ახალი მიდგომის მიზეზებს აყალიბებს. ჩარაპი წერს, რომ "ორივე პრეზიდენტისთვის, ბილ კლინტონისა და ჯორჯ ბუში უმცროსისთვის აშშ-რუსეთის ურთიერთობები ირყეოდა სტრატეგიული პარტნიორობის დეკლარაციებსა და ცივი მშვიდობის პერიოდს შორის, ატარებდა ორივე მხარის ქმედებების დაგმობისა და ორმხრივი ურთიერთბრალდებების ნიშნებს."

გაგრძელება A3 გვერდზე

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი ვიენის სადაზღვევო ჯგუფი

## აშშ-ს და ევროკავშირის მოწოდება საქართველოს

შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას და ოპოზიციას, დაასრულონ არსებული ჩიხური ვითარება ქუჩებში და დაუყონებლივ, წინაპირობების გარეშე დაიწყონ მოლაპარაკებები. "ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას და ოპოზიციას, დაასრულონ არსებული ჩიხური ვითარება ქუჩებში და დაუყონებლივ და წინაპირობების გარეშე დაიწყონ მოლაპარაკებები რეფორმების ახალ პროგრამაზე ქართული დემოკრატიის გაძლიერების მიზნით," - ნათქვამია 25 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებაში.

"მოვუწოდებთ ყველა ქართველს, პატივი სცეს კანონის უზენაესობას, დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, თავიდან აიცილოს ძალადობა და პატივი სცეს მშვიდობიანი პროტესტის უფლებას. ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ყველა იმ მცდელობას, რომელიც მიმართულია საქართველოს დემოკრატიული თავისუფლების და კეთილდღეობის გაძლიერებისკენ და კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ჩვენს ურყევ მხარდაჭერას საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ," - ნათქვამია განცხადებაში.

*საკუთარი ინფორმაცია*

## მოსკოვში ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნებისათვის საარჩევნო უბანი გაიხსნა

გუშინ მოსკოვში ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნების გამო საარჩევნო უბანი გაიხსნა. რუსული მედიის ინფორმაციით, საარჩევნო უბანზე 31 მაისს ხმის მიცემა მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის იმ მოქალაქეებს შეეძლებათ, რომლებსაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პასპორტი აქვთ. მათივე ინფორმაციით, ამ დროისათვის ამ საარჩევნო უბანზე რეგისტრაცია უკვე 250 ადამიანმა გაიარა. ცნობისათვის - სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნები 31 მაისს გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სააკაშვილმა სამხედრო სწავლებები მოინახულა

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ნატო-ს მრავალეროვანი სწავლების მეორე ეტაპი მიმდინარეობს. სწავლება "კოოპერატივ ლანსერი", სავარაუდოდ, პირველ ივნისს დასრულდება. გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე საქართველოში ნატო-ს ეგიდით მიმდინარე სამხედრო სწავლებები მოინახულა. "სწავლების პირველი ეტაპი წარმოადგენდა ინდივიდუალურ მომზადებას, მეორე ეტაპი, რომელიც დღეს ტარდება, არის მომზადება ათეულების და ოცეულების შემადგენლობაში, მესამე ეტაპი იქნება ნაციონალური ბატალიონის მოქმედებები," - განაცხადა ნატო-ს სწავლების ხელმძღვნელმა ნუგზარ ცინცაძემ.

პრეზიდენტი სააკაშვილი გაეცნო სამხედრო მომზადებას სამხედროთა მიერ საცეცხლე წერტილების განადგურების საკითხში. ვაზიანის სამხედრო ბაზაზე თავდაცვის მინისტრი და დიპლომატიური კორპუსის წევრებიც იმყოფებოდნენ. "კოოპერატივ ლანსერში" 14 ქვეყნის 1000-მდე სამხედრო მონაწილეობს. გუშინ, ძირითადად, საველე საცეცხლე ვარჯიში ჩატარდა. მედიისთვის საჩვენებელი მანევრები კი 31 მაისს გაიმართება. გუშინდელი ვარჯიშის დასრულების შემდეგ სწავლების ხელმძღვანელ ესპანელ გენერალს საქართველოს პრეზიდენტი ესპანურად გაესაუბრა. ევროპელი სტუმარი და მიხეილ სააკაშვილი არა მხოლოდ ნატო-ს წვრთნებს, ფეხბურთსა და ბარსელონას თამაშსაც შეეხნენ. საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-ს ეგიდით სამხედრო სწავლებები 6 მაისს დაიწყო. **საკუთარი ინფორმაცია**

## სოხუმის აეროპორტი შავ სიაშია შეტანილი

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (იკაო) სოხუმის აეროპორტის საშუალებით საერთაშორისო ფრენების განხორციელების ნებართვას არ იძლევა, თუ, რა თქმა უნდა, ამაზე ნებართვას საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია არ გასცემს. როგორც იკაოს ოფიციალურ საიტზეა აღნიშნული, სოხუმის აეროპორტში საერთაშორისო ფრენები მხოლოდ იმ შემთხვევაში განახლდება, თუ ფრენის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია აიღებს. "იკაოს" განმარტებით, თუ ზემოხსენებული მოთხოვნა იგნორირებული იქნება, "იკაო" საქართველოს საავიაციო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად, ყველა ზომას მიიღებს, რათა ფრენები შეწყდეს. **მედიანიუსი**

## პრეზიდენტი საზოგადოებრივი სათათბიროს ინიციატივით გამოდის

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საზოგადოებრივი სათათბიროს შექმნის ინიციატივით გამოდის. შესაბამისი წინადადება ქვეყნის პირველმა პირმა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში სტუმრობისას გაახმაურა, სადაც ხელოვნების მოღვაწეები რუსთაველის პრემიებით დააჯილდოვა. "მივიღოთ კანონი საზოგადოებრივი სათათბიროს შესახებ, შევიყვანოთ ამ სათათბიროში ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროს - მეცნიერების, კულტურის, ბიზნესის, ეკონომიკის - წარმომადგენელი და მივცეთ მათ საშუალება, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს რეკომენდაციები მისცენ, გამოვიდნენ ინიციატივებით და თავად დაწერონ კანონები," - განაცხადა სააკაშვილმა. მისი განმარტებით, საზოგადოებრივი სათათბიროს შექმნა საშუალებას მოგვცემს, "ჩვენი პოლიტიკა და გადაწყვეტილებების მიღების უფლება ხალხს დაუბრუნდეს." **ჯი-ეიჩ-ენი**

# შიდასეპარატისტული დაპირისპირება

პირველი გვერდიდან

ასევე "სახალხო ერთობის ფორუმის" (რომელიც ყოფილი ხელისუფლების მომხრეებს აერთიანებს) ერთ-ერთმა ლიდერმა ასტამურ ტანიამ და "სახალხო პარტიის" ლიდერმა იაკუბ ლაკობამ.

მიმართვის ავტორებმა რუსეთისთვის აფხაზეთის სტრატეგიული ობიექტების - რკინიგზისა და აეროპორტის გადაცემის გამო პროტესტი გამოთქვეს. მიმართვა რუსეთის პრეზიდენტს, სახელმწიფო სათათბიროს სპიკერსა და საგარეო უწყების ხელმძღვანელს გაეგზავნათ.

ოპოზიციონერები აღნიშნავენ, რომ ბაგაფშის გეგმები **"ზიანს აყენებს ორი ქვეყნის ურთიერთობებს"** და აფხაზეთში შიდა სტაბილურობისთვის საფრთხეს ქმნის.

აფხაზური ოპოზიციის აზრით, აფხაზეთმა რუსეთთან თანამშრომლობა უნდა განაგრძოს, თუმცა არა სტრატეგიულ ობიექტებზე კონტროლის დაკარგვის გზით.

**"ფაქტები მოწმობს, რომ ხელისუფლების ნაჩქარევი, გაუაზრებელი მოქმედებები საზოგადოებაში არაერთგვაროვან შეფასებას იწვევს და ხელს უწყობს ანტირუსული განწყობების, სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის ზრდას მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების წინ,"** - აღნიშნავენ ოპოზიციონერები.

**"ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების გაყიდვა აფხაზეთის რუსეთისადმი სრულ დაქვემდებარებას გამოიწვევს,"**- აცხადებს დამოუკიდებელ გაზეთ "ჩეგემსკაია პრავდას" მთავარი რედაქტორი ინალ ხაშიგი გაზეთ "კომერსანტთან" საუბრისას.

მისი თქმით, რუსეთის ინტერესი აფხაზეთის მიმართ დიდია და რუსული ბიზნესი შეეცდება, ხელში ჩაიგდოს ყველაფერი, რასაც შეძლებს.

**"რა თქმა უნდა, ჩვენს მოქალაქეებს იმის შიში აქვთ, რომ დროთა განმავლობაში რუსეთი აქ თავის კანონებს დააწესებს და, შესაძლოა, ხელმძღვანელებსაც თავად დანიშნავს,"** - აღნიშნავს ხაშიგი და ხუთი წლის წინათ რუსეთის მიერ საზღვრის ჩაკეტვის ფაქტს იხსენებს. მაშინ ამ გზით რუსეთი ცდილობდა აფხაზების იძულებას, საპრეზიდენტო არჩევნებში მოსკოვისთვის ხელსაყრელი შედეგები ეღიარებინათ.

როგორც პარტია "აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმის" თანათავმჯდომარე ასტამურ ტანია აცხადებს, **"შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთთან ურთიერთობის განვითარებას ერთი მიმართულებით გვთავაზობენ - ყველა სახელმწიფოებრივი ფუნქცია თუნდაც მეგობარ, მაგრამ მაინც უცხო ქვეყანას გადავცეთ. ცდილობენ, დაგვიმტკიცონ, რომ დამოუკიდებლობის საფასური უნდა გადავიხადოთ".**

მოსკოვისა და სოხუმის შეთანხმებების წინააღმდეგ პროტესტი აფხაზურ მედიაში ჯერ კიდევ ე. წ. სასაზღვრო შეთანხმების ხელმოწერას მოჰყვა. ადგილობრივი საზოგადოებისთვის განსაკუთრებულად მტკივნეული უძრავი ქონების საკითხია. დღეს აფხაზეთში მოქმედი კანონმდებლობით, მიწისა თუ სხვა უძრავი ქონების შეძენის უფლებით მხოლოდ "აფხაზეთის მოქალაქეები" სარგებლობენ. შესაბამისად, რუსეთის მოქალაქეები ამისთვის ჯერ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებას ცდილობენ. ამჟამად სოხუმის ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ შეზღუდვის მოხსნას გეგმავს.

**"თუ რუსებს უძრავი ქონების შეძენის უფლებას მისცემენ, რამდენიმე წელიწადში აფხაზური ეთნოსი გაითქვიფება,"** - აცხადებს ინალ ხაშიგი. მისი თქმით, ადგილობრივებს არ აქვთ ბინის შეძენის საშუალება და ყველაფერს რუსები შეისყიდიან. ამას დაემატება მასობრივი უკმაყოფილება სტრატეგიული ობიექტების გადაცემისა და სოჭის ოლიმპიადის საჭიროებისთვის ეკოლოგიის გაჩანაგების გამო.

**"ხალხი უკვე იმაზე საუბრობს, რომ 15 წელი დამოუკიდებლები ვიყავით და ახლა ეს დამოუკიდებლობა წაგვართვეს. თუ ასე გაგრძელდა, პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტის გამოცხადებასაც არ გამოვრიცხავ,"** - აცხადებს ინალ ხაშიგი.

ვნებათაღელვის გამწვავება სოხუმში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერ ბორის გრიზლოვის ვიზიტს მოჰყვა. გრიზლოვმა განაცხადა, რომ რუსეთი სოჭის ოლიმპიადის მშენებლობაზე დაკავებულ 100 ათას ადამიანს აფხაზეთში დაასახლებს.

გაზეთ "კომერსანტს" ინკოგნიტო აფხაზმა მალალჩინოსანმა განუცხადა, რომ **"რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთის სპეციფიკა არ ესმის და ყოველი ასეთი ვიზიტის შემდეგ უამრავი პრობლემა ჩნდება. ოპოზიცია ყველა განცხადებას ჩვენ წინააღმდეგ იყენებს".**

ოპოზიციის პრეტენზიებს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერმა "კომერსანტისთვის" მიცემულ ინტერვიუში უპასუხა. სერგეი ბაგაფში არათუ არ ეთანხმება ოპოზიციის მოთხოვნებს, არამედ ღიად აცხადებს, რომ რუსეთს აფხაზეთში მბრძანებლობის უფლება აქვს.

**"მათ უნდათ, რუსეთმა დაგვიცვას, ფულით დაგვეხმაროს, ააშენოს გზები, მაგრამ მმართველობა მხოლოდ ჩვენ განვახორციელოთ. ასე არ ხდება,"** - განაცხადა ბაგაფშმა.

**"თუ უსაფრთხოება უზრუნველყოფილი გაქვს, თუ რუსეთმა გაღიარა, რის გამოც მთელი მსოფლიო გადაიმტერა, როგორ უნდა ბედავდე იმის თქმას, რომ აქ მხოლოდ ჩვენ უნდა ვიძლეოდეთ ბრძანებებს?"** - სიტყვას უბრუნებს ოპოზიციას ბაგაფში.

მისი თქმით, აფხაზეთის ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორი რუსეთია. **"თუ ჩვენს ოპონენტებს სხვა პარტნიორი ჰყავთ მხედველობაში, გვაჩვენონ. პირადად მე ასეთ პარტნიორებს ვერ ვხედავ,"** - განაცხადა ბაგაფშმა.

მან ასევე დაადასტურა, რომ უახლოეს მომავალში სოხუმის ხელისუფლება რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლების მინიჭების საკითხს განიხილავს, რასაც ოპოზიცია მკვეთრად ეწინააღმდეგება.

**"ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, შემდგომშიც გავაგრძელებთ, რაც არ უნდა ილაპარაკოს ოპოზიციამ,"** - დასძინა სოხუმის რეჟიმის ლიდერმა.

ბაგაფშის ამგვარ კატეგორიულ ტონს, პროტესტების მიუხედავად, შესაძლოა, რუსეთისგან მიღებული მკაცრი მითითებები განაპირობებს. 15 მაისს ბაგაფშისა და რუსეთის პრემიერ ვლადიმირ პუტინის შეხვედრა შედგა, სადაც მომავალი "თანამშრომლობის" გეგმები განიხილეს.

მარიონეტული რეჟიმის ამგვარი პასუხი ოპოზიციის მოთხოვნებზე, როგორც ჩანს, აფხაზეთში შიდაპოლიტიკურ სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს. მომავალი წლის დასაწყისში აფხაზეთში ახალი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება, სადაც ბაგაფშს მეორე ვადით არჩევის იმედი აქვს. თუმცა, 2004 წლის დასაწყისში სწორედ რუსეთთან დაპირისპირების ტალღაზე გამარჯვებულ ბაგაფშს ამჯერად არჩევნებზე წარდგენა აფხაზებს შორის საკმაოდ არაპოპულარული პრორუსული პოზიციით მოუწევს, რითიც მისი ოპონენტები ისარგებლებენ.

სოხუმის რეჟიმის ლიდერების რთულ მდგომარეობაზე რუსი ექსპერტებიც ამახვილებენ ყურადღებას. პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ცენტრის ექსპერტ სერგეი მარკედონოვის აზრით, რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის "ცნობის" შემდეგ სოხუმის რეჟიმი რთული დილემის წინაშე აღმოჩნდა - დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცება სცადოს თუ, ფაქტობრივად, რუსეთის სუბიექტის სტატუსს დასჯერდეს. **"პირველ შემთხვევაში შესაძლოა, მათ მოსკოვის რისხვა დაიმსახურონ. მეორე შემთხვევაში იქმნება აფხაზეთში რუსული "სუვერენული დემოკრატიის" შემოსვლის საფრთხე. მას რუსული ბიზნესიც მოჰყვება, რომელიც კონტროლს დაამყარებს შავი ზღვის კურორტებზე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, შედეგად კი ადგილობრივებისთვის იქ ადგილი აღარ დარჩება,"** - აღნიშნავს ექსპერტი. მისი აზრით, **"ყველა აფხაზი და ოსი სულაც არ არის მზად იმაზე ფიქრისთვის, რომ დამოუკიდებლობა სინამდვილეში მოსკოვის ტოტალურ დიქტატს, "დამოუკიდებელ" ჩინოვნიკებს შორის კორუფციასა და მოსახლეობის სიღატაკეს ნიშნავს".**

# ცხინვალს სიმართლის ეშინია

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია ცხინვალში, ქართული მედიის წარმომადგენელთა შესვლის აკრძალვის შესახებ ოსი ჟურნალისტების მოთხოვნას აპროტესტებს და მას "სიმართლის სააშკარაოზე გამოტანის შიშით" ხსნის.

"ცხინვალში ე.წ. საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას არავინ ცნობს, მით უმეტეს, ასეთი შეზღუდვების ფონზე. ოსი ჟურნალისტების მიერ ქართული მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ გამოსვლა მხოლოდ ერთი რამით არის განპირობებული - მათ ეშინიათ, რომ ქართველი ჟურნალისტები სიმართლის რაღაც მარცვალს მაინც გამოიტანენ სააშკარაოზე," - აცხადებს მალაშხია.

რაც შეეხება უშუალოდ ცხინვალში დაგეგმილ ე.წ. საპარლამენტო არჩევნებს, ქართველი დეპუტატის ინფორმაციით, სეპარატისტული ხელისუფლება ადგილობრივ მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აიძულებს. "ამ ე.წ. არჩევნებით ისინი კიდევ უფრო გაირთულებენ მდგომარეობას," - განმარტავს მალაშხია.

ცნობისათვის - ცხინვალი ე.წ. საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. ოსი ჟურნალისტები კი ქართველი კოლეგების ცხინვალში ჩასვლის აკრძალვას მოითხოვენ.

"ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ არჩევნების გასაშუქებლად სამხეთ ოსეთში ჩამოსვლას ქართული ტელეკომპანიების ჟურნალისტებიც აპირებენ. მოვითხოვთ, რომ შესაბამისმა სტრუქტურებმა ქართული მედიის წარმომადგენლებს სამხრეთ ოსეთის საზღვრის გადაკვეთის უფლება არ მისცენ," - ნათქვამია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ მომზადებულ დოკუმენტში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# კონსტიტუციის "კარიბჭესთან"

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმდნენ. პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის თქმით, საპარლამენტო უმცირესობის მიერ ამ პოსტზე წარდგენილი ავთანდილ დემეტრაშვილის პერსონა სახელისუფლებო გუნდისთვის სავსებით მისაღებია.*

**"ავთანდილ დემეტრაშვილი არის ადამიანი, რომლის რეპუტაციაში, სინდისიერებასა და კვალიფიკაციაში ამ ქვეყანაში ეჭვს ვერავინ შეიტანს,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი, რომელიც საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში საპარლამენტო ოპოზიციის აქტიურ მონაწილეობას მიესალმება და იმედს იტოვებს, რომ ამ პროცესში მომავალში არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან.

ამასთან, ბაქრაძე მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში, პოლიტიკოსებთან ერთად, კვალიფიციური კონსტიტუციონალისტები და ექსპერტები შევიდნენ. სპიკერი იმედოვნებს, რომ ასეთ გუნდს საკონსტიტუციო კომისიაში მისი მომავალი თავმჯდომარე თავად მიიყვანს.

**"ავთანდილ დემეტრაშვილს ჰყავს ასეთი ადამიანების ჯგუფი. ჩვენი სურვილია, რომ ექსპერტებს მიეცეთ თავისუფლად მუშაობის შესაძლებლობა და პოლიტიკოსების მხრიდან მათთვის ერთგვარი კლიშეების თავს მოხვევა გამოირიცხოს,"** - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენელთა შეხვედრის დასრულების შემდეგ, რომელშიც ავთანდილ დემეტრაშვილიც მონაწილეობდა.

მისი აზრით, საკონსტიტუციო კომისია 50-60 კაცით უნდა დაკომპლექტდეს. დემეტრაშვილის თქმით, გუშინდელ შეხვედრაზე კონკრეტულ პერსონებზე საუბარი არ ყოფილა, თუმცა პირადად იგი სურვილს გამოთქვამს, რომ კომისიის მუშაობაში ჩაერთოს მისი გუნდი 15 კაცის შემადგენლობით.

**"პერსონალიების შერჩევა ამ კვირის ბოლომდე დასრულდება,"** - აცხადებს საკონსტიტუციო კომისიის მომავალი თავმჯდომარე, რომელიც იქვე დასძენს, რომ კვირის ბოლოს გაიმართება კიდევ ერთი შეხვედრა, რომელზეც საბოლოოდ გადაწყდება, როგორც კომისიის დაკომპლექტების, ისე ტექნიკური საკითხები.

თავის მხრივ, საპარლამენტო უმცირესობა მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დაასრულოს, ახალი კონსტიტუციის პროექტი კი მეტი ლეგიტიმურობის არგუმენტით, - რეფერენდუმზე გავიდეს.

რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციას, მომავალ კონსტიტუციაზე მუშაობა მას ამ ეტაპზე საერთოდ არ აინტერესებს. შესაბამისად, მისი ლიდერები საკონსტიტუციო კომისიასთან თანამშრომლობას არ აპირებენ.

"კონსერვატორების" ერთ-ერთ ლიდერ ზვიად ძიძიგურს ავთანდილ დემეტრაშვილის პროფესიონალიზმში ეჭვი არ ეპარება, თუმცა მიიჩნევს, რომ "ამ რანგის ადამიანი ასეთ კომისიაში დიდხანს ვერ დარჩება."

**"მიმაჩნია, რომ ეს კომისია არ წარმოადგენს საზოგადოებისთვის ღირებულს. სწორედ ამიტომ, პირადად მე ამ ადამიანთან შეხვედრას საჭიროდ არ მივიჩნევ,"** - აცხადებს ძიძიგური.

მოძრაობა "ერთიანი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი ეკა ბესელია კი აცხადებს, რომ პირადად ის, დღევანდელ სიტუაციაში დემეტრაშვილის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში, აღნიშნული კომისიის თავმჯდომარეობას არ დათანხმდებოდა.

**"აქედან გამომდინარე, მე მასთან შეხვედრას არ ვაპირებ,"** - ძიძიგურის ანალოგიური პოზიცია აქვს ბესელიასაც.

# გრიგოლ ვაშაძე რობერტ სიმონსს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სამხრეთ კავკასიაში ნატო-ს სპეციალურ წარმომადგენელ რობერტ სიმონსს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ გრიგოლ ვაშაძემ მედიის წარმომადგენლებს განუცხადა, საუბრის თემას წარმოადგენდა ყოველწლიური ნაციონალური გეგმა. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სიმონსს აღნიშნული გეგმის ეგზემპლარი გადასცა.

"ძალიან სასარგებლო შეხვედრა იყო. ვისაუბრეთ ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე, განხილული იყო ყოველწლიური ნაციონალური გეგმა და ჩვენ სიმონსს გადავეცით აღნიშნული გეგმის ეგზემპლარი. ვისაუბრეთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი ვითარების, ჟენევის მოლაპარაკებების და შემდეგი მოლაპარაკებების პერსპექტივების შესახებ. ვისაუბრეთ ასევე საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაზე," - აღნიშნა ვაშაძემ.

რობერტ სიმონსის განცხადებით, ნატო კმაყოფილებას გამოთქვამს ყოველწლიურ ნაციონალური გეგმაში დაფიქსირებული პროგრამით.

სიმონსმა თავისი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს შიდაპოლიტიკურ მოვლენების შესახებ და ხელისუფლებას და ოპოზიციას დიალოგისკენ მოუწოდა.

ამავდროულად, რობერტ სიმონსმა რუსეთს შეახსენა, რომ იგი ვალდებულია შეასრულოს მედვედევ-სარკოზის შეთანხმება და აღადგინოს აგვისტოს მოვლენებამდე არსებული სტატუს-კვო.

"შეწუხებულები ვართ რეგიონში არსებული ვითარებით. მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს სარკოზი-მედვედევის შეთანხმება და აღადგინოს სტატუს-კვო, რაც აგვისტოს მოვლენებამდე იყო," - განაცხადა სიმონსმა.

*საკუთარი ინფორმაცია*


## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო

**აცხადებს აღმასრულებლისა და კერძო აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდას**

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 (ოცდაერთი) წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება და რეგისტრაცია იწარმოებს 2009 წლის 26 მაისიდან 2009 წლის 9 ივნისის ჩათვლით, **ყოველდღე 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.**

**მისამართი:** ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ N1;

საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

**ა) განცხადება აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების შესახებ (ივსება ადგილზე);**

**ბ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი დანართთან ერთად;**

**გ) ავტობიოგრაფია;**

**დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**

**ე) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4;**

**ვ) გამოცდაში მონაწილეობისათვის კანონით დაწესებული საფასურის - 200 (ორასი) ლარის აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.**

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საბანკო რეკვიზიტები:

**ს.ს "საქართველოს ბანკის" ც.ფ**
**ა/ა 593 807 600;**
**ბ/კ 220 101 502.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:**
ტელ: (+995 32) 745 165; (+995 32) 745 285; (+995 32) 749 886.
**ან ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს**
www.nbe.gov.ge


# დემოკრატია: ამერიკული პოლიტიკა რუსეთისთვის

პირველი გვერდიდან



ჩარაპი იქვე აგრძელებს: **"გადატვირთვა" არ არის რუსული პოლიტიკა, თუ არ ვისაუბრებთ სტრატეგიაზე. ეს უფრო ტაქტიკაა: ურთიერთობის ატმოსფეროს გამოსწორების მცდელობა."**

აბსოლუტურად სწორია. თუკი ობამა გააგრძელებს ატმოსფერულ ცვლილებაზე დაყრდნობას, აშშ-რუსეთის ურთიერთობები გარდაიქმნება თამაშად, რომელშიც ვაშინგტონი კარტებს მოსკოვის მიერ დარიგებული ბანქოს დასტიდან ამოიღებს.

ასეთი ვითარება უკვე გაცხადდა თეთრი სახლის პრესრელიზში, რომელიც ობამას მოსკოვში ვიზიტს ეხება: **"სამიტი იქნება შესაძლებლობა აშშ-სა და რუსეთის ფედერაციისთვის, რათა გააღრმაონ თანამშრომლობა ბირთვული იარაღის შემცირების საკითხზე, ითანამშრომლონ გაუვრცელებლობის თემაზე, გამოძებნონ გზები სარაკეტო თავდაცვის საკითხზე სათანამშრომლოდ, პასუხი გასცენ საერთო საფრთხეებს და უსაფრთხოების გამოწვევებს და გააფართოონ კავშირები ამერიკულ და რუსულ საზოგადოებასა და ბიზნესს შორის."**

მიზნების, პრიორიტეტების და მოლოდინების დასახვის გარეშე, რაც სტრატეგიის დამუშავებას წარმოადგენს, მოსკოვის ამჟამინდელი ქცევის მოდელი ვაშინგტონის იმედგაცრუებას გამოიწვევს და თანდათანობით ორ ქვეყანას ციებ-ცხელების ციკლში ჩააბამს, რასაც ჩარაპი არ ეთანხმება. ამის სანაცვლოდ, ის ექვსპუნქტიან სტრატეგიას გვთავაზობს:

- გახდეს რუსეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის მონაწილე;
- აშშ უნდა მოემზადოს იმ პრობლემებთან გასამკლავებლად, რომლებიც შეიქმნება როგორც შემტევი, აგრესიული რუსეთის, ასევე დასუსტებული რუსეთის პირობებში;
- გაძლიერდეს ჩვენი და ჩვენი მოკავშირეების ენერგოუსაფრთხოება;
- შეიქმნას უსაფრთხო გარემო პოსტ-საბჭოთა რეგიონებში;
- ხელი შეეწყოს რუსეთში დემოკრატიული ჩანასახების გაძლიერებას;
- რუსეთის ჩართვა საერთაშორისო თანამეგობრობასა და გლობალურ ეკონომიკაში.

ძნელია შეეწინააღმდეგო! პრობლემა არის ის, რომ ეს ამერიკის პრიორიტეტების უცვლელი დღის წესრიგია, რომელიც განწირულია დამარცხებისთვის, თუკი ამერიკელი ხალხი და მათი მოკავშირეები არ შეცვლიან კურსს ობამას ამჟამინდელი პრეზიდენტობის ვადის მანძილზე.

ამისთვის კი ბარიერს წარმოადგენს ის ამერიკული კულტურა, რომელიც ნებისმიერი პრობლემის სწრაფ გადაწყვეტას მოითხოვს. ასევე, ამერიკის დასავლეთევროპელი მოკავშირეებიც უფრო მეტად მოუთმენელნი არიან. შესაბამისად, ნათელი, შეთანხმებული პოლიტიკის არარსებობა, ცვალებადი გადაწყვეტილებები იწირავს პრინციპებს და რეალურ ინტერესებს უდავო პროგრესის მისაღწევად.

ამერიკაში ამგვარი ძლიერი მისწრაფება ხშირად იღებს ე.წ. რეალისტურ, უფრო კი ფსევდო-რეალისტური არგუმენტების ფორმას. მისი ყველაზე ზოგადი ფორმა ხაზგასმით აღნიშნავს ჩარაპის პირველ პუნქტებს, მაგალითად, გვარწმუნებს, რომ გვჭირდება რუსეთის დახმარება ირანისა და ავღანეთის საკითხებში და კორექტირება შეაქვს ისეთ მიზნებში, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები და რუსეთის მეზობელი სახელმწიფოების სუვერენიტეტი. ვიყოთ რეალისტები, ამ თვალსაზრისის ავტორი ამბობს, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საქართველო, რუსეთის ჩრდილში არიან და ჩვენ ვერაფერს გავხდებით, თანაც ირანის ბირთვული იარაღის პროგრამისთვის ხელის შეშლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

სწორად გამიგეთ - ეს არ არის ობამას პოლიტიკა. მაშინ, როდესაც ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა, სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ჟენევაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს სათამაშო "წითელი ღილაკი" გადასცა და როცა ლონდონში ობამა რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევს შეხვდა, ამერიკელებმა საქართველოსადმი მკაფიო მხარდაჭერა გამოთქვეს და რუსეთთან შეუთანხმებლობა დაადასტურეს.

ჩარაპის რჩევების თანახმად, საკითხავი მხოლოდ ის არის, რომ შეიძლება ეს პოლიტიკა დასუსტდეს, თუკი ვაშინგტონი რუსეთის მიმართ არ შეიმუშავებს იმაზე კიდევ უფრო დახვეწილ სტრატეგიას, რასაც თეთრი სახლი დღეს ეწევა. მაგალითად, ორივე ქვეყანა აპირებს, წლის ბოლოსთვის დადოს სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების ახალი ვარიანტი. რა მოხდება, როცა ახალი წელი მოახლოვდება - რუსები ხომ მეთერთმეტე საათის დიპლომატიის ოსტატები არიან - არ იქნება იარაღის კონტროლის ხელშეკრულება? ან თუ კიდევ უფრო გაუარესდება ვითარება ავღანეთში, მაგრამ რუსეთიდან რესურსების გადინება მაინც მოხდება?

ვაშინგტონში ზეწოლა "რეალისტურ" განწყობებს გაზრდის, ვიდრე არ არსებობს რუსული სტრატეგიის ნათელი და შესაბამისი გაგება.

ჩარაპის მიზნები კარგი დასაწყისი იქნებოდა. შემდეგ ამერიკამ უნდა გადაწყვიტოს თავისი პრიორიტეტები. საქართველოს მსგავსი მოკავშირეების მხარდაჭერა დემოკრატიისა და ენერგოუსაფრთხოების საკითხებში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შეიარაღების კონტროლის შეთანხმების ხელმოწერა. ამის შემდეგ ამერიკამ რეალისტურად უნდა შეაფასოს თავისი მოლოდინები რუსეთის მხრიდან. ირანის ბირთვული შეიარაღების პროგრამისთვის ხელის შეშლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსკოვს არც ინტერესი აქვს და არც საკმარისი გავლენა იმისთვის, რომ მნიშვნელოვნად დაეხმაროს მას.

დაბოლოს, რუსეთის პოლიტიკა უნდა დარჩეს სოლიდურ საფუძველზე.

"მოდით, ნუ დავიღლებით იმის მტკიცებით, რომ ინდივიდუალური თავისუფლება უნივერსალური ღირებულებაა, ხოლო დემოკრატია საუკეთესო საშუალება თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების დასაცავად," - წერს რადიო თავისუფლების პრეზიდენტი ჯეფრი გედმინი "ნიუ-იორკ თაიმსში". "წინდაუხედაობა იქნებოდა, თუ უარს ვიტყვით ჩვენს ყველაზე სანუკვარ პრინციპებზე," - წერს იგი. უშეცდომობა რეალისტური იდეაა, მაგრამ არა იდეალისტური. "ოპორტუნისტული გარიგებები დიქტატორებთან არა მარტო ჩვენი ღირებულებების ღალატია, არამედ ისინი იშვიათად თუ წარმოადგენენ იმ ინტერესებს, რომელთა გატარებაც ჩვენ ასე ძლიერ გვსურს."

**დევიდ ჯ. სმიტი, საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი (თბილისი) და პოტომაკის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ვაშინგტონი).**

# 26 მაისი - ხიბლი და გაკვეთილები

პირველი გვერდიდან

ექსპერიმენტი მარცხით დამთავრდა და სრულიად საპირისპირო შედეგი მოიტანა. პირველი დამოუკიდებლობის სამწლეული დროთა განმავლობაში რომანტიკული წარმოდგენებით შეიმოსა და "პატარა ოქროს ხანად" იქცა შემდგომი თაობებისათვის. გასული საუკუნის 20-იან წლებში დიდი რისკის ფასად ჯერ კიდევ აღნიშნავდნენ დამოუკიდებლობის დღეს. "განსაკუთრებით დიად და პირდაპირ დაუჯერებელ სანახაობას წარმოადგენდა 26 მაისის საპროტესტო დემონსტრაციები 1921 და 1922 წლებში, სადაც თავპირდასისხლიანებული ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი თავის პაწია თითებით ეროვნულ სამფეროვან დროშას ჯალათ ჩეკისტებს არ ანებებდნენ. მანდილოსნები, ვაჟკაცები მოძალადე ხელისუფლებას და მათ ჯალათებს გააფთრებით ებრძოდნენ... ასეთი ამბები მთელ საქართველოში ხდებოდა". ამას წერდა თავადაც დაუდგრომელი მებრძოლი და პატრიოტი ვლასა მგელაძე, ის კაცი, რომელიც 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების უმალ მთაწმინდაზე გაიქცა და ილია ჭავჭავაძის საფლავს ჩასძახა სამშობლოს განთავისუფლების ამბავი: ილია, შენი ნატვრა ახდაო.

უკანასკნელი ოცწლეულის მანძილზე, იდეოლოგიური დიქტატურისაგან განთავისუფლებული ქართული ისტორიოგრაფია დიდი ენთუზიაზმით შეუდგა პირველი რესპუბლიკისა და საერთოდ გასული საუკუნის დასაწყისის ეროვნული მოძრაობის ისტორიის შესწავლას. ამ ხნის განმავლობაში გამოქვეყნდა ათეულობით წიგნი, ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, ძირითად შტრიხებში მაინც აღდგა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორიული სურათი.

დღეს უკვე შეიძლება საუბარი პირველი რესპუბლიკის დადებითი თუ უარყოფითი გაკვეთილების გათვალისწინების შესაძლებლობისა და პრაგმატულობის შესახებ.

პირველ ყოვლისა ის უნდა ითქვას, რომ პირველი რესპუბლიკის ისტორია არ შემოიფარგლება მხოლოდ 1918-1921 წლების ჩარჩოებით. აღნიშნული სამწლეული იყო იმ ქართული პოლიტიკური ელიტის ისტორიის ნაწილი, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს გახლდათ ეროვნულ და პოლიტიკურ მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადა, რომელიც 20-იან წლებში ან გააძევეს, ან ფიზიკურად მოსპეს ან კიდევ სხვა მეთოდებით აღგავეს პოლიტიკური საქმიანობის არენიდან. ამ თაობამ დიდი ინტელექტუალური და პრაქტიკული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომელსაც შემდგომი სიღრმისეული შესწავლა და გათვალისწინება უნდა. და თუ ჩვენ დღეს უკმაყოფილონი ვართ უკანასკნელი ოცწლეულის ქართული პოლიტიკური ელიტის უმწიფრობით, იმიტომაც, რომ ის ნაკლებად ინტერესდება ზემოაღნიშნული მემკვიდრეობით, იმიტომაც რომ ის არ იცნობს არჩილ ჯორჯაძის, მიხაკო წერეთლის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, სპირიდონ კედიას, გიორგი გვაზავას, გიორგი ლასხიშვილის, გრიგოლ რცხილაძის, სამსონ ფირცხალავას, გერონტი ქიქოძის, ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელისა და სხვათა ნააზრევს.

მაინც რა არის ის, რაც უპირველესად უნდა ვისწავლოთ ჩვენი დამოუკიდებლობის მამებისაგან. რამდენიმე გარემოება გამოვყოთ დღესდღეობით:

1. ეროვნული ერთიანობა - მაშინდელმა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ და საერთოდ საზოგადოებამ შეძლო გაერთიანება. 1917 წლის ნოემბერში ყველა პოლიტიკური პარტიისა და სოციალური ფენის წარმომადგენლები შეიკრიბნენ პირველ ეროვნულ ყრილობაზე. შეიქმნა ეროვნული საბჭო. ეს იყო მაშინდელი ქართველობის დიდი მიღწევა. დამოუკიდებლობის აქტის სულისკვეთებასთან დაკავშირებით თავად ნოე ჟორდანია გადმოგვცემს: "საჭირო იყო ერთი ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს ყველა გამთიშველი ელემენტები. ...ამნაირათ დეკლარაცია შემუშავდა, რაიცა მე წავიკითხე 26 მაისს და გადაიქცა ჩვენი თავისუფლების ძირითად ხარტიათ.

იშვა 26 მაისი.

იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი."

ნოე ჟორდანიას ისტორიული კატეგორიების სიზუსტე აკლია, არც მისი ქართულია მთლად გამართული. მაგრამ ეპატიება "კავკასიის სოციალ-დემოკრატიის" დალაი-ლამას, რომელიც 25 წლის მანძილზე ხუთავდა ქართულ ნაციონალიზმს, ახლა კი იგრძნო ისტორიული წამების სიდიადე, დანებდა ბუნებრივ-პატრიოტულ ქვეცნობიერს, აღიარა ილიას ეროვნული ერთიანობის სტრატეგიის შეუცვლელობა.

იმას არ ვამბობთ, რომ პოლიტიკური ბრძოლა გაქრა დემოკრატიულ საქართველოში. იგი მიმდინარეობდა და საკმაოდ მწვავედაც. ფიცხი პოლემიკა ავსებდა რესპუბლიკის პარლამენტის დარბაზს. სოციალ-დემოკრატიულ მმართველ უმრავლესობას თავს ესხმოდნენ მარჯვნიდანაც - ეროვნულ-დემოკრატები, მარცხნიდანაც - ესერები, სოციალისტ-ფედერალისტები. პოლემიკა მიმდინარეობდა პრესაშიც, მიტინგებზეც, არჩევნების პერიოდშიც.

მაგრამ იდეური დაპირისპირება მიმდინარეობდა დემოკრატიული პლურალიზმის ჩარჩოებში და არასოდეს მიუღია შეირაღებული კონფრონტაციის სახე. აი, პირველი რესპუბლიკის პირველი უმთავრესი გაკვეთილი. ის მოუწოდებს დღევანდელ პოლიტიკურ ელიტას, რაც გულისხმობს ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც, რომ - ვინც თავის ოპონენტებს შეურიგებლად დაუპირისპირდა, უპირისპირდება და დაუპირისპირდება, მას ხალხის ისტორიული მეხსიერება უარყოფს, შეაჩვენებს, გაამტყუნებს, ყველა დამსახურებას დაუვიწყებს და ბოლოს იქ მიუჩენს ადგილს, რასაც ისტორიის სანაგვეს უწოდებენ. ეს ადგილი უკვე მიუჩინა ისტორიამ 1991-1992 წლების შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების ავტორებს (ეს ჩვენც ვცადეთ ახლახანს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში: "პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში. 1987-1992 წწ.).

2. ვინც ცოტათი მაინც იცნობს 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის ისტორიას, დაგვეთანხმება, რომ მაშინ დეკლარირებულმა ნეიტრალიტეტის კურსმა, როგორც იტყვიან, არ იმუშავა და ვერც იმუშავებდა. იგი ფურცელზე დარჩა. ნეიტრალიტეტის მიზანი იმხანად უორიენტაციობა კი არ იყო, არამედ ჯერ კიდევ მიმდინარე მსოფლიო ომში ერთმანეთთან მებრძოლი სამხედრო ბლოკებისადმი მიუმხრობლობა, მესიჯი, რომ დამოუკიდებელ საქართველოს არ სურდა "დიდ ომიანობაში" მონაწილეობა და მშვიდობას მიესწრაფოდა. ზუსტად ასეც გაცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში: "საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა."

საქართველოს დღევანდელი ნეიტრალიტეტის მოტრფიალენი "აქტს" იმოწმებენ და ვითომ ამით ასაბუთებენ თავიანთი პოზიციის მიზანშეწონილობას. ამგვარი დასაბუთება სრულიად მოკლებულია ისტორიულ საფუძველს. პირველი რესპუბლიკის ერთადერთი საგარეო ორიენტაცია იყო დასავლეთი.

საქართველომ უარყო საბჭოთა რუსეთის მიერ შემოთავაზებული მოკავშირეობის წინადადება. "რას ნიშნავს ეს კავშირი? - კითხულობდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და პარლამენტს განუმარტავდა, - ეს ნიშნავს იმას რომ ჩვენ კავშირი გავწყვიტოთ ევროპასთან, როგორც მათ აქვთ ეს კავშირი გაწყვეტილი და პირი ვიბრუნოთ აღმოსავლეთისაკენ...

დასავლეთი თუ აღმოსავლეთი - აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასახული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს...

როგორც ხედავთ, საქართველოს და რუსეთის გზები აქაც გაიყარნენ: ჩვენი გზა მიდის ევროპისკენ, რუსეთის კი აზიისკენ. ვიცი მტრები აყვირდებიან - იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები, აღმოსავლეთის ფანატიკოსებს."

ამ სიტყვებს და პირველი რესპუბლიკის გამოკვეთილ პროდასავლურ ორიენტაციას კომენტარი აღარ სჭირდება. აქ უბრალოდ განვმარტავთ, მთავრობის თავმჯდომარე სიტყვა "ჩვენში" თავის თავს ან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ გულისხმობდა. იგი მთელ ქართულ საზოგადოებას და ორიათასწლოვან ქართულ პოლიტიკურ ტრადიციას გულისხმობდა. ასევე უნდა გავიგოთ სიტყვა "მუდამ", ე. ი. მთელი ისტორიის მანძილზეო. მაშინაც კი, როცა კონსტანტინეპოლი დაეცა და ევროპა უსაშველოდ დაშორდა საქართველოს, ჩვენი პოლიტიკოსები დასავლეთის იმედს არ კარგავდნენ.

შემდგომში რუსეთზე აღებულმა ორიენტაციამ იმძლავრა და ეს გასაგებია - სხვა გზა უბრალოდ არ არსებობდა. შემდეგ რაც მოხდა, კარგადაა ცნობილი. დღევანდელ საქართველოშიც ორი ორიენტაციული ბანაკი არსებობს - პროდასავლური და პრორუსული. ეს ფაქტია, მაგრამ მთავარი სხვაა. როგორ მოვიქცეთ. ორი გზა გვაქვს. ერთი, როგორც ადრე ვიქცეოდით - ვეცეთ ერთმანეთს, დავასისხლიანოთ, დავხოცოთ, ჩამოვაგდოთ, გადავასახლოთ, ვძარცვოთ, დავანგრიოთ, და მეორე - დემოკრატიული პლურალიზმის წესით გადავწყვიტოთ. პირველი რესპუბლიკა უკანასკნელ - დემოკრატიულ, ცივილიზებულ გზას დაადგა. იგი ჯერ რუსეთში განვითარებულ მოვლენებს დააკვირდა, დაუცადა, დემოკრატიული პროცესების იმედი ჰქონდა. არ გამართლდა ეს იმედები. რუსეთში სისხლიანი ბოლშევიკური საბჭოთა დიქტატურა დამყარდა და საქართველომ დემოკრატიული ევროპა არჩია.

ეს ისტორია პოსტსაბჭოურ ეპოქაში კიდევ ერთხელ გამეორდა. .რუსეთში კვლავ ავტორიტარიზმმა გაიმარჯვა. საქართველოს კვლავ სისტემური არჩევანი უნდა გაეკეთებინა პუტინ-მედვედევის აგრესიულ ავტორიტარიზმსა და ლიბერალურ-დემოკრატიულ დასავლეთს შორის და მან კვლავ დასავლეთი არჩია, რადგან "აქ ყოყმანი შეუძლებელი" იყო.

3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო იყო. ის რასაც დღეს სოციალურ დაცვას უწოდებენ, იმჟამად ხელისუფლების ზრუნვის უპირველეს საგანს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ დროებითი მთავრობისა და ამიერკავკასიის კომისარიატის პერიოდში გაუქმდა წოდებრივი პრივილეგიები. დაიწყო აგრარული რეფორმის ეტაპობრივი განხორციელება. მსხვილი მემამულური, საუფლისწულო და საეკლესიო მიწები სახელმწიფო ფონდში გადაირიცხა, რათა გლეხებს დარიგებოდა. დაწესდა მიწაზე კერძო საკუთრების მინიმალური ნორმა. ხელისუფლება შეძლებისამებრ იცავდა მუშათა ინტერესებსაც. ფუნქციონირებდა ე. წ. სალიკვიდაციო კომისია, რომლის ნებართვისა და კონტროლის გარეშე ქარხნის მეპატრონეს არ შეეძლო მუშა-მოსამსახურის განთავისუფლება.

ეს რაც შეეხება გასაზიარებელ, გასათვალისწინებელ დადებით გამოცდილებას და გაკვეთილებს. მაგრამ პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება შეცდომებსაც უშვებდა. ისინი გაფრთხილებად უნდა აღიქვას თანამედროვე პოლიტიკურმა ელიტამ.

1. ხელისუფლების ყველა შტოში, როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატები სჭარბობდნენ. ისინი კი მართალია რეალისტობას ცდილობდნენ, მაგრამ არც თუ იშვიათად ორთოდოქს იდეალისტებად რჩებოდნენ. მათი ორთოდოქსიის საგანი მარქსიზმი და რევოლუცია იყო. დამოუკიდებლობამდე 20-25 წლის მანძილზე ისინი ინტერნაციონალიზმის დროშით ებრძოდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლ პარტიებს, ეროვნულ ღირებულებებს და მის დამცველ ინტელიგენციას.

1917 წლის აპრილის დამდეგს შედგა ინტერპარტიული კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნულ-დემოკრატები. სოციალ-დემოკრატების გავლენით კრებამ კაპიტულანტური გადაწყვეტილება მიიღო: მომავალი ავტონომიური საქართველოს ტერიტორია ორ ნაწილად დაიყო - სადაო და უდაო ტერიტორიებად. სადაოდ მიიჩნიეს საქართველოს ის რეგიონები, სადაც ქართველები უმრავლესობას არ შეადგენდნენ. ამგვარი რეგიონების ბედი რეფერენდუმს უნდა გადაეწყვიტა. ამგვარი გულუხვობა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიებით, ინტერნაციონალიზმის ყალბი იდეით საბუთდებოდა.

თვით დამოუკიდებლობის გამოცხადება სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილისათვის, იმდენად ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. იგი უფრო გამოიწვია რუსეთში ბოლშევიკების მიერ დამარცხებული "დემოკრატიული რევოლუციის" მონაპოვრების საქართველოში შენარჩუნებისა და გადარჩენის აუცილებლობამ. ხოლო ზოგიერთი უკიდურესი ინტერნაციონალისტ-ცენტრალისტი, როგორიც ირაკლი წერეთელი გახლდათ, საქართველოს დამოუკიდებლობას რუსეთის დემოკრატიის ღალატად მიიჩნევდა. რევაზ გაბაშვილი ხომ იგონებს: როცა დამოუკიდებლობის გადაწყვეტილების შესახებ გაიგო "ბ-ნ კაკი წერეთელს თითქმის გული შეუწუხდა, ჩავარდა ყვითელ ტყავის სავარძელში და თავში ხელის ტაცებით წამოიძახა: "რას შვრებით, თქვენ ღუპავთ რუსეთის დემოკრატიას." ეს ის შემთხვევა იყო, როცა ინტერნაციონალიზმის მარქსისტული დოგმები ძირეულად ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

სხვათა შორის ორთოდოქსალიზმი სხვადასხვა სახით დღესაც იჩენს თავს ჩვენს სინამდვილეში. უკანასკნელ წლებში არც თუ იშვიათად, ხან გლობალიზმის, ხან კი ლიბერალური დემოკრატიის სიმაღლეებიდან ესხმოდნენ ხოლმე თავს ეროვნულ ღირებულებებს. ეს იგივე რეციდივია, რასაც ქართველი ხალხოსნები, სოციალ-დემოკრატები თუ ბოლშევიკები მიმართავდნენ სხვადასხვა დროს და სათითაოდ წაიმტვრიეს კისერი.

2. ჩვენში არანაკლებ დგას ინტელიგენციასთან დამოკიდებულების საკითხი. ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ისე დაასრულა თავისი უიღბლო მოღვაწეობა, რომ ქართველი ინტელიგენციის კეთილგანწყობას ვერ ეწია და ეს მისი დანაშაული იყო. იგივე ბედი გაიზიარა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამაც. არც დღევანდელი ინტელიგენციისა და ხელისუფლების ურთიერთობაა იდეალური და იდილიური. შესაძლოა ხელისუფლების პოზიცია უფრო მართებული იყოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საკითხებში, ვიდრე ინტელიგენციისა, მაგრამ მასთან კონფრონტაცია, როგორც XX საუკუნის საქართველოს ისტორიის გამოცდილება ადასტურებს, - ნებისმიერი ხელისუფლებისათვის წამგებიანია როგორც იტყვიან, ხელისუფლებები მიდიან, ინტელიგენცია რჩება.

იგივე უნდა ითქვას ეროვნული მიმართულების პარტიებისა და სოციალ-დემოკრატების ურთიერთობაზეც..

3. პირველი დამოუკიდებლობის რეალობაში მწვავედ იდგა მეხუთე კოლონის პრობლემა, რომლის ავანგარდში ქართველი ბოლშევიკები იდგნენ. მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ბოლშევიკები მიმზიდველი სოციალური ლოზუნგებით აბრუებდნენ მოსახლეობას. ომით გატანჯულ ჯარისკაცებს ისინი მშვიდობას და სახლებში დაბრუნებას აღუთქვამდნენ; გაჯანჯლებული აგრარული რეფორმით გულგაწვრილებულ გლეხობას - მიწას; ხოლო ეროვნულ უმცირესობებს ბოლშევიკები უშურველად სთავაზობდნენ ზოგს დამოუკიდებლობას, ზოგს ავტონომიას, ზოგს კი ეთნიკურ თანამოძმეებთან შეერთებას.

სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, ეს იყო მაშინდელი ხელისუფლებისათვის ყველაზე რთული და გამოუვალი სფერო. საქართველოს რამდენჯერმე წაართვეს და დაიბრუნა აჭარა, აფხაზეთი, აუჯანყეს შიდა ქართლის ოსები, მაგრამ შეძლო მხარის დაშოშმინება. თვით ბოლშევიკების აჯანყების რამდენიმე ცდა ხელისუფლებამ ჩაფუშა. საგარეო მხარდაჭერის უქონლობის შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება ადრე თუ გვიან ველარ მოახერხებდა ანტისახელმწიფოებრივი ძალებისადმი საბჭოთა რუსეთის მხრიდან დიდი ფინანსური, მატერიალური და სამხედრო დახმარების აღკვეთას და თავის დაცვას.

იყო კიდევ ერთი გარემოება. მმართველი პარტია საჭირო სიმკაცრით არ ებრძოდა ადგილობრივ ბოლშევიკებს და რუსეთიდან ჩამოსულ ემისრებს. დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის შეურიგებელი მტერი ს. ორჯონიკიძე იგონებს: "როდესაც 1919 წელს შემთხვევით მოვხვდი თბილისში, ნოე ჟორდანიამ ამხანაგის პირით შემომითვალა: "სერგო! ნუ ივლი თბილისის ქუჩებში, ჩვენ შენ არ დაგიჭერთ, მაგრამ ინგლისელებმა იციან შენი აქ ყოფნა და ისინი დაგიჭერენ."

ბოლშევიკები სხვაგვარად მოიქცნენ: 1922-1923 წლებში აჯანყების მოსამზადებლად საქართველოში ემიგრაციიდან ჩამოსული ყოფილი თანაპარტიელები ნოე ხომერიკი, ვალიკო ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშვილი დაიჭირეს და დახვრიტეს.. ასე უპასუხეს ორჯონიკიძე-ბერიებმა ჟორდანია-რამიშვილების ლიბერალიზმს. მიუხედავად აღნიშნული და სხვა შეცდომებისა, ისინი ისეთი ხასიათისა არ ყოფილა, რომ რაიმე სერიოზული როლი შეესრულებინოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემაში. მარცხის მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა რუსეთის მრავალრიცხოვან არმიებთან გამკლავების შეუძლებლობა.

და ბოლოს, ისტორიულ გამოცდილებასთან ერთად, მიუხედავად დამარცხებისა, პირველმა რესპუბლიკამ ქართველ პატრიოტთა მომავალ თაობებს სამართლებრივ-იურუდიული მემკვიდრეობა დაუტოვა, რათა მათ ამ ბაზაზე დაყრდნობით გაეგრძელებინათ ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ბაზის - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღდგა დღევანდელი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო - პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე.

# საეტაპო პროტესტი

დათო გამისონია

*დღეს ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე 11:00 საათიდან ყველა შესასვლელი ღია იქნება, ხოლო 14:00 სტადიონზე შეკრებილ მოქალაქეებს, მცხეთიდან მხარდამჭერებთან ერთად, საპროტესტო აქციების არაფორმალური ლიდერი, მომღერალი "უცნობი" შეუერთდება. სხვადასხვა ღონისძიებების შემდეგ, დემონსტრანტები რუსთაველის გამზირის მიმართულებით დაიძვრებიან. ისინი პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად სამოქალაქო აღლუმს გამართავენ.*

საპროტესტო აქციების ორგანიზატორი ოპოზიციური პარტიების ლიდერები 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების შესათანხმებლად და ოპოზიციის მომავალ გეგმებზე კონსულტაციებისთვის გუშინ "ახალი მემარჯვენეების" ოფისში შეიკრიბნენ. მოლაპარაკებებს ესწრებოდა საპროტესტო აქციების ორგანიზატორი ოპოზიციის ფაქტობრივად ყველა ლიდერი. სამსაათიანი კონსულტაციების დასრულების შემდეგ ოპოზიციის ლიდერებმა თავდაპირველად პოლიტიკური განცხადებები გააკეთეს. "ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ყურადღება გაამახვილა 26 მაისის აქციის დატვირთვაზე. **"ეს არის ქართველი ხალხის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი, საეტაპო მოვლენა,"** - აღნიშნა უსუფაშვილმა. მას შემდეგ, რაც გუშინ ოპოზიციის ლიდერებმა საორგანიზაციო საკითხებზე იმსჯელეს, მედიასთან შემუშავებული გეგმის მხოლოდ ერთი ნაწილის შესახებ ისაუბრეს. "მემარჯვენეების" ლიდერ დავით გამყრელიძის თქმით, 6 მაისს პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ ოპოზიციამ მოქმედების სტრატეგია შეცვალა. კერძოდ, არასაპარლამენტო ოპოზიცია საქართველოს რეგიონებში გეგმავს მუშაობის გააქტიურებას. ამასთანავე, თბილისში კვლავ შენარჩუნდება "ქუჩის საკნები", თუმცა ოპოზიცია ზაფხულის სიცხის გათვალისწინებით ჩამოაყალიბებს მოქმედების სტრატეგიას. რაც შეეხება საკუთრივ 26 მაისს დაგეგმილ ღონისძიებებს, ცნობილია, რომ დღეს ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე სიტყვით გამოვლენ პოლიტიკური ლიდერები და საზოგადოების წარმომადგენლები. ამავე დროს, "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ ეროვნულ სტადიონზე ქართველი ხალხის სახელით მიიღებენ რამდენიმე დოკუმენტს. თუმცა, არსებობს არასაპარლამენტო ოპოზიციის გეგმის მეორე ნაწილი, რომელსაც ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ ოპოზიციის მხარდამჭერებს დღეს გააცნობენ. 26 მაისის საპროტესტო აქციის ორგანიზატორების თქმით, ოპოზიციის გეგმის გასაიდუმლოებულ ნაწილში არ მოიაზრება პოლიტიკური ოპოზიციის ერთიანი ლიდერის დასახელება. **"26 მაისი ოპოზიციის ერთიანი ლიდერის პრეზენტაციისთვის არ ეწყობა და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდება,"** - აღნიშნა ბესელიამ ოპოზიციური პარტიების სხვა ლიდერებთან გამართული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ. ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ. **"მე არ ვფიქრობ, რომ 26 მაისის აქციაზე დასახელდება ოპოზიციის ერთიანი, გამოკვეთილი ლიდერი. პოლიტიკურ ძალთა ერთობა ასეთ საჭიროებას დღეს ვერ ხედავს. 26 მაისის შემდგომ კი, იმის მიხედვით, თუ რა გეგმით გაგრძელდება საპროტესტო აქციები, მოხდება პოლიტიკური ძალების გადაჯგუფება. რაც შეეხება საკუთრივ 26 მაისის საპროტესტო აქციას, უნდა ითქვას, რომ ეს დღე იქნება ამ განვლილი თვენახევრიანი ბრძოლის ერთგვარი შემაჯამებელი. ბევრი რამ ალბათ შეიცვლება, ოპოზიციური ძალების მოქმედება უფრო ორგანიზებული იქნება. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ სამომავლო გეგმებზე უკვე კონკრეტული შეთავაზებები იქნება საზოგადოებისთვის,"** - განმარტა ალასანიამ. დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის შემდეგ "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დიალოგის გამართვას პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებასთან, კერძოდ ის ელოდება ოპოზიციის მიერ შეთავაზებულ "6-პუნქტიან" გეგმაზე მმართველი პოლიტიკური ძალის პასუხს. **"ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმ საკითხებზე, რომლებზეც შეთანხმება შეიძლება. მე ამის პოტენციალს ვხედავ, ამიტომ 26 მაისის შემდეგ შესაძლოა მოლაპარაკებები გაგრძელდეს,"** - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*წიწამურის აქცია გვიან ღამით*

**სამთა ალიანსი**

სანამ 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების საკითხებზე კონსულტაციები დაიწყებოდა, გუშინ "ახალი მემარჯვენეების" ოფისში "ალიანსი საქართველოსთვის" წევრები ირაკლი ალასანიას პარტიის შექმნის შესახებ მსჯელობდნენ. ალიანსის ლიდერების თქმით, თავიდანვე შეთანხმებული იყო, რომ "რესპუბლიკურ პარტიასა" და "ახალ მემარჯვენეებთან" ერთად ალიანსში შემავალი ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდი პარტიად ჩამოყალიბდებოდა. "ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარე დავით გამყრელიძე სრულიად ლოგიკურად მიიჩნევს ალასანიას პოლტიკური პარტიის შექმნას. **"ირაკლი ალასანია სწორედ იმიტომაც არ გახდა არც ერთი პარტიის წევრი, რომ ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით, როცა მისი პოლიტიკური გუნდი რაღაც ეტაპზე საბოლოო სახეს მიიღებდა, ეს ყველაფერი პარტიულად გაფორმდებოდა. სავარაუდოდ, ზაფხულის განმავლობაში ირაკლი ალასანია და მისი თანამოაზრეები დაასრულებენ მუშაობას და ჩვენ ალიანსში ვიქნებით, როგორც სამი პარტია,"** - განაცხადა გამყრელიძემ. ალიანსის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განმარტა, რომ საორგანიზაციო საკითხებზე მუშაობა უკვე დაწყებულია, თუმცა მას არ დაუსახელებია პარტიის შექმნის კონკრეტული თარიღი.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი პარტია, ძირითადად, დაკომპლექტდება "ალიანსი საქართველოსთვის" შემადგენლობაში მყოფი ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრებით, ალიანსის ლიდერმა განაცხადა, რომ საზოგადოებისთვის პარტიის სრული შემადგენლობა მხოლოდ მისი სრული ფორმირების შემდეგ გახდება ცნობილი.

### ღამის აქცია წიწამურთან

გუშინ, დაახლოებით 23 საათისთვის, დასავლეთ საქართველოდან მხარდამჭერებთან ერთად დაძრული მომღერალი გია გაჩეჩილაძე, იგივე "უცნობი", მცხეთაში შემოვიდა და წიწამურის მიდამოებში დაბანაკდა. მას აქ უკვე ელოდნენ თბილისიდან მის დასახვედრად ჩასული მომხრეები. წიწამურთან, მინდორზე უკვე გაშლილი იყო კარვები და დასანთებად გამზადებული კოცონები. აქციის მონაწილეებთან მისალმების შემდეგ, "უცნობი" თბილისში კათოლიკოს-პატრიარქთან შესახვედრად გაემართა. მანამდე კი სახელდახელოდ მოწყობილი სცენიდან, დაახლოებით 3 ათას-კაციანი აქციის წაყვანა ბაკურ ბაკურაძემ ითავა. მან აქციის მონაწილეებს სთხოვა, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნისათვის, რომელსაც დღეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა. ამის შემდეგ წიწამურთან შეკრებილ მოქალაქეებს რიგრიგობით მიმართეს რეჟისორმა ქეთი დოლიძემ, მომღერალმა ზურაბ მანჯავიძემ, ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და "მემარჯვენეების" წევრმა დავით საგანელიძემ. მათი გამოსვლების ძირითადი პათოსი დღევანდელი დღის მნიშვნელობაზე და სააკშვილის ხელისუფლების "დასრულებაზე" იყო გამახვილებული. **"დღეს დიდი დღეა, ხვალ დილით კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს. გამარჯვება ახლოსაა და ხვალ მთელი მსოფლიო დაინახავს ერთად მდგარ საქართველოს,"** - განაცხადა დავით საგანელიძემ.

აქციის მონაწილეთა მუხტი კიდევ უფრო გააძლიერა ოპოზიციის ლიდერების -ლევან გაჩეჩილაძის და გოგა ხაინდრავას შემოსვლამ.

გვიან ღამით, აქციას კვლავ დაუბრუნდა "უცნობი". ის თავის მომხრეებთან ერთად წიწამურიდან დღეს თბილისისკენ გამოემართება.

# თავდასხმა "მაესტროზე"

*25 მაისს, დაახლოებით 03:00 საათზე, ტელეკომპანია "მაესტროს" შესასვლელთან ხელყუმბარა ააფეთქეს, რის შედეგადაც დაზიანდა შენობაში შესასვლელი რკინის კარი. ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა. "მაესტროს" გენერალურმა დირექტორმა მამუკა ღლონტმა მომხდარ ფაქტს ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მისცა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით კი, წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187 მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც შენობის დაზიანებისთვის პასუხისგებას ითვალისწინებს. ქართული მედიაკომპანიები ტელეკომპანია "მაესტროს" მხარდაჭერას უცხადებენ.*

ნათია მსხილაძე

ტელეკომპანია "მაესტროსთან" მომხდარი აფეთქების გამო გუშინ არხის გენერალურმა დირექტორმა მამუკა ღლონტმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც მომხდარის შესახებ დეტალურად ისაუბრა. **"25 მაისს 03:00-დან 3:05 საათამდე პერიოდში "მაესტროს"კართან ხელყუმბარა დააგდეს. კარი ხშირად გვაქვს გაღებული, თუმცა ბედზე კარი დაკეტილი იყო. ღია კარის შემთხვევაში ხელყუმბარა მსხვერპლს გამოიწვევდა,"** - აღნიშნა მამუკა ღლონტმა.

მისი თქმით, შემთხვევიდან 20 წუთში სახალხო დამცველის წარმომადგენელი წერეთლის გამზირზე ჩავიდა და საპატრულო პოლიციას დახმარება სთხოვა, თუმცა პატრულის თანამშრომლები მანქანაში ჩასხდნენ და გაიქცნენ. როგორც არხის ხელმძღვანელობა განმარტავს, საპატრულო პოლიცია შემთხვევის ადგილზე ერთი საათის, ხოლო კრიმინალური სამსახური ორი საათის დაგვიანებით მივიდა. **"მრავალ მხარეს შეიძლება ხელს აძლევდეს თავისუფალი ტელევიზიის მიმართ ტერორისტული აქტის ჩატარება, თუმცა სამართალდამცავებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს მომხდარს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ნუთუ არ რცხვენიათ, რომ ახალგაზრდა ჟურნალისტები გაჭირვების დროს ყურადღების გარეშე დატოვეს. ვერსია შეიძლება მრავალი არსებობდეს. შესაძლებელია, ეს ფაქტი უკავშირდებოდეს იმ ფილმს, რომელიც "მაესტროს" ეთერში 25 მაისს საღამოს გავა. ამ ფილმში ასახულია გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულთა ციხეში ცხოვრება და ის ფაქტი, თუ როგორ ისვენებენ გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულები,"** - აღნიშნა ღლონტმა.

ტელეკომპანიის ხელმძღვანელებმა მომხდარი ფაქტის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის, საფრანგეთის საელჩოს პრესატაშესაც აცნობეს.

გუშინდელი აფეთქების შესახებ განცხადება გაავრცელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

**"25 მაისს, დაახლოებით, დილის 03:00 საათზე ტელეკომპანია "მაესტროს"ოფისთან, რომელიც მდებარეობს ფოთის ქუჩა 15/6, აფეთქება მოხდა, რასაც მოჰყვა მინების ჩამსხვრევა და დაზიანდა შენობის შესასვლელი კარი. აფეთქების შედეგად არავინ დაზარალებულა. ინციდენტის შემდეგ თბილისის დიდუბის განყოფილებაში შევიდა შეტყობინება და დაიწყო წინასწარი გამოძიება სსკ-ს 187 მუხლის მეორე ნაწილით,"** - ნათქვამია განცხადებაში. აქვე აღნიშნულია, რომ შს სამინისტრომ ტელეკომპანია "მაესტროს" მიმართა, გამოძიებისთვის მიეწოდებინა ტელეკომპანიის კუთვნილ სამეთვალყურეო კამერაზე არსებული ჩანაწერი, თუმცა ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ასეთ ჩანაწერს არ ფლობენ.

ტელეკომპანია "მაესტროზე" თავდასხმის ფაქტზე საგანგებო განცხადება გაავრცელა სახალხო დამცველმა. სოზარ სუბარი უკიდურეს აღშფოთებას გამოხატავს ტელეკომპანია "მაესტროზე" თავდასხმის გამო. **"ტელეკომპანიისთვის ბომბის სროლა წარმოადგენს არა მხოლოდ მძიმე კრიმინალს, არამედ არის თავისუფალი სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების დათრგუნვის მორიგი მცდელობა, რაც საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის განვითარებას,"** - აცხადებს სოზარ სუბარი.

სახალხო დამცველი ინციდენტის სწრაფ და გამჭვირვალე გამოძიებას განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს. ამავე დროს მოითხოვს, რომ გაირკვეს, რა გახდა შემთხვევის ადგილზე პატრულის დაგვიანებით მისვლის მიზეზი. **"ამ თავდასხმის გამოძიების და დამნაშავეთა დასჯის უსასრულოდ გაჭიანურების პროცესი, როგორც ეს, სამწუხაროდ, სხვა შემთხვევებში მოხდა, კიდევ უფრო გაამყარებს დაუსჯელობის სინდრომს ქვეყანაში და გამოიწვევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მსგავს და კიდევ უფრო მძიმე ქმედებებს,"** - აცხადებს სახალხო დამცველი.

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას ტელეკომპანიის დაშინების მცდელობაში ადანაშაულებს.

**"ეს ფაქტი კვალიფიცირდება, როგორც ტერორისტული აქტი დამოუკიდებელი ტელეკომპანიის წინააღმდეგ. ქვეყანაში ხელისუფლების მხრიდან შანტაჟი, დაშინება და ადამიანების ლიკვიდაცია ჩვეულებრივი მოვლენაა. საბოლოო სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის, თუმცა ის ფაქტი, რომ საპატრულო პოლიცია და კრიმინალისტები შემთხვევის ადგილზე დაგვიანებით მივიდნენ, საზოგადოებას გარკვეულ ეჭვებს უჩენს. ერთი რამ ცხადია, ამ ქვეყანაში ხელისუფლებისადმი უნდობლობა იმდენად დიდია, რომ მოსახლეობას უკვე სერიოზული ეჭვები უჩნდება მის მიმართ და მთავრობას სერიოზული ძალისხმევა დაჭირდება, რათა ეს ეჭვები გააქარწყლოს,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მისი თქმით, არ იქნება გასაკვირი, რომ ხვალ ხელისუფლებამ წარმოადგინოს კადრები და აჩვენოს, თითქოს რამდენიმე ადამიანი გეგმავდა "მაესტროზე" თავდასხმას, შემდეგ კი, ამ კადრებიდან გამომდინარე, დაიწყოს იმის მტკიცება, რომ ტელეკომპანია "მაესტროს" თავად შეეძლო დაეგეგმა მსგავსი ოპერაცია ან ეს დანაშაული ოპოზიციის ლიდერებს დაბრალდეთ.

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია ტელეკომპანია "მაესტროსთან" მომხდარ აფეთქებას "საგანგაშო ფაქტს" უწოდებს და მიაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს ამ ფაქტის გამოძიება. **"ტელეკომპანია "მაესტროსთან" ძალიან სამწუხარო და საგანგაშო ინციდენტი მოხდა. არსებულ ვითარებაში ისეთ ობიექტურ ტელევიზიაზე, როგორიც "მაესტროა" და ზოგადად ტელევიზიაზე განხორციელებული თავდასხმა სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოძიებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შესაძლოა, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის კიდევ უფრო დიდი უნდობლობის მიზეზი გახდეს,"** - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

"მაესტროსთან" მომხდარი ფაქტის გამოძიების საკითხი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს პირად კონტროლზე აჰყავს. **"დარწმუნებული ვარ, რომ ამ ფაქტს არანაირი შეხება არა აქვს პოლიტიკასთან. ყველას ვურჩევ, თავი აარიდოს მომხდარი ფაქტით ზედმეტ პოლიტიკურ სპეკულაციებს,"** - აღნიშნა ბაქრაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის განცხადებით კი, გამოძიებული უნდა იქნეს არა მარტო თავად აფეთქების ფაქტი, არამედ ისიც, თუ რატომ დააგვიანა პატრულმა შემთხვევის ადგილზე მისვლა.

# ლარზე ვაჭრობის ადგილი შეიცვალა

თინა შავაძე

ეროვნული ვალუტის - ლარის გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო აუქციონებზე გამართული გარიგებების შესაბამისად გამოცხადდება. გუშინ მიღებული გადაწყვეტილებით ეროვნული ბანკი აღარ ჩაერევა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ვაჭრობებში, რაც იმას ნიშნავს, რომ სავალუტო ბირჟას მთავარი მოთამაშე გამოკლდება და ის თანდათან შეწყვეტს ფუნქციონირებას. მის ფუნქციას ქვეყნის სავალუტო ბაზარზე სავალუტო აუქციონი შეასრულებს, რადგან ეროვნული ბანკი მხოლოდ მისი მეშვეობით განახორციელებს ინტერვენციებს და ლარის კურსს საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით ე.წ ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში დარეგისტრირებული გარიგებების აგრეგირების საშუალებით დაადგენს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის ახალი პროდუქტი, რომელიც ოფიციალურად გუშინ ჩაუშვეს გაყიდვაში, შეიძლება ითქვას, კარგად შეფუთულია და შესაძლებელია, მომგებიანადაც გაიყიდოს. ფაქტობრივად, სავალუტო აუქციონს შეფუთვა არც სჭირდებოდა, რადგან დადგენილი წესებით მას სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის ექსკლუზიური უფლება უკვე აქვს და თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟა კონკურენციას ვეღარ გაუწევს. მიუხედავად ამისა, გიორგი ქადაგიძემ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, "რომ სავალუტო აუქციონი ფუნქციონირებისთვის მიმდინარე წლის მარტიდან მზადდებოდა და ის სავალუტო ბირჟის პარალელურად მართავდა აუქციონებს. მომზადების პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ აუქციონების გამართვა წინ გადადგმული ნაბიჯი და მნიშვნელოვანი სიახლე იქნებოდა ბანკებისთვის. დღემდე ბანკები ლარსა და უცხოურ ვალუტას მექანიკურად, ბაზრის შესწავლისა და გათვლების გარეშე ყიდდნენ და ყიდულობდნენ. მაგრამ მიმდინარე საერთაშორისო კრიზისის პირობებში ქვეყანაში მონიტარული პოლიტიკის წარმართვას უფრო მეტი წინდახედულება სჭირდება, რათა თავიდან ავიცილოთ შიდა და გარე საფრთხეები, ანუ რისკები დავაზღვიოთ."

რა გავლენას მოახდენს ლარის გაცვლით კურსზე სავალუტო აუქციონზე ვაჭრობის გადატანა? ქადაგიძის პროგნოზით, ლარი სტაბილური იქნება და მნიშვნელოვანი რყევების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს აქვს სათანადო რეზერვები და მისი გამოყენებით შეუძლია, ვაჭრობის დროს მოთხოვნა-მიწოდების დროს გაჩენილი დისბალანსი გადაფაროს. ამ ეტაპზე ქვეყანაში ერთბაშად, დიდ მოცულობის ვალუტის შემოსვლის პერსპექტივა არ ჩანს - მილიონებად სახელმწიფო ქონება აღარ იყიდება, ხოლო დონორებისგან მისაღები დახმარება გაწერილ ვადებში შემოდის. რაც შეეხება გარე ფაქტორებს, მიმდინარე წელს იმპორტი 40 პროცენტით შემცირდა, საწვავის ფასი დაეცა და ა.შ. მსგავსი ფაქტორები ქვეყანაში დოლარზე მოთხოვნას ამცირებს.

სავალუტო აუქციონები მიმდინარე წლის მარტში ბლუმბერგის სავაჭრო ტერმინალის მეშვეობით კვირაში ორჯერ იმართებოდა. დღემდე ეროვნულმა ბანკმა 20 აუქციონი ჩაატარა და დადებული ტრანზაქციებით, საერთო ჯამში 33,7 მლნ დოლარი გაყიდა, ხოლო 5 მლნ დოლარი შეიძინა. რა მექანიზმით მოხდება ლარის გაცვლითი კურსის დადგენა? მეთოდოლოგიის ცვლილება ამ რეფორმის შემადგენელი ნაწილია. ეროვნული ბანკი ყოველდღიურად ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში (ბლუბერგის სისტემით ვაჭრობა მთელი დღის განმავლობაშია შესაძლებელი) ბანკთაშორის ბაზარზე დადებული გარიგებების და სავალუტო აუქციონებზე დაფიქსირებული შედეგების გათვალისწინებით გამოითვლის დღის საშუალო-შეწონილ კურსს და ის იქნება მომდევნო დღის ლარის გაცვლითი კურსი. ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო აუქციონებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია იმავე დღესვე იქნება ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე. ამის გარდა, ყოველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება ახალი ოფიციალური გაცვლითი კურსი.

რაც შეეხება სავალუტო ბირჟას, ეროვნული ბანკის ახალი პროდუქტის ჩაშვების შემდეგ, ბუნებრივია, სავალუტო ბაზარში ჩართულ სავალუტო ბირჟაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდება და ის იქამდე იარსებებს, სანამ მისი დამფუძნებლები ლიკვიდაციას გადაწყვეტენ. სააქციო საზოგადოება "ბანკთაშორის სავალუტო ბირჟა" ეროვნულმა ბანკმა 1992 წლის სექტემბერში 12 კომერციულ ბანკთან ერთად დააფუძნა. "24 საათთან" საუბარში ქადაგიძე ამბობს, რომ აქციონერთა შორის ზოგი ბანკი გაკოტრებულია, ზოგი კი ლიკვიდაციის რეჟიმშია. მაგრამ ეს არ უშლის ხელს აღნიშნულ იურიდიულ პირს, საქმიანობა წარმართოს და, შესაბამისად, მოგებაც მიიღოს".

12 წლის შემდეგ ვალუტით ვაჭრობამ სავალუტო აუქციონზე გადაინაცვლა და, შესაბამისად, ბაზრის გადანაწილებაც დაიწყო.

# "საქართველოს ბანკი" 2009 წლის პირველი კვარტლის შედეგებს აქვეყნებს

მანანა ვარდიაშვილი

სს "საქართველოს ბანკმა" საერთაშორისო საფინანსო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში 2009 წლის პირველ კვარტალში გაწეული საბანკო საქმიანობის შედეგები გამოაქვეყნა. მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში ბანკის წმინდა მოგება 11,3 მილიონ ლარს გაუტოლდა. წმინდა საპროცენტო მოგება 53,3, ხოლო წმინდა არასაპროცენტო მოგება 16.3 მილიონი ლარია. ამავე პერიოდში "საქართველოს ბანკის" მთლიანმა საოპერაციო მოგებამ 69,6, ხოლო მთლიანმა საოპერაციო ხარჯებმა 28,8 მილიონი ლარი შეადგინა.

2009 წლის 31 მარტის მდგომარეობით ბანკის მთლიანი აქტივები 2,9 მილიარდ ლარს გაუტოლდა. წმინდა სესხებმა 1,8 მილიარდი ლარი შეადგინა. ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა მთელი სასესხო პორტფელის 4,7 პროცენტია, რაც ბანკის ინფორმაციით დაბალი მაჩვენებელია. 2009 წლის პირველ კვარტალში ბანკის დეპოზიტები 979 მლნ. ლარია. ბანკის მთლიანი ვალდებულებები კი სააქციო კაპიტალს 3,1-ჯერ აღემატება.

ეროვნული ბანკის სტანდარტების მიხედვით, "საქართველოს ბანკის" ლიკვიდობამ (ნაღდი ფული და ექვივალენტი) 37,6 პროცენტი შეადგინა, რაც წინა კვარტლის მაჩვენებელს 27 პროცენტით აღემატება და მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი 20 პროცენტი. ამავე პერიოდში "საქართველოს ბანკის" პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი 16,4 (ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი მინიმალური ზღვარი 8 პროცენტია), ხოლო მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი 17,4 პროცენტია (ეროვნულ ბანკის მიერ მოთხოვნილი ქვედა ზღვარი 12 პროცენტია).

2009 წლის 31 მარტის მდგომარეობით "საქართველოს ბანკის" საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 34,3, მთლიანი სესხების მიხედვით 32,2, დეპოზიტების მიხედვით 28, ხოლო სააქციო კაპიტალის მიხედვით 41 პროცენტი შეადგინა.

"საქართველოს ბანკმა" რთული ეკონომიკური გარემოს პირობებში კარგი შედეგები აჩვენა. მას წამყვან ბანკებს შორის ყველაზე მაღალი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი აქვს. ბანკის ჭარბი კაპიტალის მოცულობა 177 მლნ. ლარს შეადგენს, რაც სასესხო პორტფელთან მიმართებაში კარგი მაჩვენებელია. "საქართველოს ბანკის" ჭარბი ლიკვიდურობა 200 მილიონ ლარს უტოლდება. ამრიგად, ბანკს ძლიერი კაპიტალის ბაზა და ლიკვიდობის მაჩვენებლები აქვს," - აცხადებს "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნიკა ენუქიძე.

# ასფალტის ქარხანა ღვინის მხარეში




სოფელ მუკუზნის მოსახლეობისათვის ცნობილი გახდა, რომ კახეთის გზატკეცილის ცენტრალური გზის ბაკურციხე-კარდენახის მონაკვეთზე ახალი ასფალტის საფარი დაიგება, ხდება ტრასის ძირეული რეაბილიტაცია. გამოცხადებულ კონკურსში, როგორც ამბობენ, "თბილტრანსკავკაზმშენის" ორგანიზაციამ გაიმარჯვა. მათ აღარ დაუყოვნებიათ და აღნიშნული მონაკვეთის ხრეშით, ქვიშით, ასფალტითა და სხვა სამშენებლო მასალებით მომარაგებისათვის სოფელ მუკუზანში აშენებენ სხვადასხვა დანიშნულების საწარმოებს შესაბამისი მოძრავ-მექანიზებული ტექნიკით.

მუკუზნელები მივესალმებით ყველა ობიექტის მშენებლობას, გარდა ასფალტის სახარში საამქროსი, რომლის მშენებლობის კატეგორიული წინააღმდეგები ვართ და ამ წინააღმდეგობისათვის საკმარისი არგუმენტები გაგვაჩნია.

თუკი ასფალტსახარში ექსპლუატაციაში გადაიცემა, მაშინ იგი დაცილებული იქნება: მუკუზნის საშუალო სკოლიდან 450-500 მეტრით, მუკუზნის საბავშვო ბაღიდან 450-500, სასმელი წყლის შემკრები ავზიდან 300-350, ავზში შემავალი კოროზირებული მილებიდან 100-200, სოფლის ნახირის საძოვრიდან 10-15 მეტრით.

ასფალტსახარშის მარჯვნივ და მარცხნივ, 150 მეტრში, ცივ-გომბორის კალთებზე

გაშენებულია საფერავის ენდემური ჯიშები, რომლებისგანაც მზადდება მსოფლიოში სახელგანთქმული. ჩვენი საუკეთესო ღვინო ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნიდან რუმბებით გაჰქონდათ საფრანგეთში მეფის კარზე, დღეს კი უამრავი ოქროს მედლის მფლობელია და წარმატებით უწევს კონკურენციას ცნობილ ფრანგულ ბორდოს ღვინოებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ დღეს საფრანგეთში ვინმემ ბორდოს ველის ცენტრში ასეთი ტიპის საამქრო ჩადგას და ასფალტი ხარშოს, როგორც ეს მუკუზანში განიზრახეს და ახორციელებენ.

გავიხსენოთ, რომ ვერანაირი ფილტრდამჭერი ვერ ფილტრავს გამონაბოლქვის უწვრილეს ნაწილაკებს, რომელიც ადამიანის ფილტვებში ხვდება და იწვევს დაავადებებს: კიბოს, ბრონქიტს, ბრონქოპნევმონიას, გულისა და ფილტვების დაავადებებს; ნივთიერებები, რომლებიც წვის შედეგად გამოიყოფა, მოქმედებენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ფოთოლზე მოხვედრილი ქიმიური ნივთიერებები კი ნიტრატებს გარდაქმნის ნიტრიტებად და ასეთი სახის ხილი, ბოსტნეული თუ ბაღჩეული საკვებად ვარგისია მხოლოდ 15 წუთით წყალში დუღილის შემდეგ. ჩვენდა სავალალოდ, თუ ასეთი ტიპის საწარმოო ობიექტი მუკუზანში ექსპლუატაციაში შევიდა, ჩვენი ცნობილი საფერავი, რომლისგანაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, "მუკუზანი" მზადდება, უნდა მივირთვათ მხოლოდ 15 წთ. დუღილის შემდეგ. ვფიქრობთ, ამით მარტო მუკუზნელები არ დავზარალდებით.

ჩვენ არასოდეს შევურიგდებით ამ ობიექტის მუკუზანში ამოქმედებას და ექსპლუატაციაში შესულ ობიექტს, დღეს თუ არა ხვალ, მაინც გავაჩერებთ.

***მუკუზნელები***
*(400-მდე ხელმოწერა)*

# "სახალხო ბანკმა" აქტიური კლიენტები 1000-ლარიანი ვაუჩერებით დააჯილდოვა

"სახალხო ბანკმა" წამახალისებელი აქციის 20 გამარჯვებული კლიენტი და 20 თანამშრომელი 1000 ლარიანი ვაუჩერებით დააჯილდოვა.

ფართომასშტაბიან აქციაში გამარჯვებულთა დაჯილდოება 23 მაისს ბანკის სათაო ოფისში გაიმართა.

წამახალისებელი აქცია გასული წლის პირველი აგვისტოდან დაიწყო და მასში "სახალხო ბანკის" სახელფასე VISA პლასტიკური ბარათის ყველა მფლობელი მონაწილეობდა.

გათამაშების პირობით, აქციაში მონაწილეს პლასტიკური ბარათით მინიმუმ 20 ტრანზაქცია უნდა განეხორციელებინა.

აქციაში გაიმარჯვეს აქტიურმა მონაწილეებმა, რომლებმაც VISA პლასტიკური ბარათებით ყველაზე მეტი ტრანზაქცია განახორციელეს.



# ომბუდსმენმა და მისმა მოადგილემ პატიმრები მოინახულეს

*მუხროვანის სატანკო ბატალიონში მომხდარი ამბოხის ორგანიზებაში ბრალდებული სამხედროები კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე ჯერჯერობით კვლავ ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში რჩებიან. ორივე მათგანი უკვე პალატაში იმყოფება და როგორც ექიმები აცხადებენ, მძიმე ოპერაციების შემდეგ, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. სპეცოპერაციისას დაჭრილ სამხედოებს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა კლინიკაში შეუფარდეს. ცალ-ცალკე პალატაში მყოფ პატიმრებს სამართალდამცველები იცავენ.*

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა და მისმა მოადგილე გიორგი ჩხეიძემ კობა ოთანაძე კლინიკაში მოინახულეს. როგორც ომბუდსმენის აპარატის წევრები აცხადებენ, ომბუდსმენს და მის მოადგილეს დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა პრობლემები შეუქმნეს.

**"ოთანაძის პალატაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლების გარდა, შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებიც იმყოფებოდნენ. სოდ-ის თანამშრომლებმა, რომლებმაც ვინაობა არ დაასახელეს, არ დატოვეს პალატა და არ მისცეს სახალხო დამცველს და მის მოადგილეს საშუალება, პირისპირ, მეთვალყურეობის გარეშე გასაუბრებოდნენ ოთანაძეს,"** - განმარტავენ სახალხო დამცველის აპარატში.

ომბუდსმენის აპარატის წევრებისთვის გაუგებარია, რატომ არ მისცეს კობა ოთანაძესა და ლევან ამირიძეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ომბუდსმენთან პირისპირ საუბრის უფლება, მაშინ, როცა ეს კანონითაა გარანტირებული.

**"საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, "სახალხო დამცველის საქმიანობისთვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით". სახალხო დამცველი მოითხოვს, პასუხი აგოს ყველა იმ პირმა, ვინც დაბრკოლებები შეუქმნა მას და მის რწმუნებულებს იმაში, რომ შეხვედროდნენ დაკავებულებს პირადად, ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის წევრები.

დაცვის ქვეშ მყოფის პალატასთან სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების ყოფნას აპროტესტებს კობა ოთანაძის ადვოკატი ონისე მებონიაც. **"ვაპირებ, თხოვნით მივმართო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინს, კობა ოთანაძის პალატასთან დაცვის რეჟიმში სასჯელაღსრულების დაწესებულების ბადრაგი დადგეს და არა "სოდ"-ის თანამშრომლები,"** - აცხადებს ადვოკატი ონისე მებონია.

ადვოკატის თქმითვე, კობა ოთანაძე სუსუტად არის და დიდხანს საუბარი არ შეუძლია, რის გამოც, ადვოკატს დაცვის ქვეშ მყოფთან საუბრის საშუალება ჯერ არ ჰქონია.

*საკუთარი ინფორმაცია*

# სტრასბურგში გაგზავნილი განაცხადი

## "თამაზ ქარდავა უკრაინის სახელმწიფოს წინააღდეგ"

*სტრასბურგის სასამართლომ წარმოებაში მიიღო კიევში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე თამაზ ქარდავას განაცხადი, რომლითაც იგი კიეველ სამართალდამცველებს მის უკანონო დაკავებასა და მის მიმართ განხორციელებულ სისასტიკეში ადანაშაულებს. ევროსასამართლომ განაცხადს ნომერი უკვე მისცა და სტრასბურგის სასამართლო საქმეს დაჩქარებული წესით განიხილავს.*

თამაზ ქარდავა კიეველმა სამართალდამცველებმა 2008 წლის 7 აგვისტოს დააკავეს და მოგვიანებით, ყაჩაღობაში დასდეს ბრალი. როგორც თამაზ ქარდავას ადვოკატები ლელა ხორავა და ანა ჩალაური აცხადებენ, ქარდავა ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე უკვე რვა თვეა პატიმარია და თანაც სასტიკი წამების მსხვერპლი გახდა.

**"მის დაკავებას უძლოდა კიევში სამუშაოდ ჩასული 24 წლის იაშა არველაძის მკვლელობა. იგი კიევში ავტოპატრულმა დააკავა, მილიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც სასტიკად სცემეს და რის შედეგადაც გარდაიცვალა, ცხედარი კი ქუჩაში დააგდეს. მომხდარის თვითმხილველი აღმოჩნდა თამაზ ქარდავა, რომელმაც მომხდარი მკვლელობა არ დაფარა და მის ხელთ არსებული მასალები მიაწოდა საქართველოს ტელევიზიებს - საზოგადოებრივ არხს და ტელეკომპანია "იმედს". სწორედ ამ ფაქტის შემდეგ დაიწყო კიეველი სამართალდამცველების მხრიდან თამაზ ქარდავას დევნა,"** - აცხადებენ მისი ქართველი ადვოკატები.

მათივე ინფორმაციით, ქარდავას დაკავებიდან რვა თვე გავიდა და დაკავებისას შედგენილი ოქმის გარდა, გამოძიებას არ ჩაუტარებია არც ერთი სხვა საგამოძიებო მოქმედება. თამაზ ქარდავას უკრაინელი ადვოკატის განცხადებით, დაკავებულის დანაშაულში მონაწილეობა ეფუძნება მხოლოდ ვარაუდს და ეჭვს, რომ თითქოს დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული იყო მუქი ფერის, დაახლოებით იმ ფერის მანქანა, როგორიც ჰყავდა ქარდავას - სხვა მტკიცებულება საქმეში არ არსებობს. არადა, როგორც ადვოკატი აცხადებს, გამოძიება არ დაინტერესებულა დაედგინა დანაშაულის ჩადენის ადგილას იმყოფებოდა თუ არა თამაზ ქარდავას მანქანა.

**"კიეველი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული პროცესუალური მოქმედება, მხოლოდ დაკავებულის წამება იყო. აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით იგი იმდენად სასტიკად აწამეს, რომ აუცილებელი გახდა მისი სტაციონარში - კიევის საქალაქო კლინიკურ საავადმყოფოში გადაყვანა, სადაც თვენახევარი გადიოდა მკურნალობის კურსს, იმდენად მძიმე დაზიანებები ჰქონდა მიყენებული. მას დაუდგინდა თავის ტვინის, შინაგანი ორგანოების დაჟეჟილობები და სხვა დაზიანებები. მის მიმართ გაუგონარი ძალადობა გამოიყენეს და თან, დაემუქრნენ, რომ გადაღებულ კადრებს პატიმრებს აჩვენებდნენ,"** - აცხადებენ ადვოკატები.

თამაზ ქარდავამ განცხადებით მიმართა კიევის პროკურატურას, უკრაინის პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვაში უფლებამოსილ პირს, უკრაინის შსს-ს, გენერალურ პროკურატურას და მოითხოვდა, შემწყდარიყო მის მიმართ განხორციელებული წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახავი ქმედებები, თუმცა, მის წერილებს ადრესატამდე არ მიუღწევია, რადგანაც, მისი განცხადებები გამომძიებელმა დამალა.

თამაზ ქარდავას ქართველი ადვოკატები აცხადებენ, რომ ზეწოლა განხორციელდა მისი ოჯახის წევრებზეც, რომლებიც კიევში ცხოვრობდნენ და რის გამოც, მათ დატოვეს უკრაინა.

**"თამაზ ქარდავა უმძიმეს მდგომარეობაშია, განსაკუთრებით მძიმეა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მაგრამ შესაბამის სამედიცინო დახმარებას არ უწევენ, წამალსაც კი არ აძლევენ. მასთან მიჰყავთ მათი ექიმები, რომლებიც დასკვნაში წერენ, რომ ქარდავას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია,"** - აცხადებს ქარდავას ადვოკატი ანა ჩალაური.

ადვოკატები ითხოვენ, შეწყდეს თამაზ ქარდავას წამება და სხვა სასტიკი ქმედებები და მას ჩაუტარდეს მკურნალობის კურსი. ასევე, მათი მოთხოვნაა, დასრულდეს გამოძიება და საქმე გადაეცეს სასამართლოს.

**"თამაზ ქარდავა არ გაურბის გამოძიებას, მეტიც, იგი ითხოვს, საქმის ობიექტურ გამოძიებას, რათა ბოლოს და ბოლოს დასრულდეს მისი კონსტიტუციური და საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული უფლებების დარღვევა და შეწყდეს მისი წამება,"** - აცხადებენ ადვოკატები, რომლებმაც სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი განაცხადით ევროკონვენციის მე-3, მე-5, მე-6 და პირველი დამატებითი ოქმის დარღვევები - წამება, არაადამიანური და ღირსების შეურაცხმყოფელი მოპყრობა, თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება, უკანონო დაკავება, საკუთრების ხელყოფა გაასაჩივრეს. სტრასბურგის სასამართლომ ადვოკატებს დამატებითი მასალების გაგზავნა მოსთხოვა, რის შემდეგაც საქმის - "თამაზ ქარდავა უკრაინის სახელმწიფოს წინააღდეგ", განხილვას დაიწყებს.

# "მაესტროს" ინტერესებს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" დაიცავს

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" გმობს ტელეკომპანია "მაესტროში" მომხდარ ინცინდენტს, რომლის დროსაც ტელეკომპანიის შესასვლელთან ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა.

"სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობისა თუ ზეწოლის ფაქტებმა თანდათან მიიღო საშიში ტენდენციის ფორმა. "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ტელეკომპანია "მაესტროში" მომხდარი აფეთქების ფაქტს აფასებს, როგორც გამოხატვის თავისუფლებაში უხეში ჩარევისა და ჟურნალისტთა დაშინების მცდელობას, რომელიც ამავე დროს ატარებდა ადამიანთა სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიშ ხასიათს. მივმართავთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მაქსიმალურად უმოკლეს ვადაში გამოიძიოს მომხდარი ფაქტი და საზოგადოებას მიაწოდოს ობიექტური და ამომწურავი ინფორმაცია გამოძიების შედეგების შესახებ," - აცხადებენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში".

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია " ტელეკომპანია "მაესტროს" ინტერესებს დაიცავს.


AIR

## საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია
## სასწავლო პროგრამა
## "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა"

საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაცია გიწვევთ სასწავლო პროგრამაში: "პოლიტიკისა და დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა." პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ანალიზის საფუძვლების შესწავლით; მათთვის, სურვილი აქვს განავითაროს უკვე არსებული ცოდნა ამ სფეროში.

პროგრამა შედგენილია იმდაგვარად, რომ სტუდენტებს მიიღონ თეორიული ცოდნა საგარეო პოლიტიკის საკითხებში და აგრეთვე განავითარონ ის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭიროა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის, არამედ მისი რეალიზაციისათვის. სასწავლო პროგრამის აქცენტი განაწილებულია საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძვლებისა და მიმდინარე დებატების უკეთ გასაცნობად. ამ მხრივ, სტუდენტები მიიღებენ, როგორც საბაზო ცოდნას, ასევე ინფორმაციას თანამედროვე მიდგომებისა და პოლიტიკური პრობლემატიკის შესახებ.

**ძირითადი თემები:** სტრატეგია და პოლიტიკა; უსაფრთხოების პოლიტიკა; პოლიტიკური მიზნები და სამხედრო ძალა; საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი პარადიგმები; პოლიტიკური რისკის შეფასება, ანალიზი და მენეჯმენტი; მსოფლიო დიპლომატიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი მოვლენები; დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა; თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში; დაზვერვა, როგორც პოლიტიკა, ორგანიზაცია და პროცესი; დაზვერვა და პოლიტიკა; ინფორმაცია და მისი წყაროები, ინფორმაციის ანალიზი.

**სტუდენტთა აღიარება და სტაჟირება**

წარმატებულ კურსდამთავრებულებს გადაეცემათ საერთაშორისო ურთიერთობების ასოციაციის სერთიფიკატი. საუკეთესო კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ გაიარონ სტაჟირება ასოციაციაში, გაზეთ "24 საათში" და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში.

**პროგრამის ლოგისტიკა**

ლექციები წარიმართება ქართულ ენაზე. საკითხავი მასალა მოწოდებული იქნება ინგლისურ ენაზე. ლექციები ჩატარდება კვირაში ოთხჯერ, საღამოს 6:30-9:00 საათებში. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ოთხი სრული სასწავლო კურსი, რომელთა ჯამური ხანგრძლივობა ორი თვეა. პროგრამის ღირებულებაა 600 ლარი. მისაღები ლიმიტია 25 სტუდენტი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შევსებული აპლიკაცია (შეგიძლიათ შეავსოთ აქ: http://bmu.li/st4 ) **არა უგვიანეს 25 მაისისა.** სასწავლო პროგრამა დაიწყება **27 მაისს და დასრულდება 31 ივლისს.** დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: training@air.org.ge

# მსოფლიო ფხენიანის ბირთვულმა გამოცდამ შეაშფოთა

მარიკა იაშვილი

ჩრდილოეთ კორეამ მეორე ბირთვული გამოცდის წარმატებით ჩატარების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

ოფიციალური ფხენიანის მტკიცებით, გამოცდა ქვეყნის ბირთვული ძალის განსამტკიცებლად ჩატარდა. თუმცა ეს იმ შესაძლებლობების დემონსტრირებასაც ემსახურებოდა, რომელთა გამოყენება ქვეყანას საგარეო აგრესიის შემთხვევაში თავდაცვის მიზნით შეუძლია.

სამხრეთ კორეაში ამტკიცებენ, რომ ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული გამოცდის შემდეგ ახლო მანძილზე მოქმედების ორი ბალისტიკური რაკეტაც გაუშვა.

ფხენიანში აცხადებენ, რომ ორშაბათს განხორციელებული აფეთქება ბევრად უფრო მძლავრი იყო, ვიდრე წინა, 2006 წლის ოქტომბერში ჩატარებული გამოცდის დროს მომხდარი აფეთქება.

ფხენიანის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ სეულის მიერ ცოტა ხნით ადრე გაკეთებული განცხადებები დაადასტურა. ცნობილი გახდა, რომ სეულმა მომხდარის გამო მთავრობის საგანგებო სხდომა მოიწვია.

აშშ-ს გეოლოგიური სამსახური აცხადებს, რომ რიხტერის შკალით 4.7 ბალის მაგნიტუდის მიწისქვეშა ბიძგები 10 კილომეტრის სიღრმეზე გრინვიჩის დროით 00:54 საათზე დაფიქსირდა.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება არ ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად განხორციელდა გამოცდა.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ კორეაში ამტკიცებენ, რომ სეისმური ბიძგები ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ კილჩუსთან დაფიქსირდა, იმავე ადგილას, სადაც პირველი გამოცდა ჩატარდა.

ჩრდილოეთ კორეის მიერ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში ბირთვული გამოცდის ჩატარების ფაქტი რუსეთის თავდაცვის სამინისტრომაც დაადასტურა.

"ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის სიმძლავრე, რუსეთის ბირთვული აფეთქებების კონტროლის ტექნიკური საშუალებების მონაცემებით, დაახლოებით, 20 კილოტონას შეადგენდა. აფეთქება ჩრდილოეთ კორეის ჩრდილო-აღმოსავლეთში იმავე პოლიგონზე ჩატარდა, რომელზეც 2006 წელს პირველი მიწისქვეშა გამოცდა მოეწყო," - აცხადებენ რუსეთის თავდაცვის სამინისტროში.

სწორედ 20 კილოტონის სიმძლავრის იყო პირველი ატომური ბომბიც, რომელიც ამერიკელებმა 1945 წლის 6 აგვისტოს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში ჩამოაგდეს.

ვაშინგტონში კი აცხადებენ, რომ მომხდარი აფეთქების ანალიზი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ჩაკეტილი ქვეყნის ქმედებების მოტივის განსაზღვრა ყოველთვის რთული იყო, თუმცა ნათელია, რომ ოფიციალურმა ფხენიანმა მსოფლიო საზოგადოების მიმართ ტონი შეიცვალა და მოლაპარაკებებიდან აშკარა კონფრონტაციაზე გადავიდა.

ჩრდილოეთ-კორეის მორიგ გამოცდას დაუყოვნებლივ მოჰყვა საერთაშორისო გამოხმაურება და კრიტიკა.

**"გამოცდის ჩატარება გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების უხეში დარღვევაა და იაპონია ყოველგვარ ბირთვულ გამოცდას მკაცრად აკრიტიკებს,"** - განაცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კაზუო კომადამ. მინისტრთა კაბინეტთან საგანგებო კრიზისული შტაბიც კი შეიქმნა, რომელიც მომხდარს იძიებს.




*სამხრეთ კორეაში ფხენიანის წინააღმდეგ დემონსტრაციები გაიმართა*

სამხრეთ კორეაში ექსტრემალური წესით შეიქმნა კრიზისული სიტუაციის მართვის ცენტრი, რომელიც ყველაზე მაღალჩინოსანი პოლიტიკოსებით არის დაკომპლექტებული.

მომხდარს გამოეხმაურა აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ფხენიანის მიერ განხორციელებული გამოცდები საერთაშორისო უშიშროებას უქმნის საფრთხეს.

ბირთვული გამოცდის გამო შეშფოთება გამოთქვა რუსეთმაც, თუმცა განაცხადა, რომ დასკვნების ნაადრევად გაკეთება არ ღირს.

ფხენიანის ქმედებებით უკმაყოფილოა ევროკავშირიც, ხოლო დიდი ბრიტანეთის პერმიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი აცხადებს, რომ "გამოცდა ხელს უშლის კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობის დამყარების პერსპექტივას და ამავე დროს ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას."

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების მიერ ბირთვული გამოცდის წარმატებით ჩატარების შესახებ გაკეთებული განცხადების გამო გაერო-ს უშიშროების საბჭო საგანგებო სხდომის გამართვას გეგმავს. ამის მიზეზი იაპონიის მოთხოვნაა. იაპონიასა და სამხრეთ კორეას მიჩნიათ, რომ მომხდარზე გაერო-ს დაუყოვნებლივ უნდა ჰქონდეს რეაქცია. სავარაუდოდ, ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლები ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსგან ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ სანქციების გაძლიერებას მოითხოვენ.

პირველი მიწისქვეშა ბირთვული გამოცდის გამო, რომელიც 2006 წელს ჩატარდა, გაერო-ს უშიშროების საბჭომ ფხენიანის წინააღმდეგ მთელი რიგი სანქციები შეიმუშავა, რომლებიც ჩრდილოეთ კორეას ყველა სახის ბირთვულ იარაღზე მუშაობასა და შორეული მოქმედების ბალისტიკური რაკეტების წარმოებას უკრძალავდა. სანქციები იმის მიუხედავად დაწესდა, რომ ამერიკელ ექსპერტთა დასკვნით, ფხენიანმა შედარებით მცირე სიმძლავრის, პრიმიტიული მოწყობილობის გამოცდა მოაწყო, რომელმაც არცთუ წარმატებით ჩაიარა. კონკრეტულად კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფეთქების დროს სრულყოფილი ჯაჭვური ბირთვული რეაქციის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა.

დღემდე ექსპერტთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ჩრდილოეთ კორეას კომპაქტური ბირთვული ქობინების შესაქმნელად საჭირო ტექნიკა არ გააჩნდა.

პირველი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფხენიანმა ეს პრობლემა უკვე მოაგვარა, მიმდინარე წლის 31 მარტს, საერთაშორისო კვლევით ცენტრ "ინტერნეიშენალ კრიზის გრუპ"-ის წარმომადგენელმა გაავრცელა. ჩდილოეთ კორეამ კი გამოცდის ჩატარებით ჯერ კიდევ საეჭვო ინფორმაცია დაადასტურა.

მომხდარით საფრთხე შეექმნა სამხრეთ კორეის არა მხოლოდ უშიშროებას, არამედ ეკონომიკასაც. რეგიონში დაძაბულობის ზრდის გამო ქვეყნის საფონდო ბირჟის აქციების ფასმა 4 პროცენტით დაიწია.

# მონღოლეთის საპრეზიდენტო არჩევნები ოპოზიციამ მოიგო

ივა შილაკაძე

კვირას მონღოლეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მასში ორი კანდიდატი მონაწილეობდა: მოქმედი პრეზიდენტი, მმართველი "სახალხო-რევოლუციური პარტიის" (ყოფილი "კომუნისტური პარტიის") წარმომადგენელი ნამბარინ ენხბაიარი (ეს პარტია ქვეყანას, ფაქტობრივად, 1921 წლიდან მართავს) და ოპოზიციური "დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენელი ცახიაგიინ ელბეგდორჟი.

ორშაბათს დილას, ჯერ კიდევ ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებამდე, ოპოზიციურმა "დემოკრატიულმა პარტიამ" უკვე გამოაცხადა საკუთარი კანდიდატის გამარჯვება. მალე დამარცხება აღიარა პრეზიდენტმა ნამბარინ ენხბაიარმა. მანვე დასძინა, რომ განსხვავება კანდიდატებს შორის მინიმალური იყო. საარჩევნო კომისიის ოფიციალურ მონაცემებს საღამოს ელოდებოდნენ.

46 წლის ცახიაგიინ ელბეგდორჟი მონღოლეთის კომუნისტური სისტემის მშვიდობიანი დემონტაჟის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. მას ადრე ორჯერ ეკავა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი, იყო მონღოლეთის უმაღლესი სახელმწიფო ხურალის (პარლამენტი) ვიცე-სპიკერიც. მის საარჩევნო პროგრამაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის უფრო ეფექტიან გამოყენებაზე უბრალო ხალხის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. მონღოლეთი საკმაოდ ღარიბი და სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის დახმარება მოაკლდა. 1990-იან წლებში მან უარი თქვა საბჭოთა ტიპის ერთპარტიულ სახელმწიფოზე და პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარება დაიწყო. ახალმა კონსტიტუციამ დემოკრატიის პრინციპები და კერძო საკუთრება დაამკვიდრა.

მონღოლეთში ერთი წლის წინათ საყოველთაო საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელსაც გაყალბების გამო ბრალდებით საპროტესტო გამოსვლები და მასობრივი არეულობა მოჰყვა. მაშინ ხუთი ადამიანი დაიღუპა და ასობით დაშავდა. წელს მასობრივი არეულობების თავიდან ასაცილებლად ქვეყანაში აკრძალულია ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და გაუქმებულია მასობრივი ღონისძიებები.

# ებრაული დასახლებები ფართოვდება

მარიკა იაშვილი

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, აშშ-ს წინააღმდეგობის მიუხედავად, აცხადებს, რომ მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ებრაული დასახლების გაფართოება გაგრძელდება.

მის თქმით, საუბარია არა ახალი დასახლებების მშენებლობაზე, არამედ უკვე იქ მცხოვრები ებრაელებისთვის გაფართოების ნებართვის მიცემაზე.

**"არ ვაპირებ ახალი დასახლებების აშენებას. თუმცა უაზრო იქნებოდა ჩვენთვის იმის თხოვნა, რომ ზრდის ბუნებრივ პროცესს იგნორირება გავუკეთოთ და არსებული მოსახლეობისთვის დამატებითი საცხოვრებელები არ ავაშენოთ,"** - ერთ-ერთი ებრაელი მაღალჩინოსნის თქმით, სწორედ ასეთი განცხადება გააკეთა ისრაელის პრემეირ-მინისტრმა კაბინეტის სხდომაზე.

გარდა ამისა, ნეთანიაჰუმ პირობა დადო, რომ დასავლეთ სანაპიროზე გააუქმებს ყველა სამეთვალყურეო პოსტს, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უსაფრთხოების დაცვის მიზნით თვითნებურად შექმნეს. ისრაელის ხელისუფლება ამ პოსტებს უკანონოდ მიიჩნევს.

მთავრობის ყოველკვირეული სხდომის წინ თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა განაცხადა, რომ ისრაელის ხელისუფლება 22 სამეთვალყურეო პოსტის გაუქმებას აპირებდა.

იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე დასახლებების მშენებლობის დაწყების დღიდან ისრაელმა 121 დასახლების აშენების ნებართვა გასცა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე ებრაელმა მოსახლეობამ იქ თვითნებურად 100 სამეთვალყურეო პოსტი ააშენა.

გასულ კვირას ბენიამინ ნეთანიაჰუს ვაშინგტონში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ დასახლებების მშენებლობას და გაფართოებას ბოლო უნდა მოეღოს. ობამასა და ნეთანიაჰუს განხილვის მთავრი თემა ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტი იყო, რომლის მოგვარებისთვის ერთ-ერთ მთავარი დაბრკოლებას სწორედ იორდანეს სანაპიროზე არსებული ებრაული დასახლებები წარმოადგენს.

მშენებლობების შეწყვეტის მომხრეა რომის პაპი ბენედიქტ XVI-ც, რომელმაც თავისი პოზიცია ახლო აღმოსავლური ტურნეს დროს დააფიქსირა. პონტიფიკი მიიჩნევს, რომ ეს შესაძლოა კონფლიქტის მოგვარებისკენ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად იქცეს. პალესტინური ავტონომიის ლიდერი მაჰმუდ აბასი მიიჩნევს, რომ ნეთანიაჰუსთან შეხვედრას აზრი არა აქვს იმ დრომდე, სანამ მშენებლობებს ბოლო არ მოეღება და ებრაელი პრემიერი ღია მოლაპარაკებებს არ დათანხმდება.

რამდენად შესაძლებელია ებრაულ-პალესტინური მოლაპარაკებების ახლო პერიოდში დაწყება, ჯერ კიდევ გაურკვეველია, რადგან ისრაელი ძველებურად აგრძელებს ღაზას სექტორის პერიოდულად დაბომბვას. ბოლო აფეთქება, რომელიც სექტორის სასაზღვრო რაიონში მოხდა, ერთგვარად საინფორმაციო ხასიათის იყო. ებრაელების მიერ ქალაქ თელ ალ-ჰავას თავზე აფეთქებული რაკეტიდან ფურცლები გადმოიყარა, რომელშიც ისრაელის ხელისუფლება პალესტინელებს სთხოვს, თავი შეიკავონ ისრაელის საზღვრისკენ გადაადგილებისგან, რადგან ასეთი მოძრაობა შესაძლოა მოსახლეობისთვის სახიფათო იყოს.

პალესტინური წყაროს ცნობით, ფურცლები ჩატვირთული იყო საგანგებო რაკეტაში, რომლის აფეთქებამაც ახლოს მდებარე სკოლებში პანიკა გამოიწვია.

ბოლო საჰაერო თავდასხმა ღაზას სექტორზე ისრაელმა მაისის დასაწყისში განახორციელა. საჰაერო იერიშის ობიექტი ღაზასა და ეგვიპტის საზღვრის ქვეშ გამავალი გვირაბები იყო, რომლებსაც დაჯგუფება "ჰამასი" ბლოკირებულ სექტორში კონტრაბანდული იარაღისა და პირველადი მოხმარების საგნების შესატანად იყენებდა.



# გამარჯვებული საქართველოს ბანკში

**გახსენით ანაბარი, ჩაერთეთ გათამაშებაში, მოიგეთ ფულადი პრიზი და ბინა**

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

# არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს, აინტერესებს ყველას

## ინტერვიუ კულტურისა და სპორტის მინისტრთან ნიკა რურუასთან

მაია ჭალაგანიძე

**- კანის ფესტივალის წითელ ხალიჩაზე გიხილეთ. მინისტრის ჩასვლა, ალბათ, მნიშვნელოვან მიზნებს ემსახურებოდა...**

- ჩვენ კანში საკმაოდ ხმამაღალი განცხადება გავაკეთეთ. ყველა შეხვედრაზე განვაცხადეთ, რომ ვართ კინოწარმოებაზე სერიოზულად ორიენტირებული ქვეყანა, სახელმწიფო. ვთქვით, რომ სახელმწიფო ყველანაირი რესურსით შეუწყობს ხელს საქართველოში კოპროდუქციების მოზიდვას იმისთვის, რომ ქართველ და უცხოელ რეჟისორებთან და პროდიუსერებთან ერთად ბევრი პროექტი გაკეთდეს. ეს ადგილზე შეგვიქმნის ინფრასტრუქტურას და მერე ამ თანამშრომლობის შედეგად შექმნილი გარემო ჩვენი, ქართული არაკომერციული თუ კომერციული კინოს განვითარებას მოხმარდება.

კინემატოგრაფია ჩვენთან 20 წელია, ერთ ადგილზე დგას. ბოლო სამი წლის განმავლობაში ახალგაზრდებმა ცარიელი ენთუზიაზმით დაიწყეს მოქმედება. რამდენიმე სტუდიაა, რომელიც დღეს რაღაცას აკეთებს, მაგრამ ეს დაახლოებითაც არ არის ის, რაც შეიძლება ყოფილიყო, ეს ნაბიჯები 15 წლის წინ რომ გადაგვედგა. დღეს, ფაქტობრივად, ნულიდან ვიწყებთ, თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენთვის ნულიდან დაწყება არ გამოდის, რადგან ქართული კინო 100 წლის არის. მსოფლიოში არ არის ბევრი დიდი და წარმატებული ქვეყანა, რომელიც 100 წლის წინ კინოს იღებდა. ასე რომ, ეს ტრადიცია არსებობს, ხალხს უყვარს კინო, ესმის ამის მნიშვნელობა, აფასებს და რეალურად გამოგვდის ეს ამბავი. ასეთ პატარა ერს ამდენი დიდი რეჟისორი არ ჰყავს ხოლმე.

**- დღევანდელმა ევროპამ რა იცის ქართულ კინოზე?**

- ევროპამ ძალიან კარგად იცის ქართული კინოს ისტორია, ძველი დიდება, მაგრამ დღეს გვეკითხებიან, ახლა სად ხართ? რას აკეთებთ? რას აპირებთ? ჩვენ ვუთხარით, რომ კინოს გადასახადებისგან გათავისუფლებას ვაპირებთ. ქართული კინოს ისტორიის შესახებ გადაღებული ფილმის პრეზენტაციაზე წავიკითხე პრეზიდენტის წერილი, რომელიც ამბობს, რომ ჩვენი ქვეყანა, ხალხი ქუჩის მხვეტავით დაწყებული და სასწრაფოს ექიმითა და ჯარისკაცით დამთავრებული, სერიოზულ პროექტებზე იქნება ორიენტირებული - ჩამოვიდნენ სერიოზული პროდიუსერები, დიდი რეჟისორები და ქართველმა და უცხოელმა კინემატოგრაფისტებმა აქ შექმნან კონკრეტული პროდუქტი.

თავისთავად, კინო ყველაზე მასობრივი დარგია. ამ წუთისთვის, ჩვენს ეკონომიკაში კინემატოგრაფიის წვლილი ნულის ტოლია. ამიტომ, კინოს გადასახადებისგან გათავისუფლება აბსოლუტურად არ დააწვება ბიუჯეტს. სამაგიეროდ, გაჩნდება იმპულსი, რომ ამ დარგმა მოძრაობა დაიწყოს.

**- კანის ფესტივალზე თქვენი სტუმრობის კონკრეტული შედეგებზე რას გვეტყვით?**

- თუკი ვინმე რამეს წარმოადგენს მსოფლიო კინემატოგრაფიაში, ყველას შევხვდით. მაგალითად, როგორც გაირკვა, ერთ-ერთი ჩვენი პარტნიორი იქნება ძალზე ცნობილი რეჟისორი იან კოენენი. მისი ერთ-ერთი ცნობილი, საკულტო ფილმია "დობერმანი". ახლა იღებს ფილმს დალაი ლამაზე, მაგრამ ჩინეთმა, პოლიტიკური ვითარების გამო, გადაღებებს პრობლემა შეუქმნა. კოენენმა ფილმის სვანეთში გადაღების სურვილი გამოთქვა. ის ჩამოდის, მთელ საქართველოს დაათვალიერებს. ამ ფილმში შერონ სტოუნი თამაშობს და ზაფხულში ისიც სვანეთში იქნება.

გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნით დაინტერესდა შვედეთში მცხოვრები ინდოელი რეჟისორი, რომელიც ჩეჩნეთზე იღებს ფილმს. ამ ფილმს რეჟისორი თუშეთში გადაიღებს.

რეჟისორი ანდრეს გომესი აქ ზღაპრულ-მისტიკური ფილმის გადაღებას აპირებს. ფილმში ცნობილი მსახიობი ხავიერ ბარდენი მონაწილეობს. ის თბილისში აგვისტოში ჩამოვა.




*ნიკა რურუა. კანი.*

კანში ყოფნისას მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ საფრანგეთის და საქართველოს სახელმწიფოებს შორის დაიდება ორმხრივი ხელშეკრულება კინოსაქმეში თანამშრომლობის თაობაზე. ასეთივე ხელშეკრულება დაიდება საქართველოსა და ესპანეთს შორის.

**- რითი გახდა საქართველო სასურველი გადასაღები მოედანი?**

- საქართველო გეოგრაფიულად უნიკალურად მრავალფეროვანი ქვეყანაა. იყო კამათი, რატომ უნდა გათავისუფლებულიყო გადასახადებისგან კინო და არა თეატრი - თეატრი იდგმება ერთ ოთახში, ერთ დარბაზში. თეატრის ყველა დარბაზი მეტ-ნაკლებად ერთნაირია. კინოდარბაზი კი პირობითად, მთელი ქვეყანაა - ზღვა, მთა, უდაბნო, ტყე და სხვა. ყველგან შეიძლება სცენის გადაღება. ამიტომ, საქართველოს ასეთი მრავალფეროვნება ყოველთვის მიიქცევს ყურადღებას.

ქვეყნებში, სადაც ფილმის გადასაღებად კარგი პირობებია, მაღალი ფასებიცაა. ჩვენთან ეს ფასიც დაბალია. პლუს, კინოს გადაღების უძველესი ტრადიცია - ყველა ეს კომპონენტი ერთად და სახელმწიფო, რომელიც ხმამაღლა აცხადებს, რომ ყველა ფილმს მთელი რესურსებით უკან დაუდგება. ეს ნებისმიერი პროდიუსერისთვის სამოთხეა. ვნახოთ. სამი კონკრეტული პროექტი ჩამოვიტანე, რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ. ამ კონკრეტული შედეგის გარდა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი ღირებულება, რაც იქიდან ჩამოვიტანე, შემდეგი იყო: არ შეიძლება გავაგრძელოთ ფილმების გადაღება ლოკალური მნიშვნელობის თემებით. ვინმემ რომ მოგისმინოს და განახოს, უნდა იცოდე, როგორია თანამედროვე ტრენდები, რა აინტერესებს მსოფლიოს, რა აინტერესებს ხალხს. არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ის, რაც ჩვენ გვაინტერესებს, ავტომატურად დააინტერესებს ყველას. არ შეიძლება გადავწყვიტოთ, რომ მაინცდამაინც ყველა მოიხიბლება რომელიმე ჩვენი ისტორიული ფიგურით, ან ჩვენი ისტორიის რომელიღაც ბრწყინვალე მომენტით. ეს უცნაური და რაღაც დონეზე გასაგები პროვინციალიზმია. თვითონ თემები უნდა იყოს სწორი. ყველა ფილმი, რომელმაც კანის ფესტივალზე რაღაც მოიგო, ძალიან თანამედროვეა იმის მიუხედავად, შინაარსით დღევანდელ ცხოვრებაზეა, წარსულზე თუ გაურკვეველ დროზე. ამ ფილმებში თემა იყო საინტერესო და აქტუალური.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ და რაღაცნაირად უნდა ვიქცეთ მსოფლიოს ნაწილად არამხოლოდ ფიზიკურად და პოლიტიკურად, არამედ აზროვნებადაც. ჩვენი რეჟისორები უნდა მიმართავდნენ თემებს, რომელიც ერთნაირად საინტერესოა ქართველისთვისაც, შოტლანდიელისთვისაც და ფრანგისთვისაც. სწორედ ასე მოიპოვებს წარმატებას ჩვენი ამბები. ლაპარაკი მხოლოდ იმაზე, რა გვაინტერესებს ვერაზე, ვაკეში ან ხილიანზე, არავისთვის არ იქნება საინტერესო.

**- დღეს რა კინემატოგრაფიული რესურსი შეიძლება დაახვედროს საქართველომ თქვენს მიერ მოწვეულ კინოსამყაროს?**

- ჩვენ კინოწარმოებაში გვყავს ძალზე მნიშვნელოვანი და დასაფასებელი პროფესიონალთა ნაწილი. ვგულისხმობ როგორც გამნათებლებს, ისე მემონტაჟეებს, კასტინგის სპეციალისტებს, ოპერატორებს, მეორე ოპერატორებს, მხატვრებს. გარდა ამისა, გვაქვს 5 სტუდია, რომელსაც აპარატურა ასე თუ ისე, გააჩნია.

**- არაფერი გითქვამთ რეჟისორებსა და სცენარისტებზე.**

- ჯერ კიდევ უნდა გამოჩნდნენ. გვყავს ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორები, მაგრამ ჯერ ისინი უნდა გაიზარდონ და ამ მოჯადოებული წრიდან გავიდნენ.

**- კულტურის სამინისტრო მათ შემდგომი ზრდისთვის რას აკეთებს?**

- მოგეხსენებათ, არსებობს პრეზიდენტის განვითარების და რეფორმების ფონდი, რომელიც მსოფლიოს 35 წამყვან უნივერსიტეტში უშვებს ახალგაზრდებს სასწავლებლად. წელს ჩვენ ხელოვნების მენეჯერები გავუშვით სასწავლებლად. გვინდა ახალ პრიორიტეტებში პროდიუსერის სპეციალობაც ჩავსვათ, რადგან კინოს მთავარი გმირი პროდიუსერია. ჩვენთან პროდიუსერები თითზე დასათვლელი ახალგაზრდები არიან. ისინი მხოლოდ ახლა სწავლობენ რაღაცას.

ასევე, გვჭირდება სცენარისტები, რომელიც საქართველოში აღარ არიან. მწერლებმა კინოსთვის უბრალო დიალოგის წერაც კი არ იციან. ამიტომ თეატრალურ ინსტიტუტში აღვადგინეთ კინოსასცენარო მაგისტრატურის კურსი, რომელიც ოქტომბრიდან დაიწყება და დაახლოებით, 10 ადამიანს მიიღებს.

კანში მივიღეთ გადაწყვეტილება, გავხდეთ ევროსაბჭოს პროგრამის, "ევრიმაჟი"-ს წევრი. ეს პროგრამა პერსპექტიული სცენარების თანადაფინანსებას გულისხმობს. მონაწილეობას იღებ კონკურსში და გამარჯვებული სცენარები პარტნიორი ქვეყნების მიერ თანადაფინანსდება. აქ შესატანი წლიური გადასახადი ჩვენი სცენარების წარდგენის უფლებას იძლევა.

**- კანის ფესტივალის ლეგენდარულ დირექტორს, ჟილ ჟაკობს შეხვდით... ეს იყო საქმიანი შეხვედრა?**

- ის წითელ ხალიჩაზე გავლილ ყველა ადამიანს თავად ხვდება და ხელს ართმევს, ეს რიტუალივითაა. არავინ იცის, რამდენი ათწლეულია კანის ფესტივალის დირექტორია. როგორც გავიგე, კანის ფესტივალის შესახებ ის ე.წ. მორალურ ანგარიშს წერს. ეს ანგარიში კინოს სულაც არ ეხება. აქ აღწერილია განწყობა ქუჩაში, მიღებები, რამე ხომ არ გაფუჭდა, როგორი ამინდია, როგორი ემოციური მუხტია და სხვა... თვითონ მოიგონა ასეთი დოკუმენტი.

**- ქართველი რეჟისორის, ოვაშვილის ფილმზე რას იტყვით?**

- დისტრიბუციისთვის იყო წაღებული და რამდენიმე ქვეყანამ იყიდა. ქართული ფილმი პირველად გახდა კომერციულად მომგებიანი.

**- ყველაზე მტკივნული რა ადგილი აღმოაჩნდა სახელოვნებო დარგს?**

- ყველაზე დაზარალებული და დაჩაგრული დარგი კინო იყო. ქართველებს გვაქვს ტრადიცია, რომელსაც არ უნდა მივცეთ გარდაცვალების საშუალება. ეს პროცესი თუ მიუშვი, ისე ჩაკვდება, რომ ველარაფერი აღადგენს.

კიდევ ერთი ძალიან მტკივნეული ადგილი ისაა, რომ სახელოვნებო სამყაროს არა აქვს თვითგადარჩენის ინსტიქტი. თავისუფალი ბაზრის პირობებში შეიძლება ბევრი დარგი, უბრალოდ, გაქრეს. ამიტომ, თუ ამ დარგებმა თანამედროვე პირობებში ოპერირება არ ისწავლეს, ადრე თუ გვიან, არსებობას შეწყვეტენ.

**- მაგრამ, ამისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურაც საჭიროა.**

- ინფრასტრუქტურაც უნდა და ცოდნაც. ნებისმიერი შემოქმედებითი კოლექტივი უნდა მოემზადოს საბაზრო ეკონომიკაში არსებობისთვის. რა თქმა უნდა, არის რაღაც, რასაც ყოველთვის სახელმწიფო სუბსიდიები ჭირდება, მაგალითად, კლასიკური ლიტერატურა. მაგრამ გარკვეულმა დარგებმა - ქორეოგრაფია იქნება, კინო თუ თეატრი - კონკურენტუნარიან გარემოში ოპერირება უნდა ისწავლოს. ჩვენ ნელ-ნელა ვცდილობთ, შევქმნათ მოტივაციები, რომ ყველა დარგს სიცოცხლისუნარიანობა შევუნარჩუნოთ.

**- როგორც თავად ამ დარგის წარმომადგენლებმა განაცხადეს საჯაროდ, ბიზნესს, განათლების სისტემას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას ქვეყანაში დღეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უშლის ხელს. სახელოვნებო დარგზე რას იტყვით?**

- კონკრეტულ შემთხვევას გეტყვით. მოგეხსენებათ, ახალი ქართული ფილმი "ყარაბახი 2" უნდა დამდგარიყო რუსთაველის კინოთეატრში. ყველაზე დიდი ზარალი სწორედ ამ კონკრეტულ პროექტს მიადგა. ველაპარაკე ფილმის პროდიუსერებს და მითხრეს, ჩაგვივარდაო. ამ ფილმს კი კომერციული წარმატების შანსი ჰქონდა.

თეატრები არ გაჩერებულა, კინომსახიობთა თეატრის გარდა. ეს კარგი არ არის.

**- კულტურის სამინისტრო რამენაირად ჩარევას ხომ არ აპირებს?**

- ყველა შემოქმედებითი კოლექტივის ინტერესია, შექმნას მეტი პროდუქცია, იყოს აქტიური, გამოიყენოს საკუთარი რესურსი და იმუშაოს. არანაირი მიზეზი იმისა, რომ რამე გაჩერდეს, არ არსებობს. ასე რომ, არ ვიცი, ამ ყველაფერმა სახელოვნებო დარგი რამდენად დააზიანა, მაგრამ მაგალითები მაინც არის.

ზოგადად, არასტაბილურობა და არეულობის ილუზია იქნება და ბევრს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ახლა ამის დრო არ არის, მაგრამ, როგორც ნახეთ, ალტერ-ვიზიის ფესტივალმა ძალიან კარგად ჩაიარა.

**- რა დაჯდა ეს ფესტივალი? ამაზე ბევრს ლაპარაკობენ.**

- ვერ გეტყვით, ეს ფესტივალის ორგანიზატორებს უნდა კითხოთ.

**- სახელმწიფოს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია?**

- ჩვენ და მერია დავეხმარეთ ინფრასტრუქტურით, ტრანსპორტით და ა.შ. გარკვეული ფინანსური დახმარება იყო, მუსიკოსებისთვის ბილეთები შევიძინეთ.

**- მიტინგებზე, პოლიტიკური ოპოზიციის გვერდით განსაკუთრებით არტისტული საზოგადოება აქტიურობს, რას მიაწერთ ამას?**

- ზოგადად, აქტიურობენ კონკრეტული ადამიანები, რომლებიც ხელოვნების დარგს ემსახურებიან. ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ, მთელი სახელოვნებო სამყარო აქტიურობს. თქვენ, ალბათ, რამდენიმე ოპოზიციონერს გულისხმობთ, რომელთაც მოქალაქეობრივი პოზიცია გააჩნიათ და საკუთარ აზრს გამოხატავენ, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ამაში არაფერია უცნაური და განსაკუთრებული. მართალი გითხრათ, ამაზე დიდად არ ვფიქრობ.

**- რა ხდება თბილისის გარეთ? როგორი კულტურული ცხოვრება აქვთ რეგიონებს?**

- ვცდილობთ, სპექტაკლები გავიტანოთ და ამას ძალიან კარგად აკეთებს მარჯანიშვილის თეატრი. ბევრი კულტურის სახლი ავაშენეთ, იქ არსებულ კოლექტივებს ვეხმარებით, რითიც შეგვიძლია, წრეებიც არსებობს... მაგრამ, ცხადია, ბევრი რამ არ არის გაკეთებული.

ინგლისში ერთი კარგი ტრადიციაა - ყველა დიდი დასი პირველად სპექტაკლს პროვინციაში თამაშობს და არა ლონდონში. კარგი იქნება, ჩვენთანაც ასე მოხდეს. ამისთვის ინფრასტრუქტურაა მოსაწყობი და ეს ყველაფერი გასაკეთებელია.

მაგრამ, მთავარია, რომ ურთიერთობების მიმართულებით გარღვევაა და ჩვენ ყველა, პირობითად რომ ვთქვა, კულტურის ტურაგენტებივით უნდა ვიყოთ, რომ ყურადღება მივიქციოთ მუსიკით, სპორტით, კულტურით...

**- მართალია, ამ ბოლო წლებში მხოლოდ პოლიტიკური მოვლენების გამო ვართ ყურადღების ცენტრში.**

- სანამ არ ვისწავლით, რომ "ან ყველაფერი და ან არაფერი" პოლიტიკის მთავარი პრინციპი არ არის, აქ მუდამ ასეთი გაუგებრობები იქნება. თუმცა, ეს ევოლუციური პროცესია, რომელიც უნდა გავიაროთ. დემოკრატია მაშინ მუშაობს, როცა ყველა მისი შემადგენელი კომპონენტი არსებობს, თუ რაიმე კომპონენტი აკლია, ეს შეგვიძლია გამოცდილებით შევიძინოთ. პოლიტიკურმა ჯგუფებმა ერთად თანაცხოვრება უნდა ისწავლონ. "ყველაფერი მომეცი, ან არაფერი არ მინდა" - პოლიტიკიდან უნდა გაქრეს. დემოკრატიული სისტემა არის არა დაშინების, არამედ დარწმუნების სისტემა. ეს არის ის, რაც დემოკრატიულ ქვეყნებში სკოლის მოსწავლეებმა იციან და ის, რაც ჩვენში პოლიტიკოსებს არ ესმით.

# გაფორმებულების ამბავი

თამარ კიკნაველიძე

28-29 მაისს, რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე გრძელდება საპრემიერო ჩვენება სპექტაკლისა "ყოფილების სარეცელი". პიესის ავტორია ირაკლი სამსონაძე, რეჟისორი - ნინო ლიპარტიანი, მთავარ როლებს მსახიობები - ნანუკა ხუსკივაძე და პაატა გულიაშვილი ასრულებენ. ერთმოქმედებიან წარმოდგენას ერთი ამოსუნთქვით ნახავთ.

სპექტაკლი ემიგრაციის თემას ეხება. თუმცა, აქტუალური პრობლემა იმდენად მსუბუქად არის მოწოდებული, ყოველგვარი გამწვავების გარეშე, რომ მაყურებელს საშუალება ეძლევა ამის მიღმა არსებული და არანაკლებ მტკივნეული - თანამედროვე, ნაკლებად რეალიზებული ადამიანის მარტოსულობა, ადამიანურ ურთიერთობათა მოთხოვნილება აღმოაჩინოს.

ნინო ლიპარტიანმა რუსთაველის თეატრში სპექტაკლი პირველად დადგა. მან განათლება ჯერ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიიღო, შემდეგ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, სადაც დრამისა და კინოს რეჟისურას დაეუფლა. ის გვთავაზობს წარმოდგენას, რომელშიც რეჟისორულ მიგნებებზე მეტად, აქცენტი ტექსტსა და საშემსრულებლო ხელოვნებაზეა გაკეთებული. მან პიესას ხიბლი არ დაუკარგა, სათქმელს გამომსახველი ფორმა მოუძებნა და მსახიობებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება მისცა.

რეჟისორმა ირაკლი სამსონაძის პიესა სცენაზე, თითქმის, უცვლელი სახით გადაიტანა. პირველი სურათის მოქმედება, რემარკის მიხედვით, მკრთალად განათებულ სივრცეში თამაშდება. მოცემულია რამდენიმე ყუთი, ტომარა და ფართო ტახტი, რომელსაც პერსონაჟები უტრიალებენ. სცენას შუაზე ყოფს თეთრი, მოძრავი კარი, რომლის მიღმა ლიანდაგი და ერთი ხე მოჩანს. სპექტაკლის სცენოგრაფია მირიან შველიძეს ეკუთვნის.

დრამატურგმა პიესა დაწერა, როგორც კომედია ორ სურათად. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი მსუბუქად იკითხება და დიალოგებიც ღიმილისმომგვრელია, დადგმა ტრაგიკომედიად აღიქმება. მსახიობთა სათქმელი ტკივილიანია.

ემიგრაციის თემას რომ მივიბრუნდეთ, ის თანამედროვე ქართული თეატრის სცენაზე უკვე გააცოცხლეს. წარმატებული აღმოჩნდა სპექტაკლი, რომელიც ირაკლი აფაქიძემ, ცოტა ხნის წინათ, "თეატრში ათონელზე" დადგა. მან ქართულ სინამდვილეს სლავომირ მროჟეკის პიესა "ემიგრანტები" ისე კარგად მოარგო, რომ წარმოდგენას მაყურებელი არ მოჰკლებია. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მსახიობებმა - გოგა პიპინაშვილმა და ზურაბ ყიფშიძემ შეიტანეს. მოგვიანებით, სპექტაკლმა არსებობა, მხოლოდ სხვა შემადგენლობით, გრიბოედოვის თეატრში გააგრძელა. ასე რომ, აღნიშნული თემატიკა თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნებისთვის უცხო არ არის. ის ირაკლი სამსონაძის შემოქმედებაშიც გამოიკვეთა.



*სცენა სპექტაკლიდან "ყოფილების სარეცელი", ნანუკა ხუსკივაძე და პაატა გულიაშვილი*

დრამატურგიულ ტექსტს რეჟისორი ფეხდაფეხ მისდევს. ყველაფერი ნაკლებად სევდიანია, სანამ პერსონაჟები გაიხსენებენ თუ რატომ აღმოჩნდნენ ერთ სივრცეში. თავდაპირველად, ფიქრობენ, რომ ღამე ერთად გაატარეს. "ქალი თუ გვერდით მომიწვა, ის ქალი გაფორმებულია", - აღნიშნავს ვანო. ამ ამბით აფორიაქებული ნანა კი აცხადებს: "მე ტრადიციულ, ზნეობრივ ოჯახში გავიზარდე". ისინი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან: ნანას მამა "მნიშვნელოვანი ინსტიტუტის" პრორექტორი იყო, ხოლო დედა - აფთიაქის გამგე. მათ სახლში ბევრი წიგნი ჰქონდათ. აი, ვანომ კი ისიც არ იცის ვინ არის სტრინდბერგი, ან საიდან უნდა სცოდნოდა, როდესაც დღეებს ტრაქტორზე მუშაობაში ატარებდა, მერე ვაშლი გაჰქონდა რუსეთში და ბოლოს, მანქანები ჩამოჰყავდა გერმანიიდან, სწორედ იმ ქვეყნიდან, სადაც ყოფილი ჩინოვნიკის ცოლი, ნანა, მოხუცებს უვლიდა. *"ღმერთო ჩემო, შორიახლოს ბოგინობენ ნუგოები და გოგიები, დაშლიგინობენ დეკეულები და ჭედილები, ჩემს გევრდით ყოფილი მექანიზატორ-ინჟინერ-კონსტრუქტორი აპირებს ბორიალს და საერთოდ, მგონი, ყოფილების სარეცელზე ვიმყოფები, რადგან მე უბედურიც ყოფილი მუსიკოს შემსრულებელი ვარ, შემდგომში მომვლელად გამწესებული, მოხუცი ქალის პამპერსებით სუნთქვაშელანძღული ვინმე ნანა, რომელიც პირდაპირ ბოთლიდან სვამს ვინმე ვანოს ღვინოს"*, - ამბობს ნანუკა ხუსკივაძის გმირი. პერსონაჟებს ერთმანეთის ფიზიონომია აღიზიანებთ. სურვილი აქვთ გაიქცნენ და ჩაკეტილ სივრცეს თავი დააღწიონ, მაგრამ გულშემატკივარი რომ არავინ ეგულებათ?

ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდია სპექტაკლიდან, სადაც ნანასა და ვანოს ერთმანეთის ყველაზე კარგად მაშინ ესმით, როდესაც ლიანდაგებს შორის ამოსულ ტყემლის ხეს იხსენებენ. ეროვნულობის სიმბოლოდ ქცეული ნაყოფი მათში სენტიმენტალურ გრძნობებს აღძრავს და კიდევ, ომბალო, რომელსაც ნანა ბოტანიკურ ბაღში, წარწერით - "ინდური ეგზოტიკური მცენარე", აღმოაჩენს. "ჩვენ ერთმანეთის მკვლელები ვართ", - აღნიშნავს ვანო, მაგრამ რატომ? ამ კითხვაზე პასუხს მაყურებელი თავად გასცემს. აქვე იმასაც მიხვდება, რომ მსახიობები გარდაცვლილთა სულებს განასახიერებენ. ისინი ერთ დიდ კუბოში მათმა მეუღლეებმა, ერთმანეთის საყვარლებმა მოათავსეს, ასე ტრანსპორტირება ხომ იაფია...

ნანუკა ხუსკივაძემ გმირი საინტერესოდ განასახიერა. მისი თხრობა დამაჯერებელია, ქცევა - მოტივირებული, მონოლოგები - ემოციური. *"თანაც როგორ სვამს იცი? ცალი ხელით ხო ჭიქა უჭირავს, მეორე ხელს ჰალსტუხზე იბჯენს, ღვინო რო არ ჩამოეწუწოს ამ დამპალს! და ყლუპ, ყლუპ, ყლუპ... ადამის ვაშლი აუდის და ჩაუდის, აუდის და ჩაუდის.. შენ კი უცქერ და იღიმები, იმიტომ რომ ქეიფია, ხალხია, საზოგადოებაა, მეგობრები ჰქვიათ იმათ, შენ და ამას კი - ცოლქმარი... ფუჰ, შენი! მერე მანქანაში გეჩურჩულება: რა შესანიშნავი საღამო იყო... გამაძღარია და ახლა შენში შეღწევა უნდა და ვალდებული ხარ მისცე, იმიტომ რომ ერთი კვირაა თავის ტკივილს იმიზეზებ და თანაც ზუსტად იცის შენი ციკლის გრაფიკი... ჰოდა, აძლევ! ასევე, ასევე, ჰალსტუხ-პერანგიანს, ტრუსების ამარას... ზემოდან, ქვემოდან თუ ისე, ძაღლივით... ძაღლივით, ჰამ, ჰამ, ჰამ, ძაღლივით, რათა ბოლომდე აითვისოს სურათი! არცთუ მაგარი მერე ქვავდება და ჰუუ, ჰუუ და ჰუუ ხვნეშის და მიდი, ჰა, დროზე და ჰუუ, არ ამთავრებს და ჰა, ახლა აჰ, მაინც ამოდის სადღაც, შენი სხეულის სიღრმიდან ეს - აჰ! ბოლოს შენ ამბობ აჰ! და გძულს შენი თავი, რადგან თქვი - აჰ, რადგან დაგტყუა მაინც, დაგტყუა - აჰ! როგორც დაგტყუა საერთო შვილი, ქონება, როგორც დაგტყუა ყველაფერი..."*, - ყვება მერკანტილური მისწრაფებებით გამორჩეულ ქმარზე.

ეს მსახიობი სახასიათო როლებს ოსტატურად ასრულებს. მაყურებელს განსაკუთრებით მოსწონს მის მიერ რობერტ სტურუას სპექტაკლებში "როგორც გენებოთ, ანუ შობის მეთორმეტე ღამე" და "კაცია-ადამიანი?!" განსახიერებული მარია და ლამაზისეული. ამ პერსონაჟებისგან თავის დაღწევა, როგორც ჩანს, იოლი არ არის, რადგან მსახიობი მათი ქცევის მანერას სხვა სპექტაკლებშიც იმეორებს, რასაც ამ წარმოდგენაზე ვერ ვიტყვით. პაატა გულიაშვილს რაც შეეხება, ის პროვინციალს განასახიერებს. ასეთი ტიპაჟი მან ზაზა პაპუაშვილისა და რობერტ სტურუას სპექტაკლში "დარისპანის გასაჭირი" შექმნა. თუმცა, ორივე შემთხვევაში, მსახიობმა ამ პერსონაჟთა ხასიათები ისე გამოავლინა, რომ ზომიერება შეინარჩუნა და მის მიერ განსახიერებული ერთ-ერთი ტელესერიალის გმირს არ დაემსგავსა.

ნანასა და ვანოს ამბავი პირველ სურათში მთავრდება. დასასრული კი იმდენად ემოციურია, რომ მაყურებელთა ოვაციებს იწვევს და მოქმედების გაგრძელებას აღარ მოითხოვს, მაგრამ ის ვითარდება და სცენაზე უკვე გარდაცვლილთა მეუღლეები ჩნდებიან. ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებულია დრამატურგის რემარკა, რომელიც მოითხოვს ოთხივე პერსონაჟი ორმა მსახიობმა განასახიეროს.

პიესის მეორე სურათი ძალიან მოკლეა, ამიტომაც ჯერი რეჟისორზეა, რომელიც დრამატურგის ტექსტს იმით ამდიდრებს, რომ დგამს სცენებს, სადაც მსახიობებს საშუალება ეძლევათ გარდაისახონ და საყვარლებს შორის დამოკიდებულება გამოავლინონ. თუმცა, ჩემი აზრით, წარმოდგენა, ემოციურად, პირველი სურათის დასრულებისას მთავრდება და მისი მომდევნო ნაწილი უკვე ნაკლებად საინტერესოა. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს მუსიკალური გაფორმება, რომელიც მიშა მდინარაძეს ეკუთვნის. მანანა დავითაშვილის ნაწარმოებების გამოყენებით, კომპოზიტორი ეროვნულ მოტივებს ამძაფრებს და სევდას ირონიას ურევს ოდნავ, როდესაც ნაცნობ მელოდიებს გვასმენინებს, იქნება ეს "იავნანა" თუ "ეს საწყალი კურდღელი". ამ სპექტაკლის ქორეოგრაფია კოტე ფურცელაძე. წარმოდგენა კი, ისევ და ისევ, რემარკის თანახმად ბოლოვდება: პერსონაჟები სცენიდან ყოფილების სარეცელად ქცეულ კუბოს მიათრევენ...

## აფიშა

**26 მაისი**

### თეატრი

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"ART ხელოვნება"
რეჟისორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრი სხვენში**
"პეიზაჟს აკლია სითბო"
რეჟისორი ციცინო კობიაშვილი
დასაწყისი: 20.00

**თეატრალური სარდაფი**
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 20.00

**პანტომიმის თეატრი**
"ტერენტი გრანელი - მთავარისკენ ნასროლი მიხაკი"
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"ამირანი"**
"აწყვეტილები 4"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"ზღაპრები ძილის წინ"
დასაწყისი: 12.30
"როდესაც მას არ უყვარხარ"
დასაწყისი: 14.30; 17.00; 19.45; 22.15

**საქართველო**
"მადაგასკარი"
დასაწყისი: 13.00; 15.00
"თქვი დიახ"
დასაწყისი: 17.00
"აწყვეტილები 4"
დასაწყისი: 19.00; 21.00

### გამოფენები

**კლუბი "24"**
მსოფლიო პრესის ფოტოგამოფენა

**"ქარვასლა"**
კოტე ჯინჭარაძის გამოფენა
"დუმილი თანხმობის ნიშანია - ლაბორატორია თავი IX"

**თიბისი გალერეა**
ფოკას დედატა მონასტრის ფოტოგამოფენა

**"აკადემია +"**
26 მაისთან დაკავშირებული ჯგუფური გამოფენა

**"ვერნისაჟი"**
გალერეის კოლექცია

**"ორნამენტი"**
თანამედროვე ტიხრული მინანქრის გამოფენა

**"ლაინი"**
ჯეოსელის იასამნისფერი ფოტოგამოფენა

ბასა ჯანიკაშვილის სვეტი



ინტერვიუ ოცდამესამე

# იპოვეთ სამი განსხვავება

**ჩემი სტუმარია ანალიტიკური ცენტის "გაუთბოთ ერთმანეთს ხელების" ხელმძღვანელი ფრიდონ მინდაფული. ბატონი ფრიდონ მინდაფული კენტუკის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი გახლავთ. 1995-2003 წლამდე ამერიკელ და გერმანელ სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა კავკასიის ხალხთა ქცევის კოდექსის საკითხებში. ამჟამად ფრიდონ მინდაფული თბილისში მოღვაწეობს და როგორც უკვე მოგახსენეთ, ანალიტიკურ ცენტრს ხელმძღვანელობს.**

**ბასა ჯანიკაშვილი -** ბატონო ფრიდონ მინდაფულო, პირველ რიგში გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. მოდით, შევეცადოთ გავაანალიზოთ გასული წელი და განსაკუთრებით უკანასკნელი საპროტესტო აქციები. როგორ შეფასებას აძლევთ გასულ და მიმდინარე მოვლენებს?

**ფრიდონ მინდაფული -** მეც გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღეს თქვენ, მთელ თქვენს კოლექტივს და სრულიად საქართველოს. დიახ, ბატონო ბასა, გასული წელი ალბათ უმძიმესი იყო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. მოგეხსენებათ, 2008 წლის აგვისტოში ჩვენ გადავიტანეთ ომი რუსეთთან და სრული კრახი განვიცადეთ. მანამდე მას წინ უსწრებდა არჩევნები საპარლამენტო და უფრო ადრე საპრეზიდენტო, მაგრამ მოდით ეს არჩევნები სხვა წელს დავუტოვოთ, რადგან ჩვენ დღეს დამოუკიდებლობის კიდევ ერთ წელს გავაანალიზებთ.

**ბ.ჯ. -** მაშ ასე, მოდით თანმიმდევრობით მივყვეთ. აგვისტოს ომი, თქვენ როგორ შეფასებას აძლევთ ამ მოვლენას?

**ფ.მ. -** არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ ეს ომი არ იყო. ეს იყო რიგითი ბრძოლა ამ სიტყვის კლასიკური გაგებით და საუბარი იმაზე რომ საქართველომ ომი წააგო არ მიმაჩნია მართებულად. ომი გრძელდება, მაგრამ წაგებულია უმნიშვნელოვანესი ბრძოლა, რომელიც ფაქტიურად ომის შემდგომ პროცესებს უდრის.

**ბ.ჯ.** - მოდით ჩვენ გავმიჯნოთ, ბრძოლა სადაც საქართველო ას ორმოც სოფელს კარავს და ომი. რითი განსხვავდება ეს ორი ცნება ერთმანეთისგან, მხოლოდ, გთხოვთ მოვაცილოთ პოლიტიკური კონტექსტი და ისე მიპასუხეთ.

**ფ.მ. -** აგვისტოს მოვლენების პოლიტიკური კონტექსტის მოცილებით ჩვენ დავკარგავთ აგვისტოს მოვლენების მთელ სპექტრს, მაგრამ მე თქვენი მესმის. თქვენ გინდათ ვიწრო პარტიული შემადგენელი არსის მოხსნა და ეს შესაძლებელია. მოვაცილოთ ომს ნაციონალური მოძრაობა და ჩვენ მივიღებთ ქვეყნის ოცი პროცენტის ოკუპაციას, დაღუპულ მეომრებს, ახალ ლტოლვილებს და ასე შემდეგ.

**ბ.ჯ.** - და თუ კვლავ გავაერთიანებთ ნაციონალურ მოძრაობას და წაგებულ ბრძოლას, რომელიც შედეგებით ომს უდრის, რას მივიღებთ?

**ფ.მ. -** მივიღებთ საპროტესტო აქციას, რომელიც უკვე თვენახევარია გრძელდება.

**ბ.ჯ.** - რითი განსხვავდება ორი ტერმინი - ბრძოლა და ომი ერთმანეთისაგან? რა უნდა მოხდეს, რომ ესა თუ ის საბრძოლო მოქმედება ან მოქმედებები ომად შეფასდეს?

**ფ.მ.** - პოლიტოლოგიაში არსებობს ომის და ბრძოლის განმსაზღვრელი ტერმინები და განმარტებები. გარდა იმისა, რაც ჩვენ უკვე ჩამოვთვალეთ, დაკარგული ტერიტორიები, ლტოლვილები... ამის გარდა არის ერთი ფაქტორი, რომელიც ჯერ არ მომხდარა. ეს ქვეყნის პირველი პირის შეცვლაა. ხელისუფლება ამ ბრძოლებში დამარცხების შედეგად არცერთხელ არ შეცვლილა. დასკვნები თავად გააკეთეთ.

**ბ.ჯ. -** კი ბატონო, მოდით, გასული წლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან დელტალზე შევჩერდეთ.

**ფ.მ. -** აქციებს გულისხმობთ?

**ბ.ჯ.** - რა სხვაობას ხედავთ 2003 წლის აქციებსა და მას შემდგომ ორჯერ განვითარებულ საპროტესტო ტალღაზე?

**ფ.მ. -** მოდით ეს მოვლენები ორ ნაწილად დავყოთ. პირველი: მიტინგების განვითარება და ლიდერები. მე ვფიქრობ, რომ პირველ საკითხზე დიდი სხვაობა არ არის, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ. მაშინაც ისევე როგორც ახლა, არ არის ძალადობა, არ არის ახალი და ორიგინალური ფორმები, არ იცვლება მოთხოვნები.

**ბ.ჯ.** - რაც შეეხება ლიდერებს. რა სხვაობაა მათ შორის?

**ფ.მ. -** მათ შორის დიდი სხვაობაა. შეიძლება ითქვას ძირეული სხვაობაა. დღევანდელ ლიდერებს სამი რამ აკლიათ, მიზნის მისაღწევად.

**ბ.ჯ.** - იპოვეთ სამი განსხვავება?

**ფ.მ.** - დიახ, სამი განსხვავება. პირველი: ამ ლიდერებს არ აქვთ ძლიერი სატელევიზიო არხი, რომელიც მთელ საქართველოზე მაუწყებლობს, მეორე - არ აქვთ საერთაშორისო მხარდაჭერა და მესამე არ აქვთ ფული.

**ბ.ჯ.** - გამოდის, რომ ზედაპირული პროგნოზით მომავალი არჩევნები 2013 წელს იქნება?

**ფ.მ. -** ასე გამოდის, თუმცა პოლიტიკა მათემატიკა არ არის. წინასწარ ვერაფერს ვერ გათვლი. მაგრამ ამ ხელისუფლების უარყოფითი მხარე ის არის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სამი განსხვავებიდან მხოლოდ ორი დარჩა.

**ბ.ჯ.** - მედია და ფული.

**ფ.ს.** - დასკვნები თქვენ თვითონ გააკეთეთ.

**ბ.ჯ.** - დიდი მადლობა, საინტერესო იყო თქვენთან საუბარი.

# ორი პრემიის ლაურეატები

## საქართველოს პრეზიდენტმა აღდგენილი პრემიებით დააჯილდოვა...



საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 2 ივლისის ბრძანებულების თანახმად განახლდა ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების გაცემა. პრემიები, რომელთა გაუქმებაც თავის დროზე ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მტკივნეული საკითხი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის.

კონკურსი ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიების მოსაპოვებლად 2 წელიწადში ერთხელ ცხადდება.

სპეციალური კომისიის 12 წევრის, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი მუშაობის შედეგად საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარედგინა კანდიდატები. მათგან წლევანდელი წლის პრემიის მფლობელთა ვინაობა გუშინ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში თავად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაამხილა.

შოთა რუსთაველის პრემია სამ პირს მიენიჭა. მხატვარ ჯიბსონ ხუნდაძეს, არქიტექტორ ვაჟა ორბელაძესა და პოეტ იზა ორჯონიკიძეს.

ცნობისთვის. საქართველოს კანონის 18-ე მუხლის 2-ე პუნქტის შესაბამისად შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია გაიცემა შემდეგ დარგებში: მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, კინოხელოვნება, სახვითი ხელოვნება, თეატრალური ხელოვნება, არქიტექტურა, რუსთველოლოგია, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები.

პრემიათა გაცემა-დაჯილდოებას გარკვეული კონკრეტიკაც ახლდა. ვინ, რისთვის და რატომ დაიმსახურა აღნიშნული და რამდენადაც ცნობილი გახდა, წელს საკმაოდ ბევრისთვის სასურველი პრემია. კონკრეტიკა ამგვარია:

**1. იზა ორჯონიკიძე - პოეტური კრებულისათვის "წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა" და ასევე მთელი შემოქმედების გათვალისწინებით.**

**2. ვაჟა ორბელაძე - 2007 წელს სიღნაღის ისტორიული უბნების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებისათვის.**

**3. ჯიბსონ ხუნდაძე - ფერწერული ტილოსათვის "აპოკალიფსი", მთელი შემოქმედების გათვალისწინებით.**

შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭება ხდება 2 წელიწადში ერთხელ.

გაიცემა არა უმეტეს 3 პრემიისა, თითოეული 15 000 ლარის ოდენობით, ოქროს მედლით, ლაურეატის სამკერდე ნიშნით, მოწმობითა და დიპლომით. შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებს გადაეცათ ლაურეატის დიპლომი, ოქროს მედალი და ფულადი ჯილდო 15 000 ლარის ოდენობით.

თუმცა, დაჯილდოების ცერემონია კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში რუსთაველის სახელობის პრემიის გაცემით არ დასრულებულა. გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ საქართველოს ეროვნული პრემიის მფლობელებიც.

**1. ფიზიკოსთა ჯგუფი, რომელსაც წარმოადგენენ - ვახტანგ გარსევანიშვილი, ანზორ ხელაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, მიხეილ ნოირაძე.**

ჯგუფი გამოარჩიეს სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისათვის " სინათლის ფრონტის ფორმალიზმი შედგენილი სისტემებისათვის და მისი ზოგიერთი გამოყენება ნაწილაკთა და რელატივისტურ ბირთვულ ფიზიკაში".

2. ეროვნული პრემიით დაჯილდოვდა მეცნიერთა მეორე გაერთიანება, ასევე **ფიზიკოსები: ავთანდილ ამირანაშვილი, კუკური თავართქილაძე, ნოდარ ბეგალიშვილი,** - სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისათვის "საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილებების ემპირიული მოდელი, ჰავის თანამედროვე ცვლილებები საქართველოში".

ამ ორი სამეცნიერო ჯგუფის გარდა საქართველოს ეროვნული პრემიით საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ხუთი ადამიანი, ოღონდაც ამჯერად ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები დაასახელა.

**ემირ ბურჯანაძე** - მხატვარი, გრაფიკოსი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

**თემურ ქევხიშვილი** - ლოტბარი, მომღერალი. 2008 წელს გამოცემული ხალხური სოლო სიმღერების ჩანაწერისათვის და მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

**მანანა ახმეტელი** - მუსიკათმცოდნე. პუბლიცისტური კრებულისათვის "ცხოვრება ხელოვნებაში".

**ომარ მხეიძე** - მოცეკვავე. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

**ზურაბ ნიჟარაძე** - მხატვარი. ბოლო წლებში შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებისათვის.

საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურიატს გადაეცემა დიპლომი, ვერცხლის მედალი და ფულადი ჯილდო 10 000 ლარის ოდენობით.

*24 საათი*

# საფოსტო მარკა აუქციონზე

ცნობილი მსახიობის ოდრი ჰეპბერნის გამოსახულებით შექმნილი იშვიათი მარკა აუქციონზე გაიყიდება. მას დღეს, 26 მაისს, ბერლინში გაყიდიან. აუქციონის ორგანიზატორების მიერ დადგენილი მარკის საწყისი ფასი, რომელიც სასტუმროში Kempinski Hotel Bristol იქნება წარმოდგენილი, 30 ათას ევროს შეადგენს.



მარკა, რომელზეც ჰეპბერნი სიგარეტით ხელშია გამოსახული, 2001 წელს გერმანიის მთავრობის შეკვეთით გამოუშვეს. 14 მილიონიანი ტირაჟით გამოსულ სერიაში შედიოდა არა მარტო ვარსკვლავის გამოსახულებიანი მარკა "საუზმე ტიფანისთან", არამედ სხვა ცნობილი მსახიობების პორტრეტებიანი მარკები: ჩარლი ჩაპლინის, გრეტა გარბოსი და მერილინ მონროსი. მას შემდეგ, რაც საფოსტო მარკები დაიბეჭდა, ჰეპბერნის შვილმა შონ ფერერმა განაცხადა, რომ ტირაჟი უნდა გაანადგურონ. ფერერის უკმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ მარკის გასაფორმებლად გამოყენებული იყო ჰეპბერნის ცნობილი ფოტო მუშტუკით ხელში. მსახიობის შვილის აზრით, შესაძლო იყო ბევრს ეს პორტრეტი მოწევის პროპაგანდად ჩაეთვალა. გადაწყვეტილი იყო, რომ ტირაჟი დაეწვათ, თუმცა მარკების ნაწილი (30 ცალი), რომელზეც ჰეპბერნი სიგარეტით ხელში იყო გამოსახული, გერმანულ საფოსტო კომპანიის Deutche Post-ის ხელში აღმოჩნდა. ფოსტის რამდენიმე თანამშრომელმა ეს მარკები თავისთვის შეინახა, რომ წერილების გასაგზავნად გამოეყენებინათ. "შესაძლებელია, ადამიანს უნდოდა უბრალოდ ცოტა ფული დაეზოგა, რომ მარკები არ ეყიდა და ვერ ხვდებოდა, თუ რამდენად ძვირფასი იყო მისი ღირებულება", - აღნიშნა სააგენტოსთან საუბრისას აუქციონის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ანდრეას შლეგელმა (Andreas Schlegel).

შონ ფერერმა იმედი გამოთქვა, რომ მარკების გაყიდვიდან შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება. მისი აზრით, კარგი იქნება, თუ ფული გამოკვლევის ცენტრს გადაერიცხება, რომელიც კიბოს და მისი მსგავსი დაავადებების შესწავლით არის დაკავებული (ასეთი არჩევანი იმით აიხსნება, რომ ჰეპბერნი, 1993 წელს სწორი ნაწლავის კიბოთი გარდაიცვალა), ან მოწევის წინააღმდეგ სარეკლამო კამპანიას გაკეთებას მოხმარდება.

კოლექციონერმა, რომლის მეშვეობითაც იშვიათი სახის მარკა დაბრუნდა, ანონიმურობა არჩია და გადაწყვიტა არ ისაუბროს იმაზე, თუ როგორ მოხვდა სწორედ მასთან ეს ეგზემპლარი. აუქციონზე წარმოდგენილი მარკა უკვე მეხუთე მსგავსი აღმოჩენაა. 2005 წელს ნაპოვნი მარკა, დიუსელფორფის აუქციონზე 53 ათას ევროდ გაიყიდა.

## ქეცბა "ოლიმპიაკოსის" მესაჭეა



*მითქმა-მოთქმებს, ვარაუდებსა თუ მსჯელობებს წერტილი დაესვა. დღეის იქით თემურ ქეცბაია პირეოსის "ოლიმპიაკოსის" მესაჭეა. ამასთან ქართველი მწვრთნელი ბერძნულ გრანდ საფეხბურთო მინდვრებზე სამი წლის განმავლობაში წარუძღვება. ესეც დასტური: კლუბის პრეზიდენტმა სკორატის კოკალისმა საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, "ოლიმპიაკოს" თემურ ქეცბაია გაწვრთნის.*

"ახალგაზრდა მწვრთნელთან ჩვენს თანამშრომლობას ოპტიმიზმით ვუყურებ. "ოლიმპიაკოსი" ყოველთვის მაღალ მიზნებს ისახავს და ეს ყველაზე უკეთ ქეცბაიამ უწყის. ყოველივე კი წარმატების კარგი საწინდარია. რა თქმა უნდა, ქართველ მწვრთნელს ჩვენგან ყველანაირი მხარდაჭერა ექნება, პირობას დებს კოკალისი. - ქეცბაიას შესახებ საუბარი გუნდის გენერალურ მენეჯერ გიონ ქრისიკოპულოსთანაც მქონდა, რომელმაც ასევე მოიწონა გადაწყვეტილება. ქეცბაია ამბიციური ადამიანია. უთამაშია ინგლისურ პრემიერლიგაშიც, რაც მას დამატებით წონას სძენს.

არ გეგონოთ, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღეთ. სხვა წინადადებებსაც განვიხილავდით. თუმცა ქეცბაიას კონკურენტები მხოლოდ ერთი წლით ჩამოსვლასა და დიდ ხელფასს ითხოვდნენ, ეს კი ჩვენ არ გვაკმაყოფილებდა. 16 წელიწადია "ოლიმპიაკოსისთვის" ვმუშაობ და ჩემს მოტყუებას ვერავინ მოახერხებს.

ისეთ ხალხს, რომელთაც მხოლოდ მაღალი ანაზღაურება აინტერესებთ, გუნდის მიღწევებზე კი ნაკლებად ნერვიულობს, პირეოსში არაფერი ესაქმება. ახლა, ჩვენი მიზანი საშინაოს გარდა საერთაშორისო სარბიელზე წარმატების მიღწევაა".

თავის მხრივ ბერძნულ პრესასთან კომენტარი გააკეთა ახლად დანიშნულმა ქართველმა მწვრთნელმაც: "საკუთარი შესაძლებლობებისა და გუნდის სიძლიერის მჯერა. მოგეხსენებათ, "ანორთოსისთან" ერთად რამდენს მივაღწიეთ. ცხადია, "ოლიმპიაკოსს" ზურგს უმაგრებს გაცილებით დიდი ისტორია, ეს კი სამომავლოდ დიდ იმედს მაძლევს".

ცნობისთვის, თემურ ქეცბაიამ ბერძნულ გრანდში ესპანელი ერნესტო ვალვერდე შეცვალა, რომელსაც "ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელობა ახალ კონტრაქტზე ვერ მოურიგდა.

## ვლადიმერ ბოისა ხორვატიის ჩემპიონობას უმიზნებს



შუა სეზონში ხორვატულ "ზადარში" გადასული ვლადიმერ ბოისა გუნდს კარგად შეეწყო და ახლა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების რეალური შანსი აქვს.

"ზადარმა" ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩიც მოუგო "ზაგრებს" და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

პირველი შეხვედრა ბოისას გუნდმა საკუთარ მოედანზე ადვილად მოიგო, მეორე კი, რომელსაც ზაგრებმა უმასპინძლა, უფრო დაძაბული გამოდგა, თუმცა მაინც "ზადარის" გამარჯვებით დასრულდა - 78:74.

ქართველმა კალათბურთელმა "ზადარის" სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 29 წუთში 6 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

ვოვამ 4-დან 1 ორქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი კი ააცილა. ქართველმა კალათბურთელმა მხოლოდ 1 პერსონალური ფოლი მიიღო.

ფინალში "ზადარი" ხვდება "ციბონას", რომელმაც "სპლიტი" 2:0 დაამარცხა. რეგულარულ სეზონში "ზადარმა" მხოლოდ "ციბონას" დაუთმო პირველობა და ფინალურ სერიაშიც ბოისას გუნდს ფავორიტად ვერ ჩავთვლით.

იტალიურ პირველობაზე ნახევარფინალში იოლად გააღწია ნიკა მეტრეველის "მონტეპასკიმ". სიენელებმა პეზაროს "სკავოლინი" 93:69 დაამარცხეს და მეოთხედფინალურ სერიაში 3:0 გაიმარჯვეს. მეტრეველი მოედანზე არ გამოჩენილა.

წარმატებით ვერ დაიკვეხნის მანუჩარ მარკოიშვილის "ბკ კიევი". მართალია, ქართველი კალათბურთელი ბრინჯაოს მედლისთვის ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ მხოლოდ მისი გარჯა საკმარისი არ არის იმისთვის, რომ კიეველებმა "ხიმკი" დაამარცხონ. სერიის პირველი ორი მატჩი კიევში გაიმართა და მესამე შეხვედრის წინ ანგარიში საყაიმო იყო - 1:1.

მესამე შეხვედრას "ხიმკი" მასპინძლობდა და ადვილად დაამარცხა დედაქალაქური გუნდი - 71:55.

მატჩის ბედი პრაქტიკულად გადაწყდა პირველივე მეოთხედში, რომელიც კიეველებმა 11:25 დათმეს და ჩამორჩენა ველარ აღმოფხვრეს.

მარკოიშვილმა ტრადიციულად დედაქალაქელთა სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა და 38 წუთში 16 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა, მოედანი კი 5 პერსონალურის მიღების შემდეგ დატოვა.

მესამე ადგილისთვის სერიის მეოთხე მატჩი დღეს ისევ "ხიმკის" მოედანზე გაიმართება. თუ კიეველებმა ეს თამაში ვერ მოიგეს, მედლების გარეშე დარჩებიან.

### გიორგი ჩხაიძე "მონპელიეში" გადავიდა

გიორგი ჩხაიძე "მონპელიეში" გადავიდა - საქართველოს ნაკრების ფლანკერმა მამუკა გორგოძის გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომავალი სეზონიდან "ტოპ 14"-ში ითამაშებს. 28 წლის "ბორჯღალოსანმა" გასული სეზონი გაატარა პარიზის "რასინგ მეტროში", რომელთან ერთადაც მეორე დივიზიონის ჩემპიონობა მოიპოვა, რის შემდეგაც გორგოძის რეკომენდაციით "მონპელიეში" მოხვდა.

### შვიდკაცა ჭავჭავაძის უნივერსიტეტისაა

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე "უნივერსიადა 2009"-ის ეგიდით მიმდინარე შვიდკაცა რაგბის ტურნირის დასკვნითი მატჩები შედგა. ფინალურ შეხვედრაში, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის გუნდმა სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს დამატებით დროში 33:31 სძლია და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ვებ-გვერდის ცნობით, ჩემპიონები და პრიზიორები საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა - ნიკოლოზ ამაშუკელმა თასებით, მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ, ფინალური მატჩის დამატებითი დროის ბოლო წამზე გამარჯვების ლელოს გამტანი - ვეფხია ტუჩაშვილი ("ჭავჭავაძე") დასახელდა.

"ჭავჭავაძისა" და "სამედიცინოს" ფინალურ შეხვედრაში გამარჯვებულის გამოსავლენად ორი 3-წუთიანი ტაიმის დანიშვნა გახდა საჭირო (ძირითადი დრო 21:21 დასრულდა).

დამატებითი დროც თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა, თუმცა საბოლოოდ ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მაინც შეძლეს მეტოქის გატეხვა და შვიდკაცას ტურნირს გამარჯვებულად ზედიზედ მეორედ მოევლინენ.

მესამე ადგილისათვის შეხვედრაში "სტუ"-მ სამხატვრო აკადემია 31:17 დაამარცხა.

**"უნივერსიადა 2009".**
**მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი**
**შვიდკაცა რაგბი. 25 მაისი. ფლეი-ოფი.**
**მატჩი მე-5 ადგილისთვის**
თავისუფალი უნივერსიტეტი - ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტი 33:19
**1/2 ფინალი**
ჭავჭავაძე - სტუ 19:12
სამედიცინო - სამხატვრო აკადემია 40:12
**მატჩი მე-3 ადგილისთვის**
სტუ - სამხატვრო აკადემია 31:17
**ფინალი**
ჭავჭავაძე - სამედიცინო 33:31 (ძირითადი დრო 21:21)
**ტურნირის საუკეთესო მოთამაშე:** ვეფხია ტუჩაშვილი (ჭავჭავაძე)
**საბოლოო მდგომარეობა**
I - ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი
II - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
III - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
IV - სამხატვრო აკადემია
V - თავისუფალი უნივერსიტეტი
VI - ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
VII - აგრარული უნივერსიტეტი
VIII - კონსერვატორია

### წლის ბოლოს საქართველოს ექნება ბავშვთა სპორტის განვითარების ახალი კონცეფცია

საქართველოში მუშაობა დაიწყო ბავშვთა სპორტის განვითარების ახალ კონცეფციაზე. დოკუმენტი, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის იქნება მზად.

სპორტის განვითარების საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვაჟა შუბლაძის განცხადებით, ამ კონცეფციის შექმნაზე მუშაობენ ინგლისელი ექსპერტები, რომლებიც ტენდერით შეირჩნენ. ლონდონის ჯგუფის სპეციალისტები საქართველოში გაეცნენ ბავშვთა სპორტის განვითარების პრობლემებს. შედეგად მომზადდება დოკუმენტი, რომელიც საფუძვლად დაედება ახალ სტრატეგიას და კონცეფციას.

"ქართველ ექსპერტთა მიერ მომზადდა ბავშვთა სპორტის განვითარების პირველადი მოსაზრებები და ხედვები. ამ პროცესში ჩართული იყვნენ ჯანდაცვის, სპორტის და განათლების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის სპეციალისტები. ხედვები ინგლისელ სპეციალისტებს გადაეგზავნათ. ისინი კი, თავის მხრივ, საკუთარ მოსაზრებებს წარმოადგენენ და შეჯერებული ვარიანტი ახალი კონცეფციის საფუძველი გახდება," - აცხადებს ვაჟა შუბლაძე.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი ასანიძის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესება აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხია. მისივე ინფორმაციით, ეს საკითხი UNICEF-ისა და პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის პატრონაჟით ხორციელდება. **"პირველი"**

## არგენტინელი მეკარე "არსენალში"

მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა მეკარით, 16 წლის არგენტინელი დიეგო როდრიგესით ინგლისური "არსენალი" დაინტერესდა. ლონდონელთა დამრიგებელი არსენ ვენგერი ახალგაზრდა ტალანტების შერჩევის დიდოსტატად ითვლება. ამჟამად არგენტინის "ინდეპენდიენტეში" მოთამაშე როდრიგესმა ჭაღარა ფრანგი ძალიან დააინტერესა.

როდესაც როდრიგესმა ეს შეიტყო, სიხარულისგან კინაღამ შოკში ჩავარდა. მისი ასაკის მეტადრე ლათინოამერიკელი მეკარეებით ხომ ბობოლა კლუბები იშვიათად ინტერესდებიან.

## ინიესტა დარწმუნებულია, რომ რომში ითამაშებს

ინიესტა დარწმუნებულია, რომ მისი ტრავმის რეაბილიტაციის პროცესი შედეგს გამოიღებს და ის შეძლებს რომში გუნდის დახმარებას. ბლაუგრანას ნახევარმცველი ფიზიოთერაპიის კურსს გადის კლუბის ექიმ ემილი რიჩარდთან. პროგრამა ესპანელს ეხმარება სწრაფად მოიშუშოს ტრავმა და ჩადგეს ფორმაში. "დარწმუნებული ვარ, რომის ფინალში გუნდს დავეხმარები. ეს არის ახლა ჩემი მთავარი ამოცანა". "მომავალ ოთხშაბათს მე ჩემს დასვენებულ ენერგიას მთლიანად "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ მივმართავ". "მე კიდევ ორი დღე მომიწევს მუშაობა ჩემს ფიზიოთერაპევტთან, რათა ბოლომდე აღვიდგინო ფორმა". "მართალია, ბევრს ჩემი გამოჯანმრთელების არ სჯეროდა, მაგრამ იმედი მაქვს, ისინი მალე მნახავენ ბურთთან ერთად".

"მხოლოდ ერთი კვირა დარჩა რომის ფინალამდე და შეიძლება ის დრო ყველა ბარსელონელისთვის საუკეთესო მომენტად იქცეს. ამის დიდი იმედი მაქვს," - განაცხადა ანდრეს ინიესტამ.

## გომესი მიუნხენისკენ იყურება

გერმანიის ნაკრებისა და "შტუტგარტის" 23 წლის ფორვარდი მარიო გომესი არ მალავს, რომ მიუნხენის "ბაიერნში" გადასვლა სწყურია. "ბაიერნი" გომესის შეძენას ჯერ კიდევ გასულ სეზონში ცდილობდა, მაგრამ მაშინ არც "შტუტგარტმა" ისურვა ფეხბურთელის გაყიდვა და არც თავად გომესს სურდა კლუბის შეცვლა.

ახლა კი ვითარება შეიცვალა. გომესმა, რომელმაც ეს სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა, არ კმაყოფილდება წმინდა გერმანული ჩემპიონატით და ევროპულ ასპარეზზეც სურს ძალების გამოცდა. თან ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით უნდა თამაში. ეს კი "ბაიერნის" საშუალებით არის შესაძლებელი. "ბაიერნის" მესვეურებმა განაცხადეს, რომ გომესის გადაბირება ახლაც სურთ. სავარაუდოდ, ეს ტრანსფერი უახლოეს მომავალში განხორციელდება. "რეკორდმაისტერებს" მეკარის შეძენაც უნდათ - საუბარია ჯანლუიჯი ბუფონის ყიდვაზე.

## ფე "ვოლფსბურგის" მწვრთნელია

გერმანიის ახლად გამომცხვარი ჩემპიონის მთავარი მწვრთნელის პოსტზე არმინ ფე დაინიშნება.

"ვოლფსბურგში" ამ მწვრთნელის მოსვლაზე ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია გერმანულ მედიაში, თუმცა მაშინ კლუბს ეს ოფიციალურად არ დაუდასტურებია. გუშინ კი "ვოლფსბურგის" სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა ჰანს-დიტერ პიოტჩმა დაადასტურა, რომ მაგათს სწორედ ფე შეცვლის.

ფე "ვოლფსბურგთან" ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 48 წლის სპეციალისტი გუნდის გაწვრთნას იმ პირობით დათანხმდა, რომ კლუბი ახალი სეზონისთვის ორივე თავდამსხმელს - ბრაზილიელ გრაფიტესაც და ბოსნიელ ედინ ჯეკოსაც შეინარჩუნებს.

## სიგანი საფრანგეთში ბრუნდება

35 წლის ფრანგი მცველი პასკალ სიგანი ხანგრძლივი ევროპული მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებას და კარიერის იქ დასრულებას აპირებს. გასული სეზონი "არსენალის" ყოფილმა მცველმა ესპანურ "ვილიარეალში" გაატარა, თუმცა იქაური ყოფით უკმაყოფილო დარჩა და უკვე საფრანგეთში დაბრუნებაზე ალაპარაკდა.

"რთული სეზონი გავიარე, ძალიან ცოტა თამაში მიწევდა. ცენტრალური მცველის პოზიციაზე მწვრთნელი სხვა კანდიდატებს ენდობა. ახლა საფრანგეთში დაბრუნება მინდა. რამდენიმე ვარიანტი მაქვს. "ლილში" დაბრუნება ურიგო არ იქნებოდა," - ამბობს პასკალ სიგანი.

## "იევუ" მანინგერს დაიტოვებს

ავსტრიის ნაკრების მეკარე ალექსანდრ მანინგერი, რომელიც ტურინის "იუვენტუსში" ჯანლუიჯი ბუფონის შემცვლელია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სათამაშო პრაქტიკის გარეშეა დარჩენილი, კლუბის შეცვლას არ აპირებს.

"მანინგერს "იუვენტუსთან" ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. მას ტურინში ყველაფერი მოსწონს და არსად არ აპირებს წასვლას," - თქვა მეკარის აგენტმა.

## მოურინიო "ინტერში" დარჩება

სეზონის მსვლელობისას ხშირად ვრცელდებოდა ჭორი, თითქოს მოურინიო "ინტერის" დატოვებას აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, პორრტუგალიელი კონტრაქტის ამოწურვამდე "ნერაძურის" თავკაცი იქნება. მოქმედი კონტრაქტის ვადა 2012 წელს იწურება. კლუბსა და მწვრთნელს შორის ახალი შეთანხმება გაფორმდა, თუმცა არ შეცვლილა ვადები. გარკვეული კორექტივები იქნა შეტანილი სხვა პუნქტებში. კერძოდ, მოურინიოს საგრძნობლად გაუზარდეს ხელფასი. სამაგიეროდ კონტრაქტიდან გაქრა პუნქტი, რომლის თანახმად, 7 მილიონი ევროს გადახდის შემთხვევაში, მოურინიოს ნებისმიერ დროს ჰქონდა "ნერაძურის" დატოვების უფლება.

# იაშვილი ბუნდესლიგას დაემშვიდობა




*დარჩება თუ არა კობიაშვილი "შალკეში", ამას მაგათი გადაწყვეტს*

დასასრულს მიუახლოვდა მიმდინარე საფეხბურთო სეზონი. ამ უქმეებზე ზოგიერთ ქვეყანაში ჩემპიონატი დასრულდა, ზოგან კი თითო ტური დარჩა გასამართი. ასე რომ, ქართულ საფეხბურთო ლეგიონზე შედარებით იშვიათად მოგვიწევს საუბარი. ძირითადად რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატით და სატრანსფერო ამბებით შემოვიფარგლებით.

ამ შაბათ-კვირას ქართველმა ფეხბურთელებმა მეტ-ნაკლები წარმატებით ითამაშეს. ალექსანდრე იაშვილის გუნდი, ბოლო ტურში მოგებული მატჩის მიუხედავად, დაემშვიდობა ბუნდესლიგას. იტალიურმა ტურმა ისევ ქართველების გარეშე ჩაიარა.

დავიწყოთ საუკეთესო ხუთეულით, კერძოდ, გერმანიის ჩემპიონატით, რომელშიც შაბათს გათამაშების ბოლო ტური გაიმართა.

"იაშკას" "კარლსრუემ" პირწმინდად გაანადგურა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი დედაქალაქური "ჰერტა". ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 90 წუთი გაატარა. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ არც ურიგოდ უთამაშია. "კარლსრუემ" მატჩი ანგარიშით 4:0 მოიგო, თუმცა ბუნდესლიგას მაინც დაემშვიდობა.

"შალკეს" განაცხადში ამჯერად მხოლოდ ლევან კობიაშვილი მოხვდა. გელზენკირხენელებმა საკუთარ მოედანზე "ჰოფენჰაიმთან" ანგარიშით 2:3 დათმეს მატჩი და ჩემპიონატი მერვე ადგილზე დაასრულეს.

მომავალი სეზონიდან "შალკეს" გაწვრთნის ფელიქს მაგათი, რომელმაც წლეულს "ვოლფსბურგი" გააჩემპიონა. სწორედ მაგათის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული, დარჩებიან თუ არა ქართველი ფეხბურთელები "შალკეს" შემადგენლობაში.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მათე ღვინიანიძის "მიუნხენ 1860" "ნიურნბერგს" ესტუმრა და 1:2 წააგო. ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა, ბავარიული კლუბი კი 39 ქულით მე-12 ადგილზე გავიდა.

აახენში "ალემანიასთან" 0:4 დამარცხდა "აუგსბურგი", რომლის რიგებში ოთარ ხიზანეიშვილმა 90 წუთს ითამაშა. აუგსბურგელები 40 ქულით მე-11 პოზიციაზე გავიდნენ.

მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონ "ფრაიბურგის" შემადგენლობაში არ გამოჩენილა დავით თარგამაძე. ფრაიბურგელებმა "კაიზერსლაუტერნი" 4:3 დაამარცხეს და 68 ქულა მოაგროვეს.

ლევან ცქიტიშვილის გარეშე მოთამაშე "ვეენ ვისბადენი" როსტოკის "ჰანზას" დაუზავდა (1:1) და 27 ქულით ბოლო - მე-18 ადგილზე გავიდა. ასე რომ, მომავალ სეზონში რეგიონალლიგაში იასპარეზებს.

ქართველთა გარეშე ჩაიარა იტალიის სერია A-ს ბოლოსწინა, 37-ე ტურმა. არადა, იტალიური მედია გვარწმუნებდა, რომ ლევან მჭედლიძე "ატლანტასთან" მატჩში ძირითადში გამოჩნდებოდა. უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლმა "პალერმომ" ფრედ - 2:2 დაასრულა მატჩი ბერგამოში "ატლანტასთან". ქართველი თავდამსხმელი სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა.

ტრავმირებული კახა კალაძის გარეშე მოთამაშე "მილანმა" "რომასთან" საშინაო მატჩი 2:3 წააგო და 71 ქულით მეორე ადგილი შეინარჩუნა. ამ მატჩში ფეხბურთიდან გააცილეს პაოლო მალდინი.

ინგლისის პრემიერლიგის ბოლო, 38-ე ტურში "ბლექბერნ როვერსი" "ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" უგოლოდ დაშორდა. მასპინძელთა ქართველი მცველი ზურაბ ხიზანიშვილი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, თუმცა, თამაშში არ ჩართულა.

დასასრულს მიუახლოვდა უკრაინის ჩემპიონატი. შაბათს გაიმართა ბოლოსწინა ტური. ქართველი ფეხბურთელების ორმა გუნდმა პრემიერლიგაში დარჩენის ამოცანა დღესვე გადაჭრა, ერთი კი კვლავ საფრთხეშია.

ლაშა ჯაკობიას წყალობით ზედიზედ მეორე მატჩში გაიმარჯვა კიევის "არსენალმა" და უმაღლეს ლიგაში დარჩენა დაიბევა. ამჯერად კიეველებმა საკუთარ მოედანზე ალექსანდრე გურულის "კარპატი" დაამარცხეს. 33-ე წუთზე, სტუმართა მცველების მიერ დაშვებული შეცდომის წყალობით, ქართველი ფეხბურთელი მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში 2:0 გახადა. ამის შემდეგ კიეველებმა მეტოქეს კიდევ ორი გოლი გაუტანეს და რაკი საქმე უკვე მომთავრებული იყო, 72-ე წუთზე "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა ჯაკობია მოედნიდან გაიყვანა. "არსენალს" და "კარპატს" 31-31 ქულა აქვთ და მათთვის პრემიერლიგაში დარჩენის საკითხი გადაწყვეტილია.

"დნიპრომ" ქართველების გარეშე დაამარცხა "ხარკოვი" და მომავალ სეზონში ვეროპულ ლიგაზე თამაშის შანსს ინარჩუნებს. ქართველი ფეხბურთელის გარეშე ჩაიარა შეხვედრამ პოლტავაშიც, სადაც ადგილობრივმა "ვორსკლამ" ირაკლი მოდებაძის "ჩერნომორეცს" უმასპინძლა და 2:1 დაამარცხა.

ქართველთა გარეშე დაიწყო მატჩი დონეცკშიც. "შახტარი" "ტავრიას" მასპინძლობდა. გიგიაძეს თამაშში ჩართვის საშუალება მიეცა, ბურდული კი სათადარიგოთა სკამზე დარჩა. ქართველი თავდამსხმელი მოედანზე შევიდა 81-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 2:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. 85-ე წუთზე გიგიაძემ შორიდან სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. საბოლოოდ ის ანგარიში დაფიქსირდა, რომელიც მოედანზე მისი შესვლის დროს იყო. გასვლითი მარცხი იწვნია გიორგი ციმაკურიძის "ზარიამაც", რომელიც "ილიჩევეცს" ეთამაშებოდა და მეორე ტაიმის დასაწყისში გაშვებული ერთადერთი გოლის წყალობით დარჩა ქულების გარეშე. ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა, თუმცა არაფრით გამოუჩენია თავი.

რუსეთის ჩემპიონატში, "რუბინისა" და "ლოკომოტივის" დაპირისპირებაში, ქართველები მინდორზე არ გამოჩენილან. ყაზანელთა განაცხადში მხოლოდ დავით კვირკველია იყო, მაგრამ ის სათადარიგოთა სკამიდან არ ამდგარა. რუსეთის ჩემპიონმა კი მატჩი 2:0 მოიგო. ლევან გვაზავას "ტერეკი" ბოლო ადგილზე მყოფ "ხიმკის" მასპინძლობდა და თითო ტაიმში გატანილი თითო გოლის წყალობით 2:0 გაიმარჯვა. ქართველი ნახევარმცველი გროზნოელთა განაცხადშიც ვერ მოხვდა. გია გრიგალავას "მოსკვამ" "როსტოვი" 2:0 დაამარცხა. ქართველმა მცველმა 90 წუთს იასპარეზა. ნალჩიკის "სპარტაკმა", სამარის "კრილია სოვეტოვთან" საშინაო მატჩი 0:1 წააგო. ნალჩიკელთა მაისურით ალექსანდრე ამისულაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, გოგიტა გოგუას კი დისკვალიფიკაციის გამო არ უასპარეზია.

დანიის სუპერლიგის 32-ე ტურში დავით დევდარიანის "ორჰუსმა" ერთ-ერთ ლიდერს - "ბრონდბიუს" 1:0 სძლია და 45 ქულით მე-6 პოზიცია შეინარჩუნა. ქართველმა ნახევარმცველმა შეუცვლელად ითამაშა.

ჩეხეთის გამბრინუსლიგის 29-ე ტურში დიმიტრი ტატანაშვილის "ვიკტორია პლზენმა" "კლადნოს" 1:0 სძლია და 40 ქულით მე-8 ადგილზეა.

მასპინძელთა შემადგენლობაში გადამწყვეტი გოლი ნავრატილმა გაიტანა. ქართველი ფორვარდი პლზენელთა შემადგენლობაში არ გამოჩენილა.

უნგრეთის ჩემპიონატში რატი ალექსიძისა და დავით ოდიკაძის "დიორ ეტომ" ბოლოსწინა ტურის მატჩი გამართა და ქართველი თავდამსხმელის მიერ გატანილი გოლის წყალობით გაიმარჯვა. ალექსიძის გარდა, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ოდიკაძემაც, რომელმაც მატჩი სრულად ჩაატარა. ამ მოგებით "დიორ ეტომ" ერთი ადგილით წინ წაიწია და ახლა 43 ქულით მეშვიდე პოზიციაზეა.

# ჩერჩილის თასი წარმოგიდგენთ

გიგა გურასაშვილი

*ის, რომ ჩერჩილის თასზე საასპარეზოდ გიწვევენ, აღიარებაცაა და დაფასებაც. ეს იმაზეც მიუთითებს, რომ ქართული რაგბი წინ მიიწევს. პრესტიჟული სარაგბო ტურნირის წინ საქართველოს ნაკრებს იმდენი პრობლემა შეექმნა, რომ საქართველოს რაგბის კავშირში ვერც კი იხსენებენ, ოდესმე ასეთ მდგომარეობაში თუ ყოფილან. ოკეანის გაღმა, დენვერში, ჩერჩილის თასზე, ძირითადი ნაკრები თითქმის სრული შემადგენლობის გარეშე მიემგზავრება.*

მიზეზი ეკონომიკური კრიზისია, რომელმაც, სხვა ყველაფერთან ერთად, საფრანგეთის სარაგბო კლუბებსაც დარია ხელი. საფრანგეთის ოვალურ სამყაროს კი ის გავლენა აქვს ქართულ რაგბიზე, რომ "ბორჯღალოსანთა" უმეტესობა მის მინდვრებზე ბურთაობს.

ერთი სიტყვით, კრიზისის გამო ფრანგული კლუბები იძულებული გახდნენ ლეგიონერთა ნაწილი დაეთხოვათ. მათ შორის ქართველებიც. უმუშევრად დარჩენილი მორაგბეები ივლისის სატრანსფერო ფანჯარას შეჰყურებენ.

"ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი ბიჭების ნაკრებში გამოძახებისგან თავი შევიკავეთ. ახლა მათი მთავარი საზრუნავი ახალი კლუბების მოძიებაა. არ გვინდა ამ საქმეში ხელი შევუშალოთ, რადგან ეს ყველაფერი ნაკრებზე ასახება, - გვეუბნება რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე, - არის სხვა გარემოებაც. ნაკრების წევრთა მეორე ნაწილს ოჯახური პრობლემები აქვს, მესამე ნაწილს, ანუ მათ, ვინც კლუბებში ირიცხებიან, ჩერჩილის თასის გათამაშების პარალელურად საკუთარ კლუბებში შეკრებები უწევთ. თუ როგორ რეაგირებენ ფრანგები ლეგიონერების ნაკრებებში გაშვებაზე, ეს არავისთვის უცხო არ უნდა იყოს".

ჩერჩილის თასზე საქართველოს მეტოქეები იქნებიან კანადელები და ირლანდიელთა A ნაკრები. მეორე ჯგუფში კი იბურთავებენ მასპინძლები - ამერიკელები, არგენტინელთა და ინგლისელთა A ნაკრებები. ჩრდილოამერიკელები რეიტინგში საქართველოზე ქვევით არიან. ასე რომ, მათთან მოგების შემთხვევაშიც კი მნიშვნელოვან ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ.



*ტიმ ლეინს ერთი თვის განმავლობაში საკუთარი განკარგულებაში ეყოლება ნაკრები, ასეთი შესაძლებლობა კი მას არასდროს არ ჰქონია*

მაშინ, როდესაც ასეთი რანგის გათამაშებაში თამაშის ხარისხსა და დონეს ითხოვენ, საქართველოს ნაკრების ავსტრალიელ დამრიგებელს ტიმ ლეინს გუნდში ეროვნული ჩემპიონატის ათი მოთამაშის გამოძახება მოუხდა. მიუხედავად ამისა, კავშირში იმედი აქვთ, რომ შოტლანდიური კრახი არ გამეორდება.

კარგია, რომ საერთაშორისო რაგბის კავშირში კარგად იციან ჩვენი მდგომარეობა და არ დაგვძრახავენო.

დღეს, სამშაბათ-ოთხშაბათის გასაყარზე, "ბორჯღალოსანთა" შესუსტებული ნაკრები კანის გზას დაადგება და იქ ხუთდღიან შეკრებას გაივლის. კანიდან დენვერში 1 ივნისს ჩავლენ, 6-ში კი ჩერჩილის თასის გათამაშებას კანადის ნაკრებთან მატჩით გახსნიან.

"პირველი შეხვედრა კანადასთან ერთგვარი სატესტო მატჩია. მისი სარეიტინგო დატვირთვა რომ არა, არ ვინერვიულებდით. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ირლანდიის A ნაკრებთან უფრო გაგვიჭირდება. ეს არის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი. ამიტომ, თუ სასურველი შედეგი არ იქნება, ამის გამო ძალიან ნუ დაგვძრახავთ. მიზანი სათამაშო გამოცდილების შეძენაა. ჩვენი პროგნოზით, შოტლანდია არ გამეორდება, - გვაიმედებს ნიჟარაძე, - ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წარმოიდგინეთ, ტიმ ლეინს ერთი თვის განმავლობაში თავის განკარგულებაში ეყოლება ნაკრები. ასეთი შესაძლებლობა მას არასდროს ჰქონია. ასე რომ, სრული კარტ ბლანში აქვს სამოქმედოდ".

ქართულ რაგბისთან დაკავშირებით სხვა საინტერესოც შევიტყვეთ. ნაკრებში გამოძახებული წევრებისთვის, რომლებსაც ხელფასი ექვითებოდათ, სპონსორთა დახმარებით, იმ თანხის კომპენსაცია მოხდება. ასევე სპონსორთა დახმარებით იქმნება საქართველოს A ნაკრები, რომელსაც უკვე წლეულს სავარაუდოდ ორი თამაში ექნება.

საქართველო VS რუსეთის საგაისო მატჩი სავსებით შესაძლებელია ტრაბზონში გაიმართოს. ასე რომ, რაგბის ქართველ გულშემატკივარს მატჩზე დასასწრებად ბათუმიდან იოლად შეეძლება გამგზავრება.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობის გაცნობამდე კი გეტყვით, რომ გუნდში გამოჩნდა შარლ-ედუარდ იაშვილი, რომელთან დაკავშირებითაც კავშირის პრეზიდენტმა გვითხრა, გავარკვევთ, რა შეუძლია. ტიმ ლეინი ესაუბრა მის მწვრთნელს, რომელმაც იაშვილი კარგად დაახასიათა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, საქმეში ვნახოთო.

**საქართველოს ნაკრები:** დავით დადუნაშვილი, დავით გასვიანი, ზერო პეტრიაშვილი, იური ნატრიაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჟღენტი, ვასილ კაკოვინი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, კახაბერ უჩავა, ირაკლი გუნდიშვილი, გრიგოლ ლაბაძე (კაპიტანი), ზვიად მაისურაძე, დიმიტრი ბასილაია, რატი ურუშაძე (ვიცე-კაპიტანი), გიორგი როხვაძე, შარლ-ედუარდ იაშვილი, ლაშა მალაღურაძე, ლაშა ხმალაძე, ალექსანდრე თოდუა, დავით კაჭარავა, რევაზ გიგაური, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი მაჩხანელი, ლექსო გუგავა, გიორგი ელიზბარაშვილი, მერაბ კვირიკაშვილი, დავით ლოსაბერიძე, თეიმურაზ სოხაძე, გიორგი ლომსაძე.

სავარაუდოდ, ჩერჩილის თასზე არ გაემგზავრებიან გიგაური, ზიბზიბაძე და ლოსაბერიძე.

## IRB-ში უძრაობაა

ოვალურ სამყაროში უძრაობაა. რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში მოწინავე ნაკრებთა შორის ცვლილებები არ მომხდარა, საქართველოს მთავარმა გუნდმა კი 70.39 ქულით მე-13 ადგილი შეინარჩუნა. ცვლილებებს, სავარაუდოდ, 6 ივნისის შემდეგ უნდა ველოდოთ, მას შემდეგ, რაც ჩერჩილის თასზე საქართველო კანადას შეხვდება.

შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო ყაზახეთის ნაკრებს, რომელმაც აზიის "ხუთი ერის თასზე" ჰონგ კონგი დაამარცხა და ისტორიაში უმაღლეს, 27-ე საფეხურზე დაწინაურდა.

**IRB-ს რეიტინგი:**

| | |
|---|---|
| 1 (1). ახალი ზელანდია | 92.68 |
| 2 (2). სამხრეთ აფრიკა | 89.45 |
| 3 (3). ავსტრალია | 85.86 |
| 4 (4). ირლანდია | 83.27 |
| 5 (5). არგენტინა | 81.56 |
| 6 (6). ინგლისი | 80.96 |
| 7 (7). უელსი | 80.59 |
| 8 (8). საფრანგეთი | 79.94 |
| 9 (9). ფიჯი | 75.24 |
| 10 (10). შოტლანდია | 75.23 |
| 11 (11). სამოა | 72.57 |
| 12 (12). იტალია | 71.23 |
| **13 (13). საქართველო** | **70.39** |
| 14 (14). ტონგა | 70.05 |
| 15 (15). კანადა | 69.12 |
| 16 (16). იაპონია | 68.05 |
| 17 (17). რუსეთი | 66.57 |
| 18 (18). რუმინეთი | 64.26 |
| 19 (19). აშშ | 63.55 |
| 20 (20). ურუგვაი | 63.16 |
| 21 (21). პორტუგალია | 62.16 |
| 22 (22). ესპანეთი | 59.01 |
| 23 (23). ჩილე | 57.95 |
| 24 (24). ს.კორეა | 57.90 |
| 25 (25). ნამიბია | 56.82 |
| 26 (26). გერმანია | 55.35 |
| 27 (29). ყაზახეთი | 55.12 |
| 28 (27). ბრაზილია | 54.97 |
| 29 (28). ბელგია | 54.46 |
| 30 (30). უკრაინა | 54.17 |

# პიკეს მეორე ფინალი

22 წლის ასაკში მას ზედიზედ მეორედ მოუწევს ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაში, თუმცა განწყობა ამჯერად რადიკალურად განსხვავებული იქნება. თუ მოსკოვურ ფინალში მას ბურთისთვის ფეხიც კი არ დაუკარებია, ისე გახდა ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის გამარჯვებული, რომში მას დიდი ჯაფა დაადგება. თანაც, თუ ერთი წლის წინ ის "მანჩესტერის" ღირსებას იცავდა, ახლა მანკუნიანელთა წინააღმდეგ მშობლიური "ბარსელონას" მაისურით ითამაშებს.

ალბათ ხვდებით, საუბარია "ბარსას" მცველ ხერარდ პიკეზე, რომელმაც ერთ-ერთ კატალონიურ გაზეთს მომავალ ფინალთან დაკავშირებით ინტერვიუ მისცა.

**- ეს ფინალი განსხვავდება მოსკოვური ფინალისგან?**

- რა თქმა უნდა. მთავარი განსხვავება ის არის, რომ ამჯერად საკუთარი საგვარეულო გერბი უნდა დავიცვა. "ბარსელონა" არის კლუბი, რომელსაც მთელი ჩემი ოჯახი გულშემატკივრობს. ამ კლუბის ტრადიციებზე ვარ გაზრდილი. ოთხშაბათს ზუსტად ისეთი განწყობა მექნება, როგორც "ბარსას" ნებისმიერ ფანს. მათგან მხოლოდ იმით განვსხვავდები, რომ მოედანზე სათამაშოდ გავალ.

**- ეგ ემოციური თვალსაზრისით, მაგრამ რა განსხვავებაა წმინდა პროფესიონალური კუთხით?**

- გასულ წელს უბრალოდ იმ გუნდის ნაწილი ვიყავი, რომელმაც ფინალში ითამაშა. პირადად მე გამარჯვებისთვის არაფერი გამიკეთებია. ახლა კი მოედანზე ვიქნები.

**- შენ ორმაგი აგენტივით ხარ. მოდი, "მანჩესტერის" საიდუმლოებები გაგვიმხილე.**

- კი ბატონო.

**- ფერგიუსონი როდის ეუბნება ფეხბურთელებს, თუ ვინ ითამაშებს ძირითადში?**

- თუ საშინაო მატჩია, ეს გასახდელში, თამაშის წინ ხდება. თუ გუნდი სტუმრად თამაშობს ან ჩემპიონთა ლიგის ფინალია, მაშინ სასტუმროში.

**- დილით?**

- დიახ. თუმცა კვირის განმავლობაში ისედაც ცხადია, ვინ ითამაშებს ძირითადში და ვინ - არა. ეს ვარჯიშებზე ირკვევა.

**- მეტოქის თამაშს ვიდეოჩანაწერით სწავლობენ?**

- დიახ, სასტუმროში. თუმცა ამით თავად ფერგიუსონი არ არის დაკავებული. ამ დროს გუნდთან კარლუშ კეიროში მუშაობს.

**- ფერგიუსონი რაღას აკეთებს?**

- საწვრთნელ პროცესში თითქმის არ ერევა. ვარჯიშებზე გუნდთან მისი თანაშემწეები მუშაობენ. ფერგიუსონი უშუალოდ მატჩის წინ გამოდის ავანსცენაზე.



*ხერარდ პიკე*

**- ალბათ პერსონალურად აძლევს რჩევებს ფეხბურთელებს.**

- გარკვეულ შემთხვევაში ასეა. დარწმუნებული ვარ, მოსკოვური ფინალის წინ რამდენიმე ფეხბურთელს მაინც ესაუბრა.

**- მატჩის წინ მისი სიტყვა ფეხბურთელებისთვის შთაგონების წყაროა?**

- როგორ გითხრათ. საკუთარ ქარიზმაში დარწმუნებულია, მაგრამ ისე ლაპარაკობს, ალბათ უმჯობესია ეგეთი ტონით ქადაგებას წაუძღვეს. ფეხბურთელების მოტივირება ეგრეთ წოდებულ გუნდის მძიმეწონოსნებს ეკისრებათ.

**- კერძოდ?**

- რიო ფერდინანდსა და რაიან გიგზს. რიო საოცრად ემოციურია და ძირითადად შეძახილებით ამხნევებს ფეხბურთელებს. რაიანი კი მშვიდად გელაპარაკება, თვალებში გიყურებს. საოცარი შეგრძნებაა ამ დროს, ხვდები, რომ ცოცხალ ლეგენდას ესაუბრები.

**- კრიშტიანუ რონალდუ ამტკიცებს, რომ თქვენ მისი ყველა ფინტი არ იცით.**

- სასიამოვნო იქნება მისი ახალი ფინტების ხილვა. თუმცა პირადად მე მაინც მგონია, რომ მის ყველა ფინტს ვიცნობ, თუმცა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს იგივეა, რაც მესის შემთხვევაში. თითქოს იცი, რას გააკეთებს ის ამა თუ იმ მომენტში და ლიო მაინც გატყუებს. თუ კრიშტიანუმ გაგვიტანა, ეგ ჩემი სისუსტე იქნება.

**- თქვენს გვერდით, დაცვის ცენტრში, იაია ტურე ითამაშებს**

- ის უნივერსალია და ნებისმიერ პოზიციაზე ითამაშებს. არა მგონია, რომ "მანჩესტერის" უნდა გვეშინოდეს. მეტიც, დარწმუნებული ვარ, სწორედ მათ ეშინიათ ჩვენი.

**- ალბათ რევანშის გრძნობაც გაქვთ. "მანჩესტერში" ხომ ჯეროვნად არ დაგაფასეს.**

- არავითარ შემთხვევაში. ფეხბურთელად "მანჩესტერში" ვიქეცი და უამრავი რამ ვისწავლე. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამ ორ ფინალს ვერ ვითამაშებ. ახლა მე ჩემი კლუბისა და ჩემი ხალხისთვის ვითამაშებ.




# დაიპყარი მწვერვალი!
## გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
**$325 000**






Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007

**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო “IC Model Management”-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, კლაუდია შიფერი, სინდი კროუფორდი - მათ აირჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პირველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამარჯვებული გაემგზავრება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.





Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნიკოლაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გარდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025;
info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge

IC MODEL MANAGEMENT · kikala studio · MEDI EST მედიესთეტიკის კლინიკათა ჯგუფი · 24 საათი · MUSIC BOX · COSMOPOLITAN



## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**



## ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

- ზემოთ მითითებულ მისამართზე სატენდერო დოკუმენტაციის გაცემას აწარმოებს სატენდერო კომისიის აპარატი.
- სატენდერო წინადადება კომისიას წარედგინება დახურული კონვერტით და მისი გახსნა მოხდება სატენდერო წინადადების ვადის დასრულებისთანავე, პრეტენდენტთა თანდასწრებით, ან მათ გარეშე, მიმდინარე წლის 17 ივნისს, 14 საათზე, შემდეგ მისამართზე: - ქ. აბაშა, ტროფი დარასელიას ქ. N1, II სართული, სატენდერო კომისია;
- ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა, ხელშეკრულების დადებამდე, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (საბანკო გარანტია, ბანკის მიერ დამოწმებული ჩეკი, აკრედიტივი ან სხვა გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტი) ხელშეკრულების ღირებულების 4 პროცენტის ოდენობით;
- დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და შემდეგ ტელეფონებზე: - 855 155-222; 899 730-896.

სატენდერო კომისია

დანართი №3
პრესაში გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია

# სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“ აცხადებს აუქციონს

თავის ტერიტორიულ სამსახურებში არსებულ ფართების ნაწილის იჯარით გაცემაზე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ მოქალაქეებისათვის გაწეული მომსახურების საფასურის მიღების მიზნით იურიდიული პირების განსათავსებლად.

**ინფორმაცია იჯარით გასაცემი ქონების შესახებ:**

| № | იჯარით გასაცემი ობიექტის დასახელება | მისამართი | საიჯარო ფართი (კვ.მ) | ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში) | „ბე" (ლარი) | „ბიჯი" (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლოტი | დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური | ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №67ა | 3კვ.მ | 2880 | 200 | 100 |
| | საქართველოს არქივი | ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №67ა | 3კვ.მ | | | |
| | ვაკის სამსახური | ქ. თბილისი, აბაშიძის ქ.№68 | 3კვ.მ | | | |
| | ნაძალადევის სამსახური | ქ. თბილისი,ცოტნე დადიანის გამ.№34 | 3კვ.მ | | | |
| | საბურთალოს სამსახური | ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№2 | 3კვ.მ | | | |
| | საინფორმაციო-სამისამართო ბიურო | ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №8 | 3კვ.მ | | | |
| | აფხაზეთის სამსახური | ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის 2მ/რ. მე-3 კორპუსი | 3კვ.მ | | | |
| | დედოფლისწყარო | რუსთაველის ქ. კორპ. №37 | 3კვ.მ | | | |
| | თელავი | ალმაშენებლის ქ.№41 | 3კვ.მ | | | |
| | საგარეჯოს სამსახური | ჯავარიძის ქ.№2 | 3კვ.მ | | | |
| | ყვარლის სამსახური | ჭავჭავაძის ქ.№78 | 3კვ.მ | | | |
| | მცხეთის სამსახური | მუხრანის ქ.№17 | 3კვ.მ | | | |
| | ცხინვალის და გორის სამსახური | სამეფოს ქ. №14 | 3კვ.მ | | | |
| | კასპის სამსახური | დ. აღმაშენებლის ქ.№80 | 3კვ.მ | | | |
| | ქარელის სამსახური | სტალინის ქ. №24 | 3კვ.მ | | | |
| | გარდაბნის სამსახური | ლესელიძის ქ.№1 | 3კვ.მ | | | |
| | დმანისის სამსახური | წმ.ნინოს ქ.№42 | 3კვ.მ | | | |
| | მუახევის სამსახური | ს. ხიმშიაშვილის ქ.№2 | 3კვ.მ | | | |
| | ხულოს სამსახური | ტბელ აბუსერიძის ქ.№5 | 3კვ.მ | | | |
| | ქობულეთის სამსახური | აღმაშენებლის ქ. №143 | 3კვ.მ | | | |
| | ქედის სამსახური | კოსტავას ქ. №2 | 3კვ.მ | | | |
| | ხელვაჩაურის სამსახური | თამარ მეფის ქ.№12 | 3კვ.მ | | | |
| | ახალციხის სამსახური | კეცხოველის ქ.№6 | 3კვ.მ | | | |
| | ასპინძის სამსახური | ვარძიის ქ.№117 | 3კვ.მ | | | |
| | ბორჯომის სამსახური | რუსთაველის მოედანი №1 | 3კვ.მ | | | |
| | ხონის სამსახური | თავისუფლების მოედანი №6ა | 3კვ.მ | | | |
| | ტყიბულის სამსახური | აქობაძის ქ. №12 | 3კვ.მ | | | |
| | ჭიათურის სამსახური | ნინოშვილის ქ. №12 | 3კვ.მ | | | |
| | ქუთაისის სამსახური | სადგურის მოედანი №3ა | 3კვ.მ | | | |
| | წყალტუბოს სამსახური | რუსთაველის ქ.№25 ...ა., კორპუსი | 3კვ.მ | | | |
| | ხარაგაულის სამსახური | დეკანოსიძის ქ.№5 | 3კვ.მ | | | |
| | ბაღდათის სამსახური | ვაჟა-ფშაველას ქ.№5 | 3კვ.მ | | | |
| | ვანის სამსახური | თამარ მეფის ქ.№8 | 3კვ.მ | | | |
| | ონის სამსახური | აღმაშენებლის მოედანი №1 | 3კვ.მ | | | |
| | ამბროლაურის სამსახური | დ. აღმაშენებლის ქ.№24 | 3კვ.მ | | | |
| | წალენჯიხის სამსახური | ჭურღულიას ქ.№5 | 3კვ.მ | | | |
| | სენაკის სამსახური | წმ. ნინოს ქ. №11 | 3კვ.მ | | | |
| | ზუგდიდის სამსახური | მეუნარგის ქ.№11 | 3კვ.მ | | | |
| | ოზურგეთის სამსახური | გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1 | 3კვ.მ | | | |
| | თერჯოლის სამსახური | რუსთაველის ქ.№95 | 3კვ.მ | | | |
| | ჩხოროწყუს სამსახური | სტალინის ქ №6 | 3კვ.მ | | | |
| | დუშეთის სამსახური | სტალინის ქ.№27 | 3კვ.მ | | | |
| | ახმეტის სამსახური | ჩოლოყაშვილის ქ.№50 | 3კვ.მ | | | |
| | სამტრედიის სამსახური | რუსთაველის ქ.№30 | 3კვ.მ | | | |
| | ჩოხატაურის სამსახური | გურიის ქ.№1 | 3კვ.მ | | | |
| | გლდანის სამსახური | სარაჯიშვილის ქ.№3 | 3კვ.მ | | | |
| | რუსთავის სამსახური | ფიროსმანის ქ.№19 | 3კვ.მ | | | |
| | ხობის სამსახური | ცადადიანის ქ №92 | 3კვ.მ | | | |
| | სიღნაღის სამსახური | ქ.წნორი,რუსთაველის ქ.№27 | 3კვ.მ | | | |
| | ისნის სამსახური | ქ.წამებულის გამზ.№69 | 3კვ.მ | | | |
| | ცაგერის სამსახური | რუსთაველის ქ.№69 | 3კვ.მ | | | |
| | ადიგენის სამსახური | თორნიკე ერისთავის ქ.№22 | 3კვ.მ | | | |
| | აბაშის სამსახური | უჩა კაჭარავას ქ.№1 | 3კვ.მ | | | |
| | თიანეთის სამსახური | რუსთაველის ქ.№15 | 3კვ.მ | | | |
| | წალკის სამსახური | არისტოტელეს ქ №11 | 3კვ.მ | | | |
| | ფოთის სამსახური | 9 აპრილის ხეივანი №26 | 3კვ.მ | | | |
| | ახალქალაქის სამსახური | თამარ მეფის ქ.№44 | 3კვ.მ | | | |
| | ბათუმის სამსახური | ლიაკას ქ.№4 | 3კვ.მ | | | |
| | მარტვილის სამსახური | გახოკიძის ქ.№5 | 3კვ.მ | | | |
| | ყაზბეგის სამსახური | დ.აღმაშენებლის ქ.№9 | 3კვ.მ | | | |
| | საჩხერის სამსახური | მუნიციპალიტეტის გამგეობის 1 სართული | 3კვ.მ | | | |
| | გურჯაანის სამსახური | ნონეშვილის №13 | 3კვ.მ | | | |

ობიექტების იჯარით გაცემის ვადაა 10 წელი.

– აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ საბანკო ლიცენზიის მქონე იურიდიულ პირებს ან მათთან აფილირებულ კომპანიებს.

– აუქციონი ტარდება 1 (ერთი) ლოტად.

– ლოტის საწყისი საიჯარო ღირებულება შეადგენს 2880 (ორიათას რვაას ოთხმოცი) ა.შ.შ დოლარის ექვივალენტი ლარებში

– აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა (შემდგომში "მონაწილე") აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იჯარით გასაცემი ობიექტის დასახელებას, ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყის ფასს, რომლის იჯარით აღებაც მას სურს.

ბ) ცნობა ფინანსთა სამინისტროდან რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის არ არსებობის შესახებ;

გ) ცნობა ფინანსთა სამინისტროდან საგადასახადო დავალიანების არ არსებობის შესახებ;

დ) ცნობა ყადაღის არ არსებობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან;

ე) ცნობა სასამართლოდან, რომ მასზე არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

ვ) "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შემდეგ ანგარიშზე: ს.ს. „საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101502, ა/ა 122031300, ს/კ: 202307404.

ზ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს, "მონაწილე" იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 5 ლარს, რომელიც ასევე გადახდილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

– ხელშეკრულების ზოგადი პირობებია:

ა) გამარჯვებული მონაწილე განათავსებს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიულ სამსახურებში, მოქალაქეთათვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის მიღებისა და მიღებული თანხის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ანგარიშებზე განთავსების მიზნით;

ბ) სამუშაო საათების ხანგრძლივობა განისაზღვრის: 9:00 – 17:00 (შესვენების გარეშე);

გ) სამუშაო დღეები: ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა;

დ) საიჯარო ფართი გაიცემა რეკონსტრუქციის უფლების გარეშე;

ე) გამარჯვებულ მონაწილეს არ აქვს უფლება განახორციელოს სხვა საქმიანობა გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა;

ვ) საიჯარო თანხაში შედის წყლის, ელექტროენერგიის, დასუფთავებისა და სხვა კომუნალური გადასახადები.

ზ) გამარჯვებული მონაწილე საიჯარო ქირას გადაიხდის ათვისებული ფართების ღირებულების მიხედვით.

თ) გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია განათავსოს სააგენტოს წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადებსა და ტერიტორიულ სამსახურებში.

ი) გამარჯვებული მონაწილის მიერ მოქალაქეებისაგან საკუთარი მომსახურების საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს 1 (ერთი) ლარს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ბაჟი, ან სააგენტოს მომსახურების საფასური არ აღემატება 5 ლარს ბანკის მომსახურების საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს 0.5 ლარს.

კ) საგანგაშო სიგნალის მოწყობა ევალება გამარჯვებულ მონაწილეს.

ლ) სავალდებულოა გამარჯვებული მონაწილის მიერ ყოველდღიურად მოხდეს მომსახურების შედეგად მიღებული თანხის ინკასაცია.

მ) გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია აიწყოს ბილინგის სისტემა.

აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი "ბე" ეთვლება პირველი თვის საიჯარო თანხის ანგარიშსწორებისას.

**ინფორმაცია განაცხდების მიღების შესახებ:**

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 24 ივნისს 15:00 სთ-ზე, ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი №67ა-ში.

აუქციონში მონაწილეებს უფლება აქვთ მოითხოვონ საიჯარო ხელშეკრულების პროექტი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება აღნიშნული ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან 2009 წლის 24 ივნისს 14:30 საათამდე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 სთ-დან 18 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №67ა.

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადებები არ მიიღება.

ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს საიჯაროდ გამოტანილ ქონებას.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №67ა, ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონებზე:

35 79 43; 899932822

**სსიპ „სამოქალაქო რეესტრის სააგენტო**

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**
**შესყიდვის ობიექტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამოთვლითი და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განახლება, ოპტიმიზაცია და მონაცემთა სარეზერვო ინფრასტრუქტურის შექმნა**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გ. გორგასლის №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამოთვლითი და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განახლების, ოპტიმიზაციის და მონაცემთა სარეზერვო ინფრასტრუქტურის შექმნის შესყიდვაზე.
2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ რეზიდენტ და არარეზიდენტ, ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამოთვლითი და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განახლება, ოპტიმიზაცია და მონაცემთა სარეზერვო ინფრასტრუქტურის შექმნა სასურველია განხორციელდეს **2010 წლის 1 თებერვლამდე.**
4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტში **2009 წლის 16 ივნისს $9^{00}$ სთ-დან $15^{00}$ სთ-მდე, მე-18 პუნქტში** მითითებულ მისამართზე.
5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**5.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

გ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა.

6. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).
7. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1 | სატენდერო წინადადების ღირებულება | 0,45 |
| 2 | შემოთავაზებული სერვერების სიმძლავრე | 0,25 |
| 3 | გამოცდილება | 0,20 |
| 4 | მომსახურების გაწევის ვადები | 0.10 |
| | სულ: | 1,00 |

8. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი **მე-4 პუნქტში** დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების **მე-5 პუნქტში** მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაცია **მე-7 პუნქტში** განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.
9. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.
10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ (**მე-17 პუნქტში** აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) **2009 წლის 27 მაისის $09^{00}$ სთ-დან 2009 წლის 15 ივნისის $18^{00}$ სთ-მდე,** შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი, გ. გორგასლის ქ. №16, სატენდერო კომისიის აპარატი.
11. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა რეზიდენტ და არარეზიდენტ, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.
12. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2009 წლის 16 ივნისს $15^{00}$ სთ-ზე.**
13. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების **3%-ის** ოდენობით.
14. პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების ღირებულების **25%-ს.**
15. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება **მე-5 და მე-6 პუნქტებში** აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.
16. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.
17. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში**
**ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000**
**გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, გამოთვლითი და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განახლება, ოპტიმიზაცია და მონაცემთა სარეზერვო ინფრასტრუქტურის შექმნა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

18. ტენდერში მონაწილეობის მსურველ დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში ქ. თბილისი, გ. გორგასლის №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9 ტელ: (+995 32) 261-337. საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თევდორაძე, ელ-ფოსტა: a.tevdoradze@mof.ge.

*შენიშვნა:*
*არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ პრეტენდენტის რეგისტრაციის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის კომპეტენტური სტრუქტურებიდან, ამასთან ორიგინალ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.*

---

21 მაისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი" DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია გიორგი სესიტაშვილის, თამაზ ნიკვაშვილისა და ზაქარია ტოკლიკაშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **3 358.08 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 3 ივნისს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე გიორგი სესიტაშვილი, მცხ: ქ.თბილისი, ალმაშენებლის N185. ალტ.მის: სიღნაღის რაიონი, ქ.წნორი, რუსთაველის ქ.N12; თამაზ ნიკვაშვილი, მცხ: ქ.თბილისი, გორგასლის მე-3 შეს. N2 და ზაქარია ტოკლიკიშვილი, მცხ: ქ.თბილისი, ალმაშენებლის N185; ალტ.მის: სიღნაღი, სოფელი საქობო.

---

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციების შესახებ

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)
სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროექტების – *„DOTS სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში"* (პროექტი №GEO-405-G03-T) და *„საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება"* (პროექტი №GEO-607-G05-T) – ფარგლებში მეორე რიგის ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტების შესყიდვის მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად ხელშეკრულება დაიდო 2009 წლის 27 თებერვალს კომპანიასთან **„Internationl Dispensary Association"**.

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)
სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროექტის – *„საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის* ღონისძიებების გატარება" (პროექტი №GEO-607-G05-T) – ფარგლებში რეზისტენტული ტუბერკულოზის მოზრდილთა სტაციონარის შენობის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-საინჟინრო სამუშაოების შემსრულებლის გამოსავლენად (ინტელექტუალურ მომსახურება - არქიტექტურული დიზაინი, საავტორო ზედამხედველობის განხორციელება) შესყიდვის მიზნით 2008 წლის 8 სექტემბერს გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „საქპროექტარქიტექტურა".

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)
სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროგრამის „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (გრანტი: **№-GEO-607-G06-H**) ფარგლებში, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2008 წლის 8 ნოემბერს გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი ორგანიზაციები: 1. საერთაშორისო ფონდი „კურაციო" - I ლოტი; 3. ს/ს „ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი" - III ლოტი; 4. კავშირი „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა" - IV ლოტი; 5. ს.ს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი" - V ლოტი; 6. აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირთა კავშირი „თანადგომა" - VI ლოტი.

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)
სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" პროექტი: **№-GEO-607-G06-H**) ფარგლებში ავტომობილების შესყიდვის მიზნით 19. ნოემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ს.ს „ჰიუნდაი ავტო საქართველო".

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)
სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროექტების: „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003–2007 წლებში" (პროექტი: **№-GEO202-G01-H-00**), „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროექტი: **№-GEO-607-G06-H**) და „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება" (პროექტი: **№-GEO-607-G05-T**) პროგრამის ფარგლებში მედიკამენტების შესყიდვის მიზნით 2008 წლის 6 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ს.ს „ჯი პი სი".

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)
სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროექტის „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" (პროექტი: **№-GEO202-G01-H-00**), „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროექტი: **№-GEO-607-G06-H**), **„DOTS** სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში" (პროექტი: **№-GEO-405-G03-T**), „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება" (პროექტი: **№-GEO-607-G05-T**) და „მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიას ეპიდემიის თავიდან აცილება" (პროექტი: **№-GEO-607-G04-M**) პროგრამის ფარგლებში ელექტროსაქონელისა და ინვენტარის შესყიდვის მიზნით 2008 წლის 6 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „კლინტექ"– ლოტი I და II.

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროექტების: „აივ/შიდსის პრევერციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" (პროექტი: **№-GEO202-G01-H-00**), „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროექტი **№-GEO-607-G06-H**), **„DOTS** სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში" (პროექტი: **№-GEO-405-G03-T**), „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება" (პროექტი **№-GEO-607-G05-T**) და „მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიას ეპიდემიის თავიდან აცილება" (პროექტი **№-GEO-607-G04-M**) პროგრამის ფარგლებში ტესტ-სისტემების, რეაგენტებისა და სახარჯი მასალების (სახარჯი მასალა, რეაგენტები/ტესტები კლინიკური და ლაბორატორიული კვლევებისათვის) შესყიდვის მიზნით 2008 წლის 11 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი ორგანიზაციები: შპს „სამაია" – ლოტი II და შ.პ.ს „ექსპრესდიაგნოსტიკა" – ლოტი III.

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროექტების: „აივ/შიდსის პრევერციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" (პროექტი: **№-GEO202-G01-H-00**), „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროექტი **№GEO-607-G06-H**), **„DOTS** სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში" (პროექტი: **№-GEO-405-G03-T**), „საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება" (პროექტი **№-GEO-607-G05-T**) და „მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია: მალარიას ეპიდემიის თავიდან აცილება" (პროექტი **№-GEO-607-G04-M**) პროგრამის ფარგლებში ტესტ-სისტემების, რეაგენტებისა და სახარჯი მასალების (სახარჯი მასალა, რეაგენტები/ტესტები კლინიკური და ლაბორატორიული კვლევებისათვის) შესყიდვის მიზნით 2008 წლის 11 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი ორგანიზაციები: შ.პ.ს „ლატეკი" ლოტი I და ლოტი III; შპს „ალფალაბი" – ლოტი II.

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროექტის „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროექტი **№-GEO-607-G06-H**) პროგრამის ფარგლებში (კომპონენტი №2, "აივ ინფექცია/შიდსის პრევენციული პროგრამებით ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების მოცვის გაფართოება") გათვალისწინებულ მომსახურების შესყიდვის მიზნით 2008 წლის 30 დეკემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა კავშირი „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი".

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროგრამის „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში" პროგრამის (პროგრამა: **№-GEO202-G-01-H-00**) ფარგლებში, პროგრამის ცალკეული კომპონენტების უზრუნველყოფისათვის ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით 2009 წლის 5 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში შესაბამისი ლოტების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი ორგანიზაციები: I ლოტი – კავშირი „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი"; II ლოტი - ს/ს „ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი"; III ლოტი - კავშირი „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა"; IV ლოტი - კავშირი „ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი" სისხლის ბანკი; V ლოტი - ფონდი „საქართველოს ბავშვთა ფედერაცია"; VI ლოტი - ს/ს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი"; VII ლოტი - კავშირი „საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია".

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროგრამების: „აივ/შიდსის პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003–2007 წლებში" (პროგრამა: **№-GEO202-G01-H-00**) და „აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობის, მოვლისა და მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება" (პროგრამა: **№-GEO-607-G06-H**) ფარგლებში მედიკამენტების შესყიდვის მიზნით - 2009 წლის 2 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში შესაბამისი ლოტების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდნენ შემდეგი ორგანიზაციები: შპს „ტიტანი" – ლოტები: №8, 9, 14; სს „ჯი პი სი" – ლოტები: №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 12, 13, 15, 16, 17, 18, 20, 21 ; შპს „პსპ რიხტერი" – ლოტები: №10, 11, 19.

(სახელმწიფო შესყიდვს შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" მიერ „გლობალური ფონდის" პროგრამის **„DOTS** სტრატეგიის განხორციელების სრულყოფა საქართველოში" (პროგრამა: **№-GEO-405-G03-T**) ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით - 2009 წლის 3 მარტს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი".


**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) და ჩიხების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1.შესყიდვის ობიექტი -** ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) და ჩიხების კაპიტალური შეკეთება;

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 9 (ცხრა) ლოტად :**

**ლოტი N1 -** ქ. თბილისში, ლუბოვსკის ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N2 -** ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N3 -** ქ. თბილისში, ხვამლის ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N4 -** ქ. თბილისში, საბურთალოს ქუჩის (პეკინის ქუჩიდან სააკაძის მოედნამდე მონაკვეთის) გზის სავალი ნაწილის გაფართოება;

**ლოტი N5 -** ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის შენობასთან მისასვლელი ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთბა და ავტოსადგომის მოწყობა;

**ლოტი N6 -** ქ. თბილისში, დიდ დიღომში პეტრე იბერის ქუჩიდან რაგბის სტადიონთან მისასვლელი ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N7 -** ქ. თბილისში, წყნეთში ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტთან მისასვლელი ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N8 -** ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო ცენტრთან მისასვლელი ქუჩის გზის საფარის კაპიტალური შეკეთება;

**ლოტი N9 -** ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის ჩიხების კაპიტალური შეკეთება.

*შესრულების სავალდებულო ვადა: **ლოტი N1 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1,5 (თვენახევარი) თვე; ლოტი N2 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვე; ლოტი N3 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე; ლოტი N4 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 წლის 31 დეკემბრამდე; ლოტი N5 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღე; ლოტი N6 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2,5 (ორთვენახევარი) თვე; ლოტი N7 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე; ლოტი N8 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე; ლოტი N9 - ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე;***

2. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 16 ივნისის 11:00 საათიდან 2009 წლის 16 ივნისის 16:00 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ოთახი N8 ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

3. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**3.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

**3.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

4.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-3 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

*შენიშვნა: მომსახურების გასაწევად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-3 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

5.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი**, ქ. თბილისში, ქუჩების (გზის საფარის) და ჩიხების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების (9 ლოტიანი)** სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

7.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 27 მაისის 11 საათიდან 2009 წლის 16 ივნისის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

8.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

9. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

10. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

11.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

12. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, ცირა მაღრაძე, ტელეფონი - (995-32) 37-85-72

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო მის. ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 აცხადებს ტენდერს სპეც ტანსაცმლის „რეინჯერების უნიფორმის" და „მეხანძრის უნიფორმის" სახელმწიფო შესყიდვისათვის და მონაწილეობის მისაღებად იწვევს დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტებია:

| ლოტი № | დასახელება | კომპლექტის შემადგენლობა | კომპლექტის რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სპეც. ტანსაცმელი „რეინჯერების უნიფორმა" | ქურთუკი – ზამთრის | 62 | ქ. თბილისი |
| | | ქურთუკი – ზაფხულის | 137 | |
| | | ჟილეტი | 101 | |
| | | საწვიმარი ლაბადა | 61 | |
| | | საწვიმარი შარვალი | 61 | |
| | | შარვალი – ზამთრის | 63 | |
| | | შარვალი – საზაფხულო | 182 | |
| | | პერანგი ზამთრის (გრძელმკლავიანი) | 115 | |
| | | პერანგი – ზაფხულის (მოკლემკლავიანი) | 114 | |
| | | ქუდი – ზამთრის | 62 | |
| | | ქუდი – საზაფხულო | 113 | |
| 2 | სპეც ტანსაცმელი რეინჯერების უნიფორმა | მაღალყელიანი ფეხსაცმელი | 150 | |
| 3 | სპეც ტანსაცმელი „მეხანძრის უნიფორმა – ტყის ხანძრებისათვის" | ქურთუკი | 33 | |
| | | შარვალი | | |
| | | ქამარი | | |
| | | ცეცხლგამძლე მაღალყელიანი ფეხსაცმელი | | |
| | | ხელთათმანი | | |
| | | პერანგი | | |
| | | ჩაფხუტი | | |
| | | სათვალე | | |

შენიშვნა: პირველ ლოტში უნიფორმის ზომების აღება უნდა მოხდეს: თბილისში, ლაგოდეხში, ალვანში, დედოფლის წყაროში, ბორჯომში, ხარაგაულში, წყალტუბოში, ჩაქვში და ქობულეთში. პირველი ლოტით გათვალისწინებული საქონლის ზომები და ფერი უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან, აგრეთვე მე-2 ლოტის ზომები უნდა დაზუსტდეს დამკვეთთან. პირველი ლოტის დიზაინი უნდა შესრულდეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის 2008 წლის 1 აპრილის №5ა /11 §1 ბრძანებით დამტკიცებული ნიმუშების შესაბამისად. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 70 კალენდარული დღისა.

**3.** ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო კომისიის აპარატში **2009 წლის 27 მაისიდან 2009 წლის 16 ივნისის 15 საათამდე**, განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.

სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 302005500 (სატენდერო მოსაკრებელი) 5508 – სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო**

**4.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება და სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია (ქართულ ენაზე) სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში **2009 წლის 16 ივნისს 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება **2009 წლის 16 ივნისს 15**საათზე, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6 მე-5 სართული სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკონფერენციო დარბაზში

**5.** ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის **საბანკო გარანტია** პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების **1%**-ის ოდენობით, რომელიც უნდა აღემატებოდეს 30 დღით საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

**6.** ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი **– საბანკო გარანტია** ხელშეკრულების ჯამური **ღირებულების 5 პროცენტის ოდენობით.**

**7.** პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

**იურიდიულ პირთათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან ლიკვიდაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ რეგისტრაციის შესახებ.

**ფიზიკურ პირთათვის:**

- გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობა;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

***შენიშვნა:***

**1.** *საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული [illegible] საკონკურსო წინადადების მიღების თარიღამდე.*

**2.** *პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები დედნის სახით. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული სახით.*

8. საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**9.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და საკონკურსო წინადადებების წარმოდგენამდე, გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

**10.** ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**11.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: [illegible] ტელ: +995 752355; მისამართი: საქართველო, 0114 ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6, მე-5 სართული.

***სატენდერო კომისია***
***27 მაისი 2009წელ***

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

1. პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილებაში:

   უფროსი მეცნ-მუშაკი – 1 საშტატო ერთეული

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

   ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

   ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

   გ) დასაკავებელი თანამდებობების შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

   დ) გამოქვეყნებული, ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;

   ე) ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

   ვ) სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის ჩამონათვალი.

3. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.
4. საბუთების მიღება იწარმოებს ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, პაოლო იაშვილის 22.
5. კონკურსში მონაწილების მისაღებად საბუთების წარდგენა იწარმოებს 28 მაისიდან 28 ივნისამდე.
6. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
   თბილისი, პაოლო იაშვილის ქ. №22, საკონკურსო კომისია
   ტელეფონები: 99-53-75; 93-24-54;
   e-mail: psinst@uznadzeinstitute.ge
7. პირობებისა და საჭირო დოკუმენტაციის შესახებ დაწვრილებით შეიძლება შეიტყოთ დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მისამართზე: პაოლო იაშვილის ქ. №22. ტელ: 99-89-41.

ინსტიტუტის დირექტორი: ი. იმედაძე

## ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტზე აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ფაკულტეტზე შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად :

ა) ფსიქოლოგიის მიმართულებით სრული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე;

ბ) კერძო მეთოდიკების მიმართულებით სრული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე;

2. კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ანკეტა ( შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ)ოთხი ფოტოსურათი 3X4;

დ)შესაბამისი სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი საბუთის ასლი;

ე)ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით უნარს;

ვ)ერთი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმა ( სილაბუსი);

ზ) სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატმა, გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დისციპლინის სწავლების კონცეფცია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე;

თ) კანდიდატს შეუძლია აგრეთვე წარმოადგინოს სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებს მის შესაბამისობას ამ ბრძანების მე-5 მუხლში ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან;

4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირს, კერძოდ:

ა) სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ან დოქტორის აკადემიური ხარისხი, ამასთან სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

5. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება მოხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობიდან შექმნილი კომისიის მიერ. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:

ა) კანდიდატის უნარი, მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე ასწავლოს კურსები შესაბამის სპეციალობაში;

ბ) პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება;

გ) სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო ათი წლის განმავლობაში);

დ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება;

6. საბუთების მიღება იწარმოებს განათლების ფაკულტეტის დეკანატში. საბუთების მიღება დაიწყება 2009 წლის 10 ივნისიდან. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 3 ივლისი.

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2009 წლის 10 ივლისისა.

8. საბუთები აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით ( სამეცნიერო ნაშრომის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა არ არის აუცილებელი). საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული ან დისკით, ან გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: uni@iliauni.edu.ge

9. ამ ბრძანების ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა დაევალოს ფაკულტეტის დეკანის თანაშემწეს;

10. კანცელარიას დაევალოს ბრძანების ასლების გადაცემა შემდეგი სტრუქტურებისთვის: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საფინანსო სამმართველო, რექტორის აპარატი, განათლების ფაკულტეტი.

11. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების უნივერსიტეტის საიტზე და მედიის ბეჭდვით საშუალებებში განთავსება.

რექტორი გიგი თევზაძე

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვეყნებს ინფორმაციას ტენდერის საშუალებით გამარჯვებულის გამოვლენის და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.**

**1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ 2009 წლის 19 თებერვალს გაზეთ 24 საათში გამოქვეყნდა სატენდერო განცხადება სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთების (საქონლის) შესყიდვაზე. ჩატარებული ტენდერის შედეგად ლოტების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდა რამდენიმე პრეტენდენტი, რომლებთანაც დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები, კერძოდ:**

1.1 შპს "ესაბი" "- (ს/კ.204378173) გამარჯვებულად გამოცხადდა - პირველ ლოტში; რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება

1.2. შ.პ.ს ფორმატი"-(ს/კ.204872575) -"- გამარჯვებულად გამოცხადდა მე-2; მე-3 და მე-5 ლოტებში; რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

**2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ 2009 წლის 25 თებერვალს გაზეთ 24 საათში გამოქვეყნდა სატენდერო განცხადება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექმომსახურების ტენდერის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვაზე. ჩატარებული ტენდერის შედეგად ლოტების მიხედვით, გამარჯვებულად გამოვლინდა რამდენიმე პრეტენდენტი, რომლებთანაც დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები, კერძოდ:**

2.1 შპს- იბერია ავტოჰაუსი" (ს/კ.236081832). გამარჯვებულად გამოცხადდა 3-ე და 4-ე ლოტებში, რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება

2.2 შპს- იბერიასერვისი" (ს/კ.204982359). გამარჯვებულად გამოცხადდა 5-ე, 6-ე, 11-ე, 17-ე, 33-ე, 39-ე, 47-ე, 48-ე და 58-ე ლოტებში, რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

2.3 შპს. ავტო სტილი"- (ს/კ.236095845.) გამარჯვებულად გამოცხადდა 7-ე ლოტზე, რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

**3) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ 2009 წლის 4 მარტს გაზეთ 24 საათში გამოქვეყნდა სატენდერო განცხადება, სხვადასხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბურავების, ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვაზე. ჩატარებული ტენდერის შედეგად, ლოტის მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდა ერთი პრეტენდენტი, რომლთანაც დაიდო შესაბამისი ხელშეკრულება, კერძოდ:**

3.1) შპს. თეგეტა მოტორსი" გამარჯვებულად გამოცხადდა პირველ ლოტში, რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

**4) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ 2008 წლის 11 მარტს გაზეთ 24 საათში გამოქვეყნდა სატენდერო განცხადება სხვადასხვა დასახელების კარტრიჯების, ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვაზე. ჩატარებული ტენდერის შედეგად, ლოტების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდა რამდენიმე პრეტენდენტი, რომლებთანაც დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები, კერძოდ:**

**4.1) შპს. ესაბი"- (ს/კ.204378173); გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტი N3-ში,** რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

**4.2) შპს ალტა"-(ს/კ.211380691) გამარჯვებულად გამოცხადდა ლოტი N4-ში, ლოტი N5-ში დაLლოტი N6-ში,** რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

**5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ 2009 წლის 27 მარტს გაზეთ 24 საათში გამოქვეყნდა სატენდერო განცხადება, მცირეფასიანი კომპიუტერული ტექნიკის ორგტექნიკის და აქსესუარების (საქონლის) ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვაზე. ჩატარებული ტენდერის შედეგად, ლოტების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდა რამდენიმე პრეტენდენტი, რომლებთანაც დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებები, კერძოდ:**

**5.1) ლოტი N1; N3; N7; N12; N16 და N17-ში გამარჯვებულად გამოცხადდა -** შპს. ლაბ დისტრიბუცია" (ს/კ.200253705), რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

**5.2) ლოტი N2 და N4-ში, გამარჯვებულად გამოცხადდა** შპს. ესაბი" (ს/კ. 204378173), რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

5.3) ლოტი N14-ში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს დელტა კომმი" (ს/კ. 204991795), რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

5.4) ლოტი N6 და N25-ში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს. სოფთმასტერი" (ს/კ.204436994), რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

5.5) ლოტი N8-ში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს. ალტა" (ს/კ. 211380691), რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

5.6) ლოტი N13; N19 და N22-ში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს. ვოიპნეტ" (ს/კ.205203279), რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

5.7) ლოტი N15; N21 და N23-ში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს ზახარ" (ს/კ.202061053.), რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

5.8) ლოტი N20-ში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს მანტა სისტემსი"-(ს/კ.205186092). რომელზეც გაფორმებული იქნა ხელშეკრულება.

**შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების**
**დეპარტამენტის ორგანიზაციული**
**უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი: არჩილ სიხარულიძე.**

# სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო აცხადებს კონკურს მიმოქცევიდან ამოღებული სახელმწიფო სანომრე ნიშნების დაჭრით მიღებული ალუმინის ჯართის რეალიზაციაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

1. კონკურსი ცხადდება ფერადი ლითონის (ალუმინი) ჯართზე, რომლის მოცულობა შეადგენს 18,0 ტონას.

2. სარეალიზაციო ჯართის საწყისი საზღაური 18000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

3. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს შემდეგ მისამართზე: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ. ტელ: 41-90-14

4. სარეალიზაციო ჯართის ადგილმდებარეობა
საქართველო, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ.

5. განაცხადის მიღების ადგილი
თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო. ტელ: 41-90-14

6 განაცხადის მიღების ვადა
2009 წლის 26 მაისიდან 2009 წლის 6 ივლისის ჩათვლით 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა).

7. კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი)
2009 წლის 7 ივლისი 14 საათი.

8. საბანკო რეკვიზიტები
მიმღები: სსიპ საქართველოს სსს მომსახურების სააგენტო
ანგარიში №7771313, სს "თი-ბი-სი ბანკი", კოდი 220101850, ს/კ 205190513

9. შენიშვნა:
კონკურსში მონაწილის მიერ კონვერტში წარმოდგენილი უნდა იქნას კონკრეტული დაფიქსირებული საზღაური.

10. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:
საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

18. კონკურსში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ წინადადებების გახსნის პროცესს. წინადადებების განხილვა მოხდება მათი დასწრების გარეშე.

11. საკონკურსო პირობები:
კონკურსში გამარჯვებულის მიერ განსაზღვრული საზღაურის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღეში დაფარვა, საზღაურის დაფარვიდან არაუგვიანეს 3 დღეში ჯართის გატანა.

12. კონკურსში მონაწილეობისათვის სავალდებულოა "ბე" 4500 (ოთხიათასხუთასი) ლარის გადახდა, რომელიც გამარჯვებულ მხარეს ჩაეთვლება ანგარიშსწორების ნაწილად, ხოლო დამარცხებულ მხარეს დაუბრუნდება უკან კონკურსის დამთავრებიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში.

13. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი:
მაქსიმალური საწყისი საზღაურის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საზღაურს.
ვალდებულების აღება დანარჩენი საკონკურსო პირობების დაკმაყოფილებაზე.

14. შენიშვნა: გამარჯვებულის გამოსავლენად განიხილება მხოლოდ საზღაურის ოდენობა, იმ პირობით თუ პრეტენდენტი აიღებს ვალდებულებას სხვა საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
შესაბამისად პრეტენდენტის განაცხადი და დალუქულ კონვერტში მოცემული წინადადება უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ თანხმობას გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე და საზღაურის თანხას, რომელიც უნდა აღემატებოდეს საწყისი საზღაურის თანხას (ეს უკანასკნელი თავსდება დალუქულ კონვერტში).

15. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება).

16. კონკურსში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

17. თუ კონკურსში წინადადებების გახსნით გამოვლინდება ორი ან მეტი იდენტური საზღაურის შემცველი წინადადება, გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება კენჭისყრის გზით.

18. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება წინადადებების გახსნიდან 5 დღის ვადაში.

19. კონკურსის ჩატარებიდან და გამარჯვებულის გამოვლენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში "გამარჯვებული" მონაწილე ვალდებულია სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოსთან გააფორმოს ხელშეკრულება.

20. კონკურსი ჩაითვლება უარყოფითი შედეგით დასრულებულად, თუ არ იქნება წარმოდგენილი არცერთი წინადადება, ან წარმოდგენილი წინადადებებიდან არცერთი არ შეესაბამება საკონკურსო პირობებს.

21. საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში კონკურსში გამარჯვებული იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის დაჯარიმებულ იქნება საზღაურის ღირებულების 0,1 %-ით.

22. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში ჯართის გადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ. ამ შემთხვევაში გადახდილი "ბე" უკან არ ბრუნდება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (ნიმუში თან ერთვის), რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსში მონაწილე პირის თანხმობა გამოცხადებული პირობების შესრულებაზე;
ბ) კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საზღაურის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადება არ განიხილება);
გ)"ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი დანიშნულების მითითებით;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს (ბოლო მდგომარეობით ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან) და ცნობა ვალდის არარსებობის შესახებ.
განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს
____________________________________
____________________________________

განაცხადი
გაცნობებთ, რომ (მოქიურიდიული პირი)————————————————
გავეცანი სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოში არსებული ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციის მიზნით კონკურსის ფორმით სასყიდლით გადაცემის შესახებ და სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო აღნიშნულ კონკურსში.

თანახმა ვარ შევასრულო ქვემოთ ჩამოთვლილი საკონკურსო პირობები:

– კონკურსში გამარჯვებულის მიერ განსაზღვრული საზღაურის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღეში დაფარვა;
– საზღაურის დაფარვიდან არაუგვიანეს 3 დღისა ჯართის საკუთარი ძალებით გატანა.

რისთვისაც წარმოგიდგენთ:
1. "ბე"-ს გადახდის ქვითარს;
2. დალუქულ კონვერტს;
3.
4.
5.

განმცხადებელი——————————

რეკვიზიტები, ანგარიშის №
ტელ.

დალუქული კონვერტით წარმოსადგენი წინადადების ნიმუში

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოში შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ მიმოქცევიდან ამოღებული სანომრე ნიშნების განადგურებით მიღებული ჯართის კონკურსის ფორმით რეალიზაციის მიზნით მზად ვარ გადავიხადო შემდეგი რაოდენობის საზღაური:

საზღაური მითითებული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით.

ამასთან ვკისრულობ ვალდებულებას სხვა საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

ხელმოწერა:——————————

ქალთა სექსოლოგი,
ექიმი თამარ ჯოჯიშვილი გთავაზობთ
ქალთა სექსუალური დარღვევის
თანამედროვე მეთოდებით
მკურნალობას დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრში
პირველადი მიღება უფასოა

- **ანორგაზმია** სექსუალური დაუკმაყოფილებლობა , ორგაზმის მიღწევის გაძნელება
- **ვაგინიზმი** სქესობრივი ცხოვრების შიში
საშოს კუნთის უნებლიე შეკუმშვები
- **დისპარეუნია** მტკივნეული სქ. აქტი
- **წყვილის დისჰარმონია**
მოუწესრიგებელი ცოლ-ქმრული ურთიერთობები
არასასიამოვნო სქ. აქტი
შესუსტებული რეაქციები
- **პირველი საქორწინო ღამის პრობლემები**
- **ალიბიდემია** სქესობრივი ლტოლვის გაქრობა

ანონიმურობა დაცულია ! ! !
**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი**
**მისამართი: თბილისი, ვაკე,**
**თენგიზ აბულაძის ქ. 20; (სამების ეკლესიის უკან)**
**მობ: (899) 55 72 55; ტელ.: 91 31 19; 91 32 42;**

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით**
**აუქციონის ჩატარების შესახებ**

| ობიექტის № | ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა | აუქციონის საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" საწყისი ფასის 20% (ლარი) | სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სენაკი, სოფ. ახალსოფელი | მდ. ტეხურზე „ახალსოფლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 10 000 $მ^3$ | 1 341 | 268 | 1 145,40 |
| 2 | მცხეთა, სოფ. ვარდისუბანი | მდ. ქსანზე „ქსნის" ქვიშა-ხრეშის საბადო | $C_1$ | 5 წელი | 82 800 $მ^3$ | 11 102 | 2 220 | 1 326,20 |
| 3 | ნინოწმინდა, სოფ. განძანი | მდ. განძასხევზე „განძანის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 150 000 $მ^3$ | 20 113 | 4 023 | 1 259,40 |
| 4 | ცაგერი, სოფ. ბარდნალა | მდ. ცხენისწყლის „ცაგერის" ქვიშა, ხრეშის საბადო | B | 5 წელი | 30 000 $მ^3$ | 4 023 | 805 | 1 381,40 |
| 5 | ჩხოროწყუ, სოფ. ლეწურწუმე | მდ. ხობისწყალზე ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 50 000 $მ^3$ | 6 704 | 1 341 | 1 259,40 |
| 6 | მცხეთა სოფ. სასხორი | კირქვის გამოვლინება | P | 20 წელი | 4 760 438ტ. | 10 000 | 8 000 „ბე" 80% | 1 888,20 |
| 7 | ვანი, სოფ. სალხინო | მდ. რიონზე „ სალხინოს" ქვიშა,ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 99 000 $მ^3$ | 13 275 | 2 655 | 1 487.40 |
| 8 | თიანეთი, სოფ. ახალსოფელი | მდ. იორზე ქვიშა,ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 5 700 $მ^3$ | 764 | 153 | 544.25 |
| 9 | ტყიბული, სოფ. კურსები | „კურსების" ტეშენიტის (მოსაპირკეთებელი) საბადო | $C_1+C_2$ | 20 წელი | 106 800 $მ^3$ | 22 008 | 4 402 | 756,0 |
| 10 | ასპინძა, სოფ. იდუმალა | „იდუმალას" ბაზალტის (საღორღე) გამოვლინება | P | 5 წელი | 57 600 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 1 259,40 |
| 11 | ხობი, სოფ. პირველი გურიფული | მდ. ხობის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 15 000 $მ^3$ | 2 011 | 402 | 1 145,40 |
| 12 | გორი, სოფ. სვენეთი | „სვენეთის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 336 000 $მ^3$ | 45 053 | 9 011 | 1 318,20 |
| 13 | ოზურგეთი, სოფ. ძირჯუმათი | „ძირჯუმათის" ტუფობრექჩიის (საღორღე) გამოვლინება | P | 5 წელი | 22 800 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 1 145,40 |
| 14 | ჩოხატაური, სოფ. სურების და ბუკისციხის მიმდებარე ტერიტორია | „დიდი ვანის" ტუფობრექჩიის (საღორღე) გამოვლინება | P | 20 წელი | 106 000 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 1 259,40 |
| 15 | თეთრიწყარო, სოფ. ქოსალარი | „ქოსალარის" კირქვის (საღორღე) გამოვლინება | P | 20 წელი | 860 000 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 2 344,20 |
| 16 | ხონი, სოფ. ღვედი | მდ. ცხენისწყალზე „ღვედის" ქვიშა,ხრეშის გამოვლინება | P | 5 წელი | 16 500 $მ^3$ | 2 212 | 442 | 1 145,40 |
| 17 | ყაზბეგი, სოფ. ფანშეთის მიმდებარე ტერიტორია | ფანშეთის მინერალური წყარო წყალი (ბალნეოლოგიური მიზნებისათვის) | P | 20 წელი | 80 $მ^3$/დღღ | 10 000 | 2 000 | 968,40 |
| 18 | გურჯაანი, შპს „აისის" ტერიტორია | ჭაბურღილის მტკნარი წყალი (სამეწარმეო მიზნებისათვის ) | $C_2$ | 25 წელი | 20 $მ^3$/დღღ | 142 | 28 | 1 204,40 |
| 19 | ოზურგეთი, სოფ. მერია | მდ. ნატანების ქვიშა, ხრეშის საბადო | $C_1$ | 5 წელი | 200 000 $მ^3$ | 26 817 | 21 454 „ბე" 80% | 1 837,4 |
| 20 | ლენტეხი, | „ლენტეხის" ქვიშაქვის გამოვლინება | P | 2 წელი | 4 750 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 1 145,40 |
| 21 | ჩოხატაური, სოფ. სურების და ბუკისციხის მიმდებარე ტერიტორია | „დიდი ვანის" გაბროს გამოვლინება | P | 20 წელი | 482 000 $მ^3$ | 10 000 | 2 000 | 1 601,40 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ.№12ტელ. 99 11 29, 99 10 91 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 26 მაისიდან 22 ივნისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 26 ივნისს 12 საათიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში. |
| ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი **200 ლარის** ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას. | **სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069 |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს შემოტანის ქვითარი | **„ბე"-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000 |
| აუქციონზე გამარჯვებული პირები ვალდებულნი არიან ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადონ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მიერ გაწეული მომსახურების საფასური | **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო":** ს/ს „პროკრედიტ ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საინ. კოდი: 204559691 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი.<br>ბ) ფიზიკური პირისათვის იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები.<br>გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე) „ბე"-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ" დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად.<br>მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები | დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „წიაღის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები. |
| **აუქციონზე „ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოდნების სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოდნების მშენებლობა/რეკონსტრუქცია სულ: 1100მ2.**

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილი იქნება 2 (ორ) ლოტად.**
**ლოტი N1** - დიდი დიღომი იოანე პეტრიწის 1-ა,
**ლოტი N2 თემქის დასახლება მე-3 მიკრო რაიონი.მე-2 კვარტალი.კორპუსი 30.**
*შესრულების სავალდებულო ვადა თითოეულ ლოტზე -ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვე.*

**3.** სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 15.06.2009 წლის 11:00 საათიდან 15.06.2009 წლის 16.00 საათამდე, მისამართზე: **ქ.თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

4 პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

ვ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

დ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

**4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები, პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებას, რაზედაც უნდა იყოს წარმოდგენილი:

ა) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ბ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;

გ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

დ) ინფორმაცია ფინანსური შესაძლებლობების შესახებ: პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ფულადი სახსრები არანაკლებ მისი სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 10%-სა ან უნდა ჰქონდეს გახსნილი საკრედიტო ხაზი აღნიშნულ თანხაზე: ცნობა მომსახურე ბანკიდან ან კრედიტის გამცემი დაწესებულებიდან.

**5.** პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

***შენიშვნა:*** *სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;*

*ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.*

**6.** თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**7.** სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე: **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

**გადახდის დანიშნულება** - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოდნების სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების (2 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

**8.** სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 27.05.2009 წლის 11:00 საათიდან 15.06..2009 წლის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

**9.** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**10.** ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე).

**11.** ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

**12.** შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**13.** დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, გიორგი ჯიქია, ტელეფონი - (995-32) 37-85-80

**სატენდერო კომისია**

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული რკინის ნაკეთობების შესყიდვის შესახებ ტენდერის დამატება

შპს ,,საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 14 მაისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **რკინის ნაკეთობების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქრთველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში №2 ლოტის სახით დაემატა ერთი ცალი ლითონის მილი.

საბოლოოდ შესყიდვის ობიექტის №2 ლოტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთ | რაოდ |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 2 | მილი | ლითონის მილი: დიამეტრი 1,02 მ, სიგრძე 9 მ, სისქე 9,6 მმ, უნაკერო | ცალი | 1 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

<u>სატენდერო კომისია</u>

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოცხადებული სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ ტენდერის დამატება

შპს ,,საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 20 მაისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ.**

აღნიშნულ ტენდერში შპს „საქრთველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში **№8 ლოტის** სახით დაემატა **შპს „საქართველოს რკინიგზის" ადმინისტარციულ და გამოთვლითი ცენტრის შეობებში 3 ცალი ტუალეტის შეკეთება,** რომლის შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვე.

საბოლოოდ შესყიდვის ობიექტი №8 ლოტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

| ლოტის № | სამუშაოს დასახელება | შესრულების ვადა |
|---|---|---|
| | | |
| 8 | შპს „საქართველოს რკინიგზის" ადმინისტარციულ და გამოთვლითი ცენტრის შენობაში ტუალეტების შეკეთება მე-3, მე-4 და მე-6 სართულზე <u>(3 ცალი)</u> | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვე |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

<u>სატენდერო კომისია</u>

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 26 მაისიდან აცხადებს ტენდერს ფანრების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **ფანრების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **26 მაისიდან** 2009 წლის **15 ივნისის** ჩათვლით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტის № | საქონლის დასახელება და მახასიათებლები | ერთ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| | | | |
| 1 | **ფანარი მეშახტის ФЖА-1** (ან ანალოგი) - სინათლის ნაკადი-30ლმ; ნომინალური ძაბვა-3,6ვ; უწყვეტი მუშაობის ხანგრძლივობა-9სთ.; გაბარიტული ზომები - 233X176X75მმ; ბატარეის ტიპი-3 ШНКП-10; მასა-2კგ; კვების წყაროდ გამოყენებული უნდა იქნეს ტუტეზე მომუშავე აკუმულატორი; ფანარი აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური გადასაკიდი ღვედით. ***გარანტია მინიმუმ 6 თვე*** | ცალი | 23 |
| | **ფანარი გამცილებლის** - სინათლის ნაკადი-20ლმ; ნომინალური ძაბვა-2,4ვ; უწყვეტი მუშაობის ხანგრძლივობა-6 სთ.; გაბარიტული ზომები - 15X3სმ; მასა-300 გრ. უნდა იტვირთებებოდეს დენზე-220ვ. ***გარანტია მინიმუმ 6 თვე*** | ცალი | 400 |

**3. მიწოდების ადგილი და პირობა:** DDP თბილისი;

**4. მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის განმავლობაში;

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებში, ქართულ *(დასაშვებია აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე)* ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარული წესით უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2009 წლის 15 ივნისის ჩათვლით** 9სთ 00 წთ დან – 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**ფიზიკური პირებისათვის :**

1. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან.

**7. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

**1. პაკეტების გახსნის დღეს პრედენდენტების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას პროდუქციის თითო ნიმუში;**

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები და (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. (არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)

3. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**; უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

**4. გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

---

საქმე №2/2523-08

## განჩინება
## საქართველოს სახელით

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ
13 მაისი, 2009 წელი ქ. თბილისი
თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ლელა კალიჩენკო

მოსარჩელე - ხატია ბაღდავაძე
წარმომადგენელი - ნანა ბენიძე
მოპასუხე - ბესიკ ბაღდავაძე
დავის საგანი - განქორწინება, ალიმენტის დაკისრება

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოპასუხე ბესიკ ბაღდავაძეს ეცნობოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2/2523-08, ხატია ბაღდავაძის სარჩელის გამო ბესიკ ბაღდავაძის მიმართ განქორწინებისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 1994 წლიდან. ქორწინების ყოფნის პერიოდში შეეძინათ ორი შვილი - ბექა ბაღდავაძე (დაბ. 08.03.94 წელს) და ალეკო ბაღდავაძე (დაბ. 17.02.03 წელს). მოსარჩელის განმარტებით, მხარეებს 2003 წლიდან ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ ქორწინება და მოპასუხე არ არის თანახმა განქორწინებაზე,თუმცა თანაცხოვრების სურვილი მხარეებს არ აქვთ. ამასთან, მოსარჩელის მითითებით მხარეებს ჰყავთ საერთო შვილები, რომელზეც ზრუნვა ორივე მშობელს თანაბრად ეკისრება, განქორწინებასთან ერთად მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის შვილების სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრებას თვეში 300-300 ლარის ოდენობით. ბესიკ ბაღდავაძე ვალდებულია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე და 2321-ე მუხლების შესაბამისად) წერილობით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით, შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული საბუთების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოს ისინი სასამართლოს ჩაბარებიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში (იხ. ვებ გვერდი www.hcoj.ge ან www.supremecourt.ge). წერილობით შედგენილ პასუხში უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები: სასამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი; მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები; ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში; ხოლო თუ არ ცნობს, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მითითებულ გარემოებებს; რა საპროცესო საშუალებებით აპირებს სარჩედისაშაგ თავის დაცვს, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ აქვს აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა.შ. ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად; რომელიც მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები; პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა, მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესების შესაბამისად (სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი); მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით;

2. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში 24 საათი ;

3. სასამართლო შეტყობინების გაზეთ 24 საათში გამოქვეყნების ხარჯების გადახდა დაევალოს მოსარჩელე ხატია ბაღდავაძეს;

4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე: /ლელა კალიჩენკო/

## Civil Registry Agency (CRA) of Georgia - (67a Tsereteli Avenue, tel: 357-919) - announces anew international tender on the state procurement of standby database managing center and invites all interested individuals to participate in it.

Object of procurement: Standby database managing center of Civil Registry Agency of Georgia, - one lot.

Lot 1 - standby database managing center of Civil Registry Agency of Georgia, upgrade of existing data processing server centre.

Place of delivery: CIP Tbilisi.

Terms of delivery: no later than December 1, 2009.

Individuals intending to participate in the tender must present - in accordance with the Law on State Procurement - tender proposal and qualification data in Georgian (Technical data can be drawn up in Latin letters or in English translation). In case qualification data and additional documents are drawn up in a foreign language, notarized Georgian translation must be presented as well. (Georgian versions will be preferable). The documents mentioned above must be submitted from 10:00 am. June 15, 2009 till 11:00 am. June 15, 2009 on the following address: Tbilisi (0146), 67a Tsereteli Avenue, V floor, room # 515, tel: 357-919. Tender documents will be unsealed on 11:00 am. June 15, 2009.

Qualification data must include the following information:

For legal entities:
1. A certificate from a national agency of a public registry of Georgia asserting that its property is not sequestrated (for non-resident entities - the above-mentioned document from the rightful bodies of their countries);
2. An abstract from entrepreneur's register (for non-resident entities - the above-mentioned document from the rightful bodies of their countries);
3. A certificate from a tax-inspectorate asserting that its liquidation or reorganization isn't under progress (for non-resident entities - the above-mentioned document from the rightful bodies of their countries).

For individuals:
1. A copy of identification asserting document;
2. A taxpayers' registration asserting certificate.

As for individuals so for legal entities:
1. Candidate's details: name, legal address, telephone and fax, email, banking details, name of the manager;
2. Together with tender proposal, candidates must present the documents asserting the qualification data of the sub-contractors (in case of their existence) in accordance with the statement on the tender holding (qualification requirements listed above) and a copy of an agreement signed between the candidate and sub-contractor;
3. An international certificate ISO 9001 issued to the candidate;
4. A certificate from a court asserting that no case of insolvency is under progress (for non-resident entities - the above-mentioned document from the rightful bodies of their countries);
5. In case of submitting qualification data from non-resident entities, candidates must present an extract from a normative act asserting legal authority of a state body issuing presented qualification data.

Along with the tender proposal, both legal entities and individuals must present information on sub-contractors (in case of their existence) and a copy of the contract/or the agreement on signing of the contract in accordance with Georgian Law on State procurement and Regulations for implementation of State procurement.

Tender proposal submitted by the candidate will be passed for evaluation only if:

1. The candidate will present all qualification documents listed above and none of them will turn out to be false;

2. The candidate will present tender proposal made up in accordance with the current legislature and as requested by the procuring organization.

After the settlement of tender fee of 200 (two hundred) GEL, tender documents taking out will be possible from 14:00 pm. May 27, 2009 till 10 am. June 15, 2009, on the following address: Civil Registry Agency, 67a Tsereteli Avenue, Tbilisi.

The applicants have right to look through the tender documentation in the Purchasing organization before paying the tender fee;

In the qualification phase, terms of delivery indicated in the tender proposal will not be eligible for further revision.

Tender fee settlement banking details:
Overall account of the National treasury - 200122900, National treasury bank code - 220101222, treasury code of the budget income - 302003174. Destination of settlement - tender fee of 200 (two hundred) GEL for state procurement of Standby database managing center of Civil Registry Agency of Georgia.

Candidates' tender proposals must be drawn up in accordance with the object of procurement. Each candidate has the right to present one tender proposal. The lot will name only one winner.

Qualification data and tender proposal must be presented to the tender commission in one sealed envelope.

For the additional information please contact the following person: Lasha Bokuchava, Tel: 357919, 8 (95) 332252.

-----

Additional information:

The mechanism providing the fulfillment of a tender proposal (guarantee, on 1% of the tender proposal price) will be utilized in the tender.

The mechanism providing the fulfillment of a contract (guarantee, on 2% of the total price of the contract) will be utilized in the tender.

In case, using a mechanism of prepayment, the requested banking guarantee must not exceed 30% of the cost of the tender proposal.

State procurements are regulated by the following legislative acts:

Georgian Law on state procurement;

Regulations for implementation of State procurement;

Claims raised in course of procurement procedure will be contested in accordance with Georgian Law on state procurement, article 23 and in accordance with Regulations for implementation of State procurement, articles 33-37.

Note: Non-resident individuals/legal entities should present the documents asserting the qualification data issued by rightful bodies of their countries. Along with original copies, notarized Georgian translation must be presented as well.

**Tender commission**

## შპს "საქართველოს რკინიგზა" მიერ კომპიუტერული ტექნიკისა და მარაგ-ნაწილების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების შესწორება

შპს საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 23 მაისს გამოცხადებული იქნა ტენდერი **კომპიუტერული ტექნიკისა და მარაგ-ნაწილების შესყიდვის შესახებ.**
აღნიშნულ ტენდერში შპს „საქრთველოს რკინიგზა"-ს შეაქვს შესწორება, კერძოდ მე-2 პუნქტში, შესყიდვის ობიექტში, №3 ლოტის მეორე პოზიციით განსაზღვრული 5 ცალი ნოუთბუკის მახასიათებლებში HDD-ს ტევადობა ნაცვლად min 250 GB-სა უნდა იყოს **min 160 GB**.
სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

**სატენდერო კომისია**

საქმე №2-114

## განჩინება
## საქართველოს სახელით
## საჯარო შეტყობინების შესახებ

20 მაისი, 2009 წელი ქ. ქობულეთი

**მოსარჩელე:** ვახტანგ ქორიძე
**მოპასუხე:** თამარ ქორიძე
**დავის საგანი:** განქორწინება.

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით მოპასუხისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების საკითხი.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. მოსარჩელე ვახტანგ ქორიძემ თავისი ხარჯებით გაზეთ 24 საათში განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით.
2. წინამდებარე პუბლიკაციით მოპასუხე თამარ ქორიძეს ეცნობოს შემდეგი:
ა) ქობულეთის რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე №2-114 ვახტანგ ქორიძის სარჩელის გამო, თამარ ქორიძის მიმართ განქორწინების თაობაზე.
ბ) აღნიშნული სამოქალაქო საქმის განხილვა დანიშნულია 2009 წლის 05 ივნისს, 11:00 საათზე, ქობულეთის რაიონული სასამართლოს შენობაში, მისამართზე: ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქუჩა №21.
3. მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადების შეუძლებლობას.
4. ამ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე: ზურაბ სურმანიძე